И действительно, Сократ посягает на религию тем, что вводит новые божества (или бога — этот вопрос в настоящее время выходит за рамки нашего труда), т. е. он меняет теоретическую основу религии, он ополчается на идеологию религии, а в хеттском мире посягательство на религию происходит посредством нарушением ритуала, т. е. посредством материализации теории. То новое, что происходит во времена Сократа, это то, что к вере — основному проявлению религии в человеке — добавляется мышление. Здесь впервые мышление выделилось из содержания религии, здесь впервые уже заметно, что религия в какой-то степени все же независима, отделена от государства она уже является предметом защиты государства\*.

<sup>19</sup> Платон, Апология Сократа, соч. в трех томах, т. I, М., 1968, стр. 94.

<sup>20</sup> Уильям Гатри, Греческие философы, Тб., 1983, стр. 98 (на груз. яз.).

<sup>21</sup> Марк Тулий Цицерон, О природе богов, ВДИ. 2, 1983, стр. 199.

<sup>22</sup> Уильям Гатри, опус. цит., стр. 97.

\* Об этом свидетельствуют слова Демокрита, «Хорошо направленное государство — мощная опора. Оно охватывает все и существуя сам, дает существование всему. С его гибелью, погибает все». — Демокрит, Эпикур. Письма. Фрагменты, Тбилиси, 1959, стр. 166 (на груз. яз.).



Правда, у Сократа замечается это деление, но сам он еще раз объединяет вместе государство и религию, еще раз, и, вероятно, в истории это один из последних случаев, когда религия и государство одно и то же. На просьбу Критона бежать из тюрьмы, Сократ, словами афинских законов, отвечает: «Если же ты уйдешь из тюрьмы, так позорно воздав обидой за обиду и злом за зло, преступив заключенные с нами соглашения и договоры и причинив зло еще раз тем, кому всего менее следовало его причинять, — самому себе, друзьям, Отечеству и нам, — то мы разгневаемся на тебя при твоей жизни, да и там наши братья, законы Аида, неблагоприятно примут тебя, зная, что ты и нас пытаешься погубить, насколько это от тебя зависело. Не дай Критону убедить тебя совершить то, что он советует, слушайся лучше нас»<sup>23</sup>.

Здесь, слабо, но все же чувствуется, что религиозные законы (религия), вместе с гражданскими законами, основа государства, так как если Сократ нарушил бы закон, что, в данном случае, подразумевало его бегство из тюрьмы, то он бы этим способствовал их гибели, а тогда, как мы увидели, религиозные законы (законы Аида) неблагоприятно приняли бы Сократа в потустороннем мире, так как они были названы братьями гражданских законов.

Таким образом, еще раз подчеркнута их однородное происхождение.

Когда посягательство на религию (нарушением ли сакральной чистоты или другими деяниями) было частным случаем, непосредственно не касалось государства, происходило в какой-либо конкретной семье, реакция государства была не столь сильной. Но, так как семья — это маленькая ячейка государства, его составная часть, ослабление религиозных уз в семье повлекло бы за собой ее падение. А это само собой оказало бы влияние на государство. Поэтому, оставлять такие прецеденты без внимания было невозможно. Надо было исцелиться от этой «болезни», дабы и другие клетки государства не «заболели». Для этого надо было совершить ритуал очищения, с которым нас знакомит хеттский текст Тунавского ритуала<sup>24</sup>. Почти такое же положение видим мы

<sup>23</sup> Платон, Критон, соч. в трех томах, т. I, М., 1968, стр. 130.

<sup>24</sup> The Hittite ritual of Tunavi, Interpreted by Albrecht Goetze, New Haven 1938, стр. 4 и последующие: «1. Таковы (слова) Тунави, старой женщины, что если человек, 2. мужчина или женщина /находится/ в нечистоте, 3. Или (если) женщина убивает своих детей, или /если/ ее 5. Дети мертворожденные, или /если/мужчина или женщина 6. Находятся в нечистой половой связи 7. /Если такая личность испытывает /чувствует/ не чистоту, тогда такая 8. Личность, женщина или мужчина совершает ритуал очищения 9. Каковой (они называют его ритуалом реки) 10. И именно это есть только один ритуал.

в Греции. У Гесиода мы читаем, что если не будет сохраняться божественная чистота, бог не будет больше выполнять желания людей (не будет слушать мольбу человека)<sup>25</sup>. В данном случае, совершение ритуала очищения, так как это делалось в хеттском царстве, здесь уже не обязательно; как мы указали, в греческом мире на передний план выдвигаются другие принципы, и постольку, нарушение ритуала не представлялось столь опасным<sup>26</sup>.

Выше, мы сравнили человека, осквернившего религию с «больным», и это не было случайным, так как отступить от богов значит установить союз со злым духом-демоном, переход в лагерь, противостоящий богам. «Больной» человек в хеттском древневосточном мире считался ведь одержимым демоном, болезни посылал злой дух. Испытание водой, рекой должно было установить преступление человека (нарушил — ли он чистоту). Река же имела свое, олицетворяющее ее, божество, т. е. божество принимало непосредственное участие в этой процедуре. Вода очиститель от злого духа<sup>27</sup>. В воде Нингизиды<sup>28</sup> излечивает больных, в воде же очищается человек, когда он становится нечистым, в воде же его испытывают, когда он непосредственно дает божественную чистоту; во-

<sup>25</sup> Гесиод, перевод Г. Властова, СПб., 1885, стр. 137.

<sup>26</sup> Т. Очиаури, Мифологические предания в горных районах Восточной Грузии, Тб., 1967, стр. 195 (на груз. яз.): В одной хевсурской легенде сказано о роде Мирианаули «святыня» разгневалась на род Мирианаули, так как их «свиньи вырыли» святыню. Разгневанная святыня переменяла место, а род Мирианаули весь вымер... действительно «дочь дочери осталась, остальные родственники все вымерли». Причиной гнева святыни должно быть осквернение ее чистоты, поэтому она, вместе с близкими родственниками, уничтожила и продолжателей рода. Это сказание представляет для нас двоякий интерес. Во-первых, оно удостоверяет в горных районах Грузии наличие прецедента, схожего с прецедентом, рассмотренным нами, и во-вторых, показывает нам, как реагирует на него общество, которое еще не создавало государства. Здесь, мы на этом вопросе больше останавливаться не будем и теоретического обсуждения больше не продолжим, так как сходные прецеденты подлежат изучению. Хевсуретия — христианская община, и это важный фактор для того, чтобы сделать теоретические выводы. Он требует более глубокого изучения вопроса.

<sup>27</sup> Этот момент интересен и в связи с Вавилоном. Согласно 2-му параграфу законов Хаммурапи, к испытанию ордалией прибегали тогда, когда человек человека обвинял в колдовстве: виновный должен был войти в реку, и если река «овладевала» им, обвинитель брал себе имущество обвиняемого. но если он оказывался невиновным, тогда он овладевал имуществом обвинителя (так как колдун приобщен к нечистым силам, демонам — противникам божественных сил, а человек, начавший колдовать, естественно, становится вне религии, противником богов).

<sup>28</sup> E. Douglas von Buren, The god Ningizida, IRAQ, vol, I, P. I. 1934, стр. 70.

да должна очистить его от обвинения, и вода же должна оторвать его от общества, если он виновен, чтобы другой не смог «заболеть» (очищение от злой «болезни» — демонических сил — обязательное)<sup>29</sup>

---

<sup>29</sup> Е. Кленгель-Брандт, Путешествие в древний Вавилон. М., 1979, стр. 191—192.

В Вавилоне, например, для того, чтобы защитить царский дворец от злых духов и демонических сил, чтобы сохранить во дворце культовую чистоту, жрецы совершали специальный ритуал. Даже в том случае, если эта чистота мимолетно нарушалась, во время какого-либо действия царя, в частности, от его прикосновения к нечистому человеку (даже от взгляда на женскую прислугу, у которой были немытые руки, необходимо было срочное и продолжительное очищение, как дворца, так и прилегающей к нему части города.

თ. კუთლია

თბილისური სპილენძის ფულის ერთი ტიპის  
დათარიღებისათვის

ირანში სეფიანთა დინასტიის (1502—1736 წწ.) დამკვიდრებას მოჰყვა ცვლილებები სამონეტო საქმეში. XVI საუკუნის ბოლოს შაჰ აბას I ჩაატარა სამონეტო რეფორმა. დამყარდა ახალი ფულადი სისტემა, რომელსაც საფუძვლად დაედო ვერცხლის მონეტა— აბაზი, წონით 7,8 გ. ვერცხლის მონეტის გარდა ირანში ხანგამოშვებით ოქროსაც ჭრიდნენ, სპილენძის ფული კი რეგულარულად იჭრებოდა.

სეფიანთა მიერ ირანში შემოღებული ფულადი სისტემა სავალდებულო გახდა იმ ქვეყნებისათვისაც, რომლებიც ირანის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ასეთი მდგომარეობა იყო ქართლის სამეფოშიც.

XVII—XVIII საუკუნეებში ქართლის სამეფოში მოქმედებდა ერთადერთი ზარაფხანა, რომელიც თბილისში მდებარეობდა<sup>1</sup>. თბილისის ზარაფხანა ვერცხლის მონეტასთან ერთად ჭრიდა სპილენძის ფულსაც.

თბილისური სპილენძის მონეტის ერთ მხარეზე მოცემულია სხვადასხვა გამოსახულებანი. წარმოდგენილია უმეტესად რეალური და ფანტასტიური ცხოველები და მათი კომბინაციები (ლომი, ირემი, ცხენი, ფარშევანგი, თევზი, ურჩხული, ხარი, რომელიც ვეშაპს თელავს, ირემზე მონადირე ლომი), აგრეთვე ლომის გამოსახულება მზესთან ერთად, მზე, სამანძიანი ხომალდი. ამ გამოსახულებებს, როგორც წესი, ახლავთ ყვავილოვანი ორნამენტიც. ანალოგიური მონეტები იჭრებოდა ირანის ქალაქებშიც.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ცხოველების გამოსახულებათა მონაცვლეობას ირანის საქალაქო მონეტებზე ქრონოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა, და რომ ეს გამოსახულებები უკავშირდებოდა თათრულ წელთაღრიცხვას, რომელიც დამყარებულია 12 წლიან ციკლზე და რომლის თანახმად ყოველი წელი ერთ-ერთი ცხოველის (თაგვი, ხარი, ვეფხვი, კურდღელი, ნიანგი, გველი, ცხენი, ცხვარი, მაიმუნი, ქათამი, ძაღლი, ღორი) სახელს ატარებს.

თბილისის ზარაფხანის მიერ XVII—XVIII საუკუნეებში გამოშვებულ მონეტებზე დაკვირვებამ დაგვანახა, რომ თბილისურ სპილენძზე მოთავსებული ცხოველის გამოსახულებები არ ემთხვევა თათრული ციკლის წელთა რიგს. ამ მხრივ ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ჰიჯრის 1124 წ. მოჭრილი მონეტა. თათრული წელთაღრიცხვით ეს წელი ნიანგის წელია, თბილისურ მო-

<sup>1</sup> Пахомов, Е. А., Монеты Грузии, Тбилиси, 1970, გვ. 214; დ. კაპანაძე, ნუმისმატიკა, თბილისი, 1969, გვ. 214; თ. ქუთელია, თბილისის ზარაფხანა XVII—XVIII სს., ვერცხლის ფული, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXII—B, თბილისი, 1978.



ნეტაზე კი გამოსახულია ურჩხული, რომელიც ნიანგის ექვივალენტურზე, მაგრამ ეს ფაქტი მაინც შემთხვევითი ხასიათისა უნდა იყოს.

თბილისური მონეტის მეორე მხარეზე მოცემულია სპარსული ზედწერილი „ფელუსი იქედა თბილისის“ და თარიღი.

მთელი XVII საუკუნის განმავლობაში თბილისური სპილენძის ფული ისევე, როგორც ირანული საქალაქო ფული, ანონიმურია. გამონაკლისს წარმოადგენს ერთი შემთხვევა, როდესაც მონეტებზე იკითხება სახელი სეფი, ჩვეუნი აზრით — ეს ირანის შაჰი სეფი I უნდა იყოს<sup>3</sup>.

თბილისური სპილენძის ფული, ისევე როგორც ირანული საქალაქო ფული ანონიმურია. XVII—XVIII საუკუნეების თბილისურ მონეტებზე აღნიშნულია შემდეგი თარიღები: ჰიჯრის 1055, 1075, 1081, 1090, 1093, 1094, 1095, 1096, 1103, 1112, 1120, 1124, 1130, 1131 წლები. ჰიჯ. 1120 წლის გამოშვებას ახლავს ევროპული თარიღიც 1708 ან 1709 წელი. XVII საუკუნის რამდენიმე სამონეტო ტიპზე თარიღი არ არის აღნიშნული. არსებობს კიდევ ერთი ტიპი, რომელზეც აღბეჭდილია 114 წინამდებარე წერილი სწორედ ამ თარიღის წაკითხვისადმია მიძღვნილი.

1708 წელს დიდი ხნის წყვეტილის შემდეგ საქართველოში გამოშვებულ მონეტაზე კვლავ ჩნდება ქართული წარწერა: ვახტანგ VI მოათავსა თავისი სახელი ვ ტ გ, შემდეგ სიმონმა ჰიჯ. 1124 წ. (1712) მოჭრილ მონეტებზე — ს მ ნ და ბაქარმა — ბ ქ რ ჰიჯ. 1130, 1131 წელს (1718—1719) მოჭრილ მონეტებზე. ფულზე ქართული წარწერის გაჩენა გულისხმობდა მისთვის ეროვნული ნიშნის დაბრუნებას, რაც ასახავდა ვახტანგ VI და მისი თანამედროვეების მიწრაფებას ეწარმოებინათ ირანისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკა და დაეხსნათ თავი ირანის მორჩილებისაგან.

ირანული სპილენძის ფული დღესდღეობით კარგად შესწავლილი არ არის, მაგრამ ყველა მკვლევარი იმ აზრისაა, რომ სპილენძის მონეტა სეფიანთა ირანში ყველგან ავტონომიური იყო და რომ შაჰის აპარატი მის მოჭრას არ აკონტროლებდა<sup>4</sup>.

ირანში გამოშვებული სპილენძის ფულის ღირებულება, როგორც ლითონისა მუდამ ნაკლები იყო მის ნომინალურ ღირებულებაზე და ამდენად ირანში იგი ნახევრად საკრედიტო იყო და მას იძულებითი კურსი გააჩნდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ყოველი ქალაქის მიერ მოჭრილი სპილენძის მონეტა მიმოიქცეოდა მხოლოდ იქ, სადაც ვრცელდებოდა ამ ქალაქის მმართველის ხელისუფლება და მონეტა სანახევროდ უფასურდებოდა მმართველის სიკვდილის შემთხვევაში.

XVII საუკუნის ბოლონელი მოგზაური კრუზინსკი ხატოვნად აღწერს ამ ვითარებას თავის თანადროულ ირანში: ადამიანს ძილის წინ ჯიბეში თუ 10

<sup>3</sup> R. St. Pool, Catalogue of the Shahs of Persia in the British Museum. London. 1887, გვ. XC; H. Z. Rabino di Borgomale. Coins, Medals and Seals of the Shahs of Iran (1500—1941), Hertford, 1945, გვ. 20; Раджабли А. И., О медном чекане в сефевидском государстве (XVII — начало XVIII вв.). Материалы по истории Азербайджана, Труды Гос. Музея по истории Азербайджана, т. XVI, Баку, 1963, 55.

<sup>3</sup> Кутелия Т. С., Взаимоотношения Грузии с сефевидским государством по нумизматическим данным (1501—1736), Автореферат, Тбилиси, 1977.

<sup>4</sup> Pool, ..., გვ. XC, Пахомов Е. А. Вес и достоинство медной монеты Тифлиса XVII—XVIII вв., отдельный оттиск из т. III. «Востоковедения», изд. вост. факультета, Аз. Гос. Университета, Баку, 1928.

გროში აქვს, დილას შეიძლება გაიღვიოს 5 გროშით ჯიბეში, იმ შემთხვევაში თუ ღამე მმართველი შეიცვალა<sup>5</sup>. აღამ ოლეარიუსის ცნობით, სპილენძის ფულზე ნიშანი ყოველ ახალ წელს იცვლებოდა<sup>6</sup>. რაბინოსა და ა. რაჯაბლის მიხედვით, რომ სპილენძის ფულის გადაჭედვა ახალი ტიპის მონეტებად ყოველ ნოვრუზობას ხდებოდა<sup>7</sup>. ჩვენი აზრით, ქეშმარიტებასთან უფრო ახლოს არიან ე. პახომოვი და ე. დავიდოვიჩი, რომელთაც მიაჩნიათ, რომ სპილენძის მონეტის ტიპი პერიოდულად იცვლებოდა, ოღონდ არა ყოველწლიურად<sup>8</sup>. ამგვარად, სპილენძის მონეტა მსგავსად ვერცხლისა დროდადრო ჯგუფდებოდა „ძველ“ და „ახალ“ ფულად და ამისდა შესაბამისად „ძველი“ იბრუნვოდა უფრო დაკლებული კურსით. მაგრამ ამ ორი ლითონის ფულს შორის ძირეული განსხვავებაც არსებობდა. ამ განსხვავების საფუძველი გახლდათ ის, რომ სპილენძის ფულს გააჩნდა ორმაგი ბუნება — პირობით-სავალუტო და ლითონური, რომლებიც ერთმანეთს არ შეესაბამებოდნენ. მართალია, ასეთი შეუსაბამობა ნაწილობრივ ვერცხლის მონეტასაც ჰქონდა, მაგრამ „ძველი“ ვერცხლის მონეტა ბრუნვაში მაინც რჩებოდა და მისი სიჭარბის შემთხვევაში შეიძლება განძაღაც დაღეჭილიყო, მაშინ, როდესაც „ძველი“ სპილენძი საგანგებოდ იკრძალებოდა ხოლმე. სპილენძის ფულის მოჭარბებისას მთელი სიმკვეთრით მყდენდებოდა მისი პირობით-სავალუტო ხასიათი და ირღვეოდა სპილენძ-ვერცხლის ფულადი მიმოქცევის მთელი სისტემა<sup>9</sup>.

თბილისურ სპილენძის ფულზე დაკვირვებამ ე. პახომოვი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მონეტაზე აღნიშნული თარიღი მისი მოჭრის დროს კი არ ნიშნავს, როგორც ეს ვერცხლის ფულზეა, არამედ ტიპის დამკვიდრებისა და გამოშვების დროს და რომ ხშირად ერთთარიღიანი ერთი და იგივე ტიპის მონეტა რამდენიმე წელს იჭრებოდა<sup>10</sup>.

თბილისის ზარაფხანაში სპილენძის ფული იჭრებოდა ირანული ფულადი სისტემით. უმცირესი ფულადი ერთეულის დინარის შესატყვისი, 5 ქოიავას აზრით, იყო ქართული ტერმინი „თეთრი“<sup>11</sup>. დინარი უდრიდა 1/5 ფულს ანუ ყაზბეგს (ტერმინი „ყაზბეგი“ ქართულ წყაროებში დამოწმებული არ არის). სულხან საბა ორბელიანის განმარტებით, შაური ათი ფულის ვერცხლს უდრის, ხოლო ტერმინი „ბისთი“ მას განსაზღვრული აქვს, როგორც 4 ფულის ანუ 20 დინარის შემცველი მონეტა<sup>12</sup>.

ე. პახომოვმა საფუძვლიანად შეისწავლა XVII—XVIII საუკუნეების თბილისის ზარაფხანის მიერ გამოშვებული სპილენძის ფული და დაადგინა, რომ

<sup>5</sup> Rabino, გვ. 20.

<sup>6</sup> Олеарий Адам. Подробное описание путешествия гольштинского посольства в Московию и Персию в 1633—1636 и 1639 годах, М., 1870, с. 729.

<sup>7</sup> Rabino, გვ. 20. Раджабли А. О. О медном чекане..., с. 64.

<sup>8</sup> Пахомов Е. А., Вест..., с. 90. Давидович Е. А. К организации обмена медных монет в Средней Азии конца XV — начала XVI вв. Труды АН Таджикской ССР, т. СХХ. Душанбе, 1960, с. 64.

<sup>9</sup> Давидович Е. А. Некоторые черты обращения медных монет в Средней Азии конца XV—XVI вв. и роль надчеканов, Известия АН Таджикской ССР, выпуск III, Душанбе, 1953, გვ. 72.

<sup>10</sup> Пахомов Е. А., Вест..., с. 90.

<sup>11</sup> 5 ქოიავა, ფულადი მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები ქართლსა და კახეთში XVIII საუკუნეში, თბილისი, 1963, გვ. 51.

<sup>12</sup> ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1968, გვ. 40, 390.

ამ დროს თბილისი უშვებს ორი ნომინალის ღირებულების მონეტებს: ნახევარ ბისის ანუ ორფულიანს და ერთ ფულს<sup>13</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისური სპილენძის მონეტები განძების სახით იშვიათად გვხვდება, რაც გამოწვეული უნდა იყოს სპილენძის ფულის თვისებებით. ასეთ ვითარებაში ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს საქართველოში აღმოჩენილი სპილენძის მონეტების ხუთი დიდი განძი: ყანდაურის, ატენის, დისევის, წალვლის, და ერთიც, რომელს აღმოჩენის ადგილი ცნობილი არ არის.

1969 წელს გურჯაანის რაიონ სოფელ ყანდაურაში აღმოჩნდა სპილენძის თბილისური მონეტების განძი — 164 ცალი (ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში ინვენტარის №№ 11290—11319). 1962 წელს გორის რაიონის სოფელ ატენში აღმოჩნდა 26 ცალი (ინახება საქ. სახ. მუზ. ნუმიზ. გან. ინვ. №№ 11582—1160—11608). 1963 წელს ზნაურის რაიონის სოფელ დისევში აღმოჩნდა 60 ცალი (ინახება საქ. სახ. მუზ. ნუმიზ. განყ. №№ 11215—11274). 1964 წელს ხაშურის რაიონ სოფ. წალვლში აღმოჩნდა თბილისური მონეტები (22, ინახება ხაშურის სამხარეო მკვლევარების მუზეუმში, ინვ. №№ 289—292, 1335—1552)<sup>14</sup>, სახელმწიფო ერმიტაჟში ინახება საქართველოში აღმოჩენილი სპილენძის მონეტების განძი — 60 ცალი (აღმოჩენის ადგილი ზუსტად ცნობილი არ არის). მონეტები ერმიტაჟის ნუმიზმატიკის განყოფილებაში შესულა 1939 წელს, ინვენტარის №№ 8585—8641, შემოსულობათა დავთარი № 583, იხ. № 539<sup>15</sup>.



სურ. 1ა, 1ბ

ამ განძების შესწავლამ დაგვანახა, რომ ე. პახომოვის მიერ წარმოდგენილი თბილისური მონეტების ტიპოლოგიური რიგი ერთგვარ შესწორებას მოითხოვს, კერძოდ ეს ეხება ე. პახომოვის მიერ ჰიჯრის 1014 წლით დათარიღებულ მონეტას. ვიძლევიტ ამ სამონეტო ტიპის აღწერილობას (სურ. 1).

I. ლომის გამოსახულება მარცხნივ, ზურგზე ყვავილოვანი ორნამენტით, მოთავსებულია წრიულ არშიაში, რომელიც შედგება ორმაგ ხაზოვან რკალში ჩაქედილი წერტილებისაგან.

II. მონეტის ცენტრში, ორნასკვიან ბუდეში ისეთივე ლომია გამოსახული,

<sup>13</sup> Пахомов Е. А. Вес..., с. 108, 109.

<sup>14</sup> Джалаганиа И. Л., Дундуа Г. Ф. Обращение ширванских монет XV века в Грузии (статья вторая). Известия АН Азербайджанской ССР, серия исторни, философии и права, № 1, Баку, 1974.

<sup>15</sup> Добровольский И. Г. Клад медных грузинских монет XVIII века, в собрании Эрмитажа, Прошлое нашей родины в памятниках нумизматики. Л., 1977, с. 178.

როგორც მეორე მხარეზე, ოღონდ უფრო მომცრო. ირველიც სპარსული ზედწერილია: ფულუსი იქედა თბილისს 114.

ამ თარიღს რ. პული, ა. მარკოვი, ე. პახომოვი და დ. კაპანაძე კითხულობენ, როგორც 1014 წელს, რაბინო როგორც — 1040<sup>16</sup>.

მონეტების უმრავლესობაზე გარკვევით იკითხება რიცხვი 114, მის წინ წერტილია, რომელიც შეიძლება ნულად მივიჩნიოთ. ასევე შეიძლება ეს წერტილი მოვათავსოთ ამ რიცხვის ნებისმიერი ციფრის წინ ანდა ბოლოში. მაშინ ჩვენ მივიღებთ 1014, 1104 ან 1140 (რაბინოს ვარიანტი — 1040 გაუმართლებელი ჩანს). ე. პახომოვი მიუთითებდა, რომ ერთ-ერთი ეგზემპლარის სიქაზე ნული ერთმანეთის შემდეგ არის დასმული და იკითხება თარიღი 1014<sup>17</sup>. თითქოსდა ამ თარიღის ერთადერთი სწორი წაკითხვაა ჰიჯრის 1014 წელი (1605—6).

ზემოთ აღნიშნული ხუთივე განძი შემადგენლობით იდენტურია და წარმოდგენილია თბილისის ზარაფხანაში 1700 წლის შემდეგ მოჭრილი მონეტებით.

ატენის, ყანდაურას, წალვლის განძები შედგებიან ჰიჯრის 1112, 1120, 1124, 1130 და 1131 წლებში მოჭრილი მონეტებისაგან, დისევის — ჰიჯრის 1120, 1124, 1130, 1131, ერმიტაჟში დაცული უპასპორტო განძი — 1112, 1120, 1124, 1130, 1131, 1168 და 1179 წლების მონეტებისაგან. აქედან 4 განძი შეიცავს ჰიჯრის 114 წლით აღნიშნულ მონეტას: ყანდაურა — 4 ცალს, დისევი — 9, უპასპორტო — 2 ცალს, ატენი — 1.

ყანდაურას, ატენის, წალვლის და დისევის განძები ჩაფლულია 1719 წლის შემდეგ, უპასპორტო კი 1766 წლის შემდეგ. თუ ჩვენთვის საინტერესო მონეტის პახომოვისეულ დათარიღებას ვაღიარებთ, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ 1605—6 წწ. მოჭრილი ყველაზე ადრეული თბილისური სპილენძის მონეტები ბრუნვაში დარჩენილან და მიმოიქცეოდნენ ასზე მეტი წლის განმავლობაში, XVIII საუკუნის შუა ხანებამდე, მაშინ როცა XVII საუკუნის არცერთი სხვა მონეტა ამ განძებში რატომღაც არ მოხვედრილა და საერთოდ იშვიათია მათი აღმოჩენის შემთხვევები გვიანდელ მონეტებთან ერთად. ეს გასაგებიცაა, თუ ვიგულისხმებთ სპილენძის მონეტის ზემოთ ნახსენებ საკრედიტო ხასიათს.

ეს წინააღმდეგობა მოხსნილი იქნება თუ მონეტაზე, რომელზეც აღნიშნულია თარიღი 114, დასმულ წერტილს მივიჩნევთ სამონეტო არის შემკულობად და დავუშვებთ, რომ ათასის აღმნიშვნელი ერთიანი არ არის აღნიშნული. ირანის ნუმისმატიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ოთხნიშნა თარიღს გადმოსცემენ სამი ციფრით. დაახლოებით ასეთივე შემთხვევაა ვახტანგ VI მონეტაზე, სადაც თარიღი 1708 სამი ციფრითაა გადმოცემული. 1114 წლის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ ჩვენამდე მოღწეულია ამ თარიღით აღნიშნულ მონეტათა გაცილებით მეტი (58) რაოდენობა, ვიდრე XVII საუკუნის რომელიმე ტიპისა, ასევე ბევრია ნაპოვნი XVIII საუკუნის სხვა დანარჩენი ტიპებიც.

<sup>16</sup> Марков А. К. Инвентарный каталог Императорского Эрмитажа, СПб., 1896, 766; Пахомов Е. А., Вес..., 91; დ. კაპანაძე, ქართული ნუმისმატიკა, გვ. 149.

<sup>17</sup> Pool, ... გვ. 213, № 4; W. H. Valentine, Modern Copper Coins of the Muhammedan States. London, 1911.



ამ ტიპის მონეტის გვიანდელი თარიღის სასარგებლოდ ლაპარაკობს მისი სტილისტური თავისებურებებიც და წონაც. როგორც წესი, სპილენძის ფულზე გამოსახულებები მხოლოდ მის ერთ მხარეზეა მოცემული (მეორეზე წარწერაა), განსახილველ ტიპზე კი ორივე მხარესაა გამოსახულება. ლომი მის ანალოგიად გამოდგება მხოლოდ ვახტანგ VI მონეტა, რომლის ერთ მხარეზე იალქნაინი ხომალდია გამოსახული, ხოლო მეორეზე — თევზი. განსახილველი ტიპის მონეტების საშუალო წონები მერყეობს 10 და 10,6, 10,65, 8,63 გ შორის, საშუალო წონა 9,32 გ. XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ორფულიანების წონა მერყეობს 9,45 და 10,95 გ შორის. საშუალო წონა უდრის 9,32, მაშინ როცა XVII საუკუნის თბილისური სპილენძის საშუალო წონა არ აღემატება 7,16 გ, გამონაკლისია ჰიჯრის 1055 წელი (1693—4 ნახევარი ბისტი წონით 8,90 გ).

ამგვარად, ჩვენი აზრით, ეს მონეტები მოჭრილია ჰიჯრის 1114 წელს (1702—3) ვახტანგ VI მმართველობის დასაწყისში. ასეთი მსჯელობა გასაგებს ხდის ზემოთ ჩამოთვლილი განძების შედგენილობასაც. თითოეული ეს განძი გვაძლევს თბილისის ზარაფხანის მიერ გამოშვებული სპილენძის ფულის რიგს ჰიჯრის 1112 წლიდან (1700) ვიდრე 1131 (1719) წლის ჩათვლით, ე. ი. ვახტანგ VI და მისი ოჯახის წევრების მიერ გამოშვებულ მონეტებს, რომლებიც ერთად იბრუნვოდნენ.

როგორც ირკვევა, თბილისის ზარაფხანაში სპილენძის მონეტის მოჭრა დაუწყიათ არა XVII საუკუნის დასაწყისში (1605—06), არამედ იმავე საუკუნის 30-იანი წლებიდან და დღესდღეობით პირველად გამოშვებულ ტიპად უნდა მივიჩნიოთ მონეტა, რომელზეც შაჰ სეფის სახელია აღნიშნული.

ამავე 1630-იანი წლებიდან იწყება თბილისის ზარაფხანაში ვერცხლის მონეტის რეგულარული ემისიაც.

КУТЕЛИЯ Т. С.

## К ДАТИРОВКЕ ОДНОГО МОНЕТНОГО ТИПА ТБИЛИССКОЙ МЕДНОЙ МОНЕТЫ

### Резюме

Статья посвящается датировке одного монетного типа тбилисской медной монеты, который ранее считался чеканенным в 1014 году хиджры (1605-6). Находки указанных монет в составе кладов совместно с медными тбилискими монетами, датированными 1112, 1120, 1124, 1130, 1131 гг. х., при полном отсутствии монет XVII века, дает возможность считать их чеканенными в 1114 г. х. (1702—3).

მ. ანთაძე

თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ოსმალური  
მონეტები

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში კახეთისა და ქართლის ურთიერთობა ძალზე გამწვავდა.

1723 წ. კონსტანტინე კახთა ბატონმა ლეკების დახმარებით თბილისი გადაწვა და ააოხრა. ქართლ-კახეთის შინაური უთანხმოებით ისარგებლა ოსმალებმა და ქართლის დასაპყრობად ჯარი გამოგზავნა.

1723 წ. ოსმალთა ლაშქარი ქართლში შემოიჭრა, კონსტანტინე კახთა ბატონმა, რომელიც ამ დროს გადამწვარ თბილისში იჯდა, ოსმალებს წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაუბედა და უომრად გადასცა თბილისის ციხის გასაღები.

ოსმალებმა კონსტანტინე დააპატიმრეს, ბაქარ ვახტანგის-ძე გაამაჰმადინეს, იბრეჰიმი უწოდეს და ქართლი ჩააბარეს. შემდეგ ოსმალებმა ქართლში გამაჰმადიანებული იესე მუსტაფა დასვეს.

1727 წ. ქართლის ნომინალური მმართველი იესე-მუსტაფა გარდაიცვალა. მას ოსმალებმა მემკვიდრე არ დაუნიშნეს და ამით ქართლში მეფობა გააუქმეს. ოსმალებმა ქართლის მმართველად ისააყ ახალციხის ფაშა დანიშნეს. მან სატახტო ქალაქად თბილისი გაიხადა და აქედან აწარმოებდა ყოველგვარ ურთიერთობას ოსმალეთთან. ამ დროს ოსმალთა ხელში აღმოჩნდა ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი და მათ შორის თბილისის ზარაფხანაც. თბილისის ზარაფხანის შესახებ შემდეგი ცნობა მოიპოვება: თათრის მოედნის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ძველად რომ მეჩეთი იდგა, იმის ზემოდან გზა მიდიოდა ზარაფხანისაკენ. ზარაფხანა და მისი უბანი ამ ადგილებში ჩანს უკვე 1678 წელს<sup>1</sup>.


ოსმალთა ოკუპაციის დროს თბილისის ზარაფხანამ არამც თუ შეწყვიტა მოქმედება, არამედ მოიჭრა ოსმალო სულთნის სახელით მონეტები.

თბილისის ზარაფხანის იმდროინდელი პროდუქცია წარმოდგენილია ვერცხლის, ოქროსა და სპილენძის მონეტებით. გაცილებით მეტია ვერცხლის ნომინალები, ვიდრე ოქრო და სპილენძი<sup>2</sup>. რაც შეეხება თბილისის ზარაფხანაში მოჭრილ ოქროს მონეტებს, საქ. სახ. მუზეუმის ნუმისმატიკურ ფონდში მხოლოდ ორი ცალია დაცული<sup>3</sup> (სურ. 1).

<sup>1</sup> მ. ბერძენიშვილი. თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში. თბ., 1965, გვ. 33.

<sup>2</sup> ოსმალური სპილენძის მონეტა ერთადერთი ცალია დაცული საქ. სახ. მუზეუმის ნუმის. ფონდში.

<sup>3</sup> იხ. განძების ფონდი. № 5086, ქართ. დ. ფ. № 4975.



ფეოდალური ხანის საქართველოში ოქროს ფულის მოჭრის შესახებ წერილობითი წყაროები ძალიან მცირე ცნობებს გვაწვდიან.

ზაქარია ყაზვინის ცნობით, საქართველოში არსებობდა მშვენიერი ოქროს ფული დინარი, პერპერად წოდებული, რომელიც თითო მისხალ შალალხარის-ხოვან ოქროს იწონიდა. აკად. ივ. ჯავახიშვილი მას მიიჩნევს ქართველი მეფეების მიერ მოჭრილ ოქროს ფულად და აღნიშნავს, რომ ეს ფული ბრუნვაში ყოფილა საქართველოს დედაქალაქ თბილისში<sup>4</sup>. ამ ცნობიდან არ ჩანს, რომ იგი ქართველთა მიერ მოჭრილი ოქროს მონეტა იყო. საფიქრებელია, რომ აქ ნაგულისხმევია ბიზანტიური ოქროს ფული პერპერა, რომელიც იმდენად ყოფილა გავრცელებული, რომ გენუელებს ბიზანტიური მონეტების ყაიდით დაუწყიათ ადგილობრივი ფულის გამოშვება<sup>5</sup>. შესაძლებელია იმ ხანად საქართველოში იჭრებოდა ბიზანტიური ყაიდით მონეტები, რომელსაც ზაქარია ყაზვინი უწოდებს პერპერას და ივ. ჯავახიშვილი მას მიიჩნევს ქართულ ფულად, მაგრამ ასეთი მონეტის აღმოჩენის შემთხვევა დღემდე დადასტურებული არ არის.

საქართველოში ოქროს ფულის არსებობის შესახებ ცნობას გვაწვდის თემურლენგის ისტორიკოსი შერეფ-ად-დინ ალი იეზდი. მისი გადმოცემით, გიორგი VII თემურ ლენგისათვის გაუგზავნია ათასი ოქროს მონეტა აღბეჭდილი ლენგის სახელით<sup>6</sup>, მაგრამ არც ეს ცნობაა სარწმუნო. გ. დუნდუას აზრით, თემურ ლენგმა შეიძლება თბილისის აღების აღსანიშნავად საქართველოს ზარაფხანაში მოაჭრეინა მონეტები, რომელიც შემდეგ გიორგი VII-ს ჩაუუარდა ხელთ<sup>7</sup>. შესაძლებელია გიორგი VII ეს მონეტები თემურ ლენგს გაუგზავნა საჩუქრად.

ზემოთ აღნიშნული ცნობები ადრეულ საუკუნეებში საქართველოში ოქროს მონეტის მოჭრის შესახებ დღემდე ცნობებად რჩება. ოქროს მონეტის მოჭრის შემთხვევა თბილისის ზარაფხანაში ოსმალთა ბატონობამდე არ გვხვდება. ოსმალური ოქროს მონეტა ალთუნი პირველად მოიჭრა XVI საუკუნეში ქ. არტანუჯში (სამხრეთ საქართველო<sup>8</sup>), XVIII ს. 20-იან წლებში კი თბილისში. ქ. არტანუჯში მოჭრილი ალთუნი საქართველოსა და სამტრია კავშირის ნუმიზმატიკურ საცავებში არ მოიძიება. თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ალთუნი 1941 წელს იპოვეს ქუთაისში, კათოლიკეთა ეკლესიის ეზოში, რომელსაც დ. კაპანაძე თბილურ საოკუპაციო მონეტად მიიჩნევს<sup>9</sup>. მაგრამ ამ მონეტას ქართული არა გააჩნია რა გარდა იმისა, რომ მოჭრის ადგილად თბილისია მითითებული, ამიტომ იგი ქართულ მონეტად არ მიიჩნევა და ამ შემთხვევაში დ. კაპანაძის მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ.

მოგვეყავს ზემოთ დასახელებული ალთუნის აღწერილობა:

1. გ. ფ. № 5086, წონა 3,47 გრ, ზომა 19 მმ.

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია. ტფ., 1925, გვ. 8.

<sup>5</sup> Дж. Луцатто, Экономическая история Италии. 1954, с. 410.

<sup>6</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

<sup>7</sup> გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV ს. საქართველოში. თბ., 1964, გვ. 79.

<sup>8</sup> A. C. Schaendlinger, Osmanische numismatik, Braunschweig. 1973, გვ. 101.

<sup>9</sup> დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ., 1950, გვ. 292—93.



შუბლი: მონეტის ცენტრში „თულრა“ — აჰმედ III სახელის დაქარაგმვა,  
ზურგი: სამსტრიქონიანი ზედწერილი.

საქართველო  
თბილისი

صرب فی  
تفليس  
۱۱۱۵

მოიჭრა  
თბილისში  
1115 წ.

ირველივ ორმაგი რკალი. ხაზოვანი და წერტილოვანი.

საყურადღებო ფაქტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ, გარდა ალთუნი-სა, თბილისის ზარაფხანაში ამ დროს მოიჭრა ორმაგი ალთუნი التون اشرفي, რომელიც დიდ იშვიათობას წარმოადგენს და დღემდე ცნობილი იყო როგორც ერთადერთი ცალი. მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ნუმისმატიკურ ფონდსა და ლენინგრადის ერმიტაჟის ნუმისმატიკურ საცავში მსგავსი მონეტა არ მოიძიება, საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმის. ფონდში კი ინახება ერთი ეგზემპლარი, რომელიც ე. პახომოვის კოლექციიდან შემოვიდა 1965 წელს.

მოგვეყავს ამ მონეტის აღწერილობა.

2. ქართ. ძირით. № 4975, წონა 6,15 გრ, ზომა 30/32 მმ.

შუბლი: ცენტრში „თულრა“, ქვემოთ მოჭრის ადგილი და თარიღი

صرب فی  
تفليس  
۱۱۱۵

მოიჭრა  
თბილისში  
1115

ზურგი: სულთნის მედიდური ეპითეტი ოთხ სტრიქონად.

سلطان البرين  
و حاقان البحرین  
السلطان ابن  
السلطان

სულთანი ორი ხმელეთისა  
და მპყრობელი ორი ზღვისა  
სულთანი ძე  
სულთნისა.

მონეტას გარს უვლის წერტილოვანი რკალი.


XVIII ს. 20-იან წლებში თბილისის ზარაფხანაში ოსმალებმა მოჭრეს ვერცხლის ფულის რამდენიმე ნომინალი. ამ დროინდელი ქართული დოკუმენტები თბილისის ზარაფხანაში მოჭრილ „ახალ თეთრს“ ასახელებენ, რომელიც გაიგივებულია ყურუშთან, მაგრამ ეს ნომინალი, თუკი ის მართლაც იჭრებოდა თბილისში, ჯერჯერობით უცნობია. ასევე მითითებულია თბილური ონლიქები და ბეშლიქები.

პირველი თბილისური ონლიქები ჰიჯრის 1115 წლით (1703—4) თარიღდება, მაგრამ ოსმალური სამონეტო წესის თანახმად, ხშირად მონეტაზე აღინიშნებოდა სულთნის ზეობის პირველი წელი და არა ემისიის რეალური თარიღი. სინამდვილეში მონეტის მოჭრის თარიღი მოდის ჰიჯრის 1135—1143 (ე. ი. 1723—1730) წლებს შორის, თბილისის აღებიდან — აჰმედ III-ის ზეობის ბოლო წლებამდე<sup>10</sup>. 1115 წ. დათარიღებული თბილისის ზარაფხანაში

<sup>10</sup> მ. ანთაძე, თბილისში მოჭრილი იშვიათი ოსმალური ოქროს მონეტა. „ქეგლის მეგობარი“. თბ., 1971, № 23, გვ. 29—30.

მოჭრილი ონლიქი გვხვდება მურჯახეთისა და ზღუდერის განძებში. მოგვყავს მათი აღწერილობა:

3. გ. ფ. № 11461, წონა 5,41 გრ, ზომა 24/25 მმ.



შუბლი: მონეტის ცენტრში „თულრა“. მოჭრის ადგილი და თარიღი

صرب في

მოიჭრა

تفليس

თბილისში

۱۱۱۵

1115 წ.

ირგვლივ წერტილოვანი რკალი.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი ზედწერილი.

سلطان البرين  
و حاقان البحرین  
السلطان ابن  
السلطان

სულთანი ორი ზღვისა  
და მპყრობელი ხმელეთისა  
სულთანი ძე  
სულთნისა.

ონლიქი თბილისის ზარაფხანაში იჭრებოდა მაჰმუდ I-ის (1730—1754 წწ.) დროსაც. მოჭრის თარიღად მითითებულია ჰიჯრის 1143 (170/31 წ.).

4. ქართ. დ. ფ. № 4988, წონა 5,38 გ, ზომა 26/27 მმ.

შუბლი: მაჰმუდ I-ის სახელის დაქარაგმება ანუ „თულრა“.

ზურგი:

صرب في

მოიჭრა

تفليس

თბილისში

۱۱۴۳

1143 წ.

صرب სიტყვის ბოლო ასო  $\text{پ}$ -ში მოთავსებულია ორნამენტი.

მონეტას გარს უვლის რკალი.

როგორც აღვნიშნეთ, თბილისში ოსმალები ჰრიან ბეშლიქებს, რომლებიც ჰიჯრის 1115 წ. თარიღდება. იგი გარეგნულად არ განსხვავდება ონლიქისაგან. ე. პახომოვის მიერ აღწერილი მონეტის წონა შეადგენს 2,65 გრამს<sup>11</sup>. საქართველოს სამონეტო განძებში მსგავსი მონეტა ჯერჯერობით არ აღმოჩენილა.

ოსმალური ვერცხლის ფულის მესამე ნომინალი, რომელიც თბილისში მოიჭრა, არის ნიმბეშლიქი. ის უაღრესად იშვიათი მონეტაა და დღეისათვის მხოლოდ ორი ცალია. მისი მოჭრის თარიღია ჰიჯრის 1115 წ. ზედწერილები ისეთივეა, როგორც ონლიქზე. წონა შეადგენს 1,26 გ. ასევე იშვიათია მაჰმუდ I-ის სახელით მოჭრილი ნიმბეშლიქიც, რომლის წონა 1,19 გრამია<sup>12</sup>.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ოსმალთა ბატონობის დროს თბილისის ზარაფხანაში მოიჭრა სპილენძის მონეტა, რომელიც უკანასკნელ დრომდე არ იყო ცნობილი<sup>13</sup>. მონეტა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმისმატიკურ ფონდში.


<sup>11</sup> E. A. Пахомов. Монеты Грузии. Тб., 1970, с. 229.

<sup>12</sup> დ. კახანაძე. ქართული ნუმისმატიკა. თბ., 1969, გვ. 144.

<sup>13</sup> დ. კახანაძე. იქვე. ეს მონეტა არ არის ნაჩვენები დასახელებულ ნაშრომში.

5. ქართ. ფ. № 5020, წონა 7,65 გ.  
შუბლი: მონეტის ცენტრში „თულრა“  
ზურგი: სამსტრიქონიანი ზედწერილი.

ზომა 15/22 მმ.



صرب في  
نفليس  
۱۱۴۳

მოიჭრა  
თბილისში  
1143 წ.

თბილისში ოსმალების მიერ მონეტის მოჭრა მაჩვენებელია იმისა, რომ თურქეთი ქართლზე ავრცელებს თავის პოლიტიკურ და ეკონომიკურ უფლებებს. ამას ადასტურებს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი, ისე სხვადასხვა მუზეუმებში დაცული თბილისში მოჭრილი ოსმალური მონეტები.

M, АНТАДЗЕ

## ТУРЕЦКИЕ МОНЕТЫ ЧЕКАНЕННЫЕ В ТБИЛИСИ

Резюме

В 1723 году турки заняли столицу Грузии Тбилиси, а в 1727 г. правителем Картли назначили Исаак ахалцихского пашу, который своей столицей избрал Тбилиси и отсюда вёл всякие переговоры с османской Турцией. Наряду с другими значительными пунктами города, турки овладели и монетным двором.

При турецкой оккупации тбилисский монетный двор не только не прекратил своего существования, но начал чекан монеты от имени турецкого султана. Выпускались монеты медные, серебряные и золотые (алтуны, онлыки, бешлыки и нимбешлыки).

Две золотые турецкие монеты Тбилисского чекана, хранятся в нумизматическом фонде Гос. Музея Грузии.

Письменные источники сохранили очень скудные сведения о чекане золота в феодальной Грузии.

Чекан золота в Грузии материальное подтверждение получает после распространения турецкого владычества в Грузии. Мы реально располагаем алтуном выпущенным в Артанудже в XVI в, а затем в XVIII в. в Тбилиси.

Примечательно, что помимо алтуна, в Тбилиси в это время выпустили и двойной алтун — التون اشرفي алтун ашрефи, представляющий большую редкость. До появления экземпляра из коллекции Е. А. Пахомова, он был известен в единственном числе. Отсутствует он и в таких больших собраниях, как Гос. Эрмитаж и Московский Исторический Музей.

Сам факт существования тбилисского алтуна указывает, что этот монетный двор осуществлял довольно регулярную эмиссию, и чеканил, конечно, не грузинскую монету.

В грузинских документах 20-30-ых годов XVIII в. упоминается выпущенное на тбилисском монетном дворе «ахали тетри» (новое серебро) — куруши, но если он и выпускался здесь, нам пока, не известен. В то же время в нумизматической литературе есть указания о существовании тбилисских онлыков и бешлыков.

Первые тбилисские онлыки датированы 1115 г. х (1703), но согласно правилам действующим в монетном деле Турции, на монете отмечался инициальный год вступления султана на трон, именем которого выпускалась монета, а не реальная дата эмиссии. Как справедливо отмечал в свое время проф. Е. А. Пахомов в действительности дата чекана приходится на 1135—1148 гг. х. (1723—1730), т. е. на годы с момента взятия Тбилиси турками и до последнего года властвования султана Ахмеда III.

Чекан в Тбилиси монет турецкого образца свидетельствует, что Турция на Картли распространяет как политические, так и экономические права.



ბ. კიკნაძე

## შუასაუკუნეთა ერთი სახეობის თიხისა და ლითონის სასანთლეები

სხვადასხვა ტიპისა თუ სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული ჭურჭლის (სხვა დანიშნულების ნივთთა) ფორმათა თუ შემკულობის ურთიერთშეგავლენა ამდიდრებდა და ახალ ძალას მატებდა როგორც ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო ნივთებს, ისე მხატვრული ხელოსნობის ნაწარმს. ასეთი ურთიერთშეგავლენა უკვე უძველესი დროიდანვე შეიმჩნევა და მკვლევართა მიერ არაერთგზისაა ხაზგასმული<sup>1</sup>.

ლითონისა და თიხის ჭურჭლის ფორმათა ურთიერთშეგავლენის კარგ მაგალითს წარმოადგენს, ერთი მხრივ, თიხის მოჭიქული სასანთლე, აღმოჩენილი დმანისში, ხოლო, მეორე მხრივ, ლითონის სასანთლეები ზღუდრიდან და სვანეთიდან.

დმანური სასანთლე (2—62:363)<sup>2</sup> დამზადებულია წმინდად განლეპილი წითელი თიხისაგან, კარგადაა გამომწვარი, გადავლებული აქვს თეთრი ანგობი და მოჭიქულია ღია მწვანედ (სალათისფრად). სასანთლე ორნაწილიანია. ქვედა ნაწილი წაკვეთილი კონუსის ფორმისაა (როდინისებრი; იგი ღრუა). კონუსის შუაში ამოზიდულია სანთლის ჩასამაგრებელი მილი (ზომები: ძირის დმ—11,2 სმ, სიმაღლე—12 სმ, სანთლის ჩასამაგრებელი მილის დმ—2,8 სმ) (სურ. 1.)

სასანთლე აღმოჩენილია დმანისის ნაქალაქარზე — უბანი I, კვ. 6 (1963 წ.). თიხის ანალოგიური ფორმის სასანთლეები საქართველოს სხვა ძეგლებიდან ჩვენთვის უცნობია.


კეცისა და მოჭიქვის ტექნიკის მიხედვით იგი ანალოგიურია XII—XIII სს-ის ერთფრად (მონოქრომული) მოჭიქული ჭურჭლისა, რომელიც მრავლად გვხვდება როგორც დმანისში, ასევე ამ ხანის საქართველოს სხვა ნაქალაქარ-

<sup>1</sup> ნ. ჯაფარიძე, ბრინჯაოს ხანის ოქრომუდლობა საქართველოში, 1981, გვ. 49—51, 52, სურ. 3, ტაბ. XV; მ. საგინაშვილი, ი. გაგოშიძე, ალგეთის ფილა, „მაცნე“ — ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1973, № 4, გვ. 93; А. М. Беленицкий, И. Б. Бентович, О. Г. Большаков, Средневековый город Средней Азии, Л., 1973, с. 56—57, рис. 26; А. Л. Якобсон, Керамика и керамическое производство средневековой Таварики, Л., 1979, с. 87; А. Л. Якобсон, Раннесредневековый Херсонес, МИА, № 63, М.—Л., 1959, с. 350—351; გ. კვიციანი, ირანის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1968, გვ. 58—67, 86—90, 101—110; გ. კიკნაძე, შუასაუკუნეების ქართული ლითონის ჭურჭელი, თბ., 1971, გვ. 52.

<sup>2</sup> დატულია საქ. სახ. მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილებაში, დმანისის ფონდში.

ნასოფლარებზეც: რუსთავი, გუდარეხი, უჯარმა, არეშის ნაქალაქარზე და სხვ.<sup>3</sup>

ამავე თარიღზე (XII—XIII სს.) უნდა მიუთითებდეს მისი აღმოჩენის ადგილზე დადასტურებული სხვა ნივთიერი მასალა, ე. ი. სტრატეგიათა მონაცემები. დმანისის ნაქალაქარის I უბნის № 6 კვადრატის დაახლოებით იმავე დონიდან მომდინარეობს ფრინველის გამოსახულებიანი ჯამის ფრაგმენტი (2—62 : 323). თეთრ ანგობზე ამოკაწრული ნახატი მოხატულია ყავისფრად, მწვანედ და მუქ სოსანისფრად. გადავლებული აქვს გამჭვირვალე ჭიქური. ასეთი ჭურჭელი XII—XIII სს-თვისაა დამახასიათებელი. გარდა დმანისისა, ასეთივე ჭურჭელი აღმოჩენილია თბილისში — განჯისკარში, რუსთავში და სხვ.<sup>4</sup> ჯამის ფრაგმენტი ცხოველის ფეხის გამოსახულებით (ინვ. 2—62 : 354), რომელიც იმავე ხანით უნდა თარიღდებოდეს<sup>5</sup>.



სურ. 1

ამავე დროს უნდა განეკუთვნებოდეს ბადურორნამენტიანი პოლიქრომული ჯამის ფრაგმენტები (2—62 : 350); თეთრ ანგობზე ამოკაწრული მარყუჟებით და სხვა სახეებით, რომელთაც გადავლებული აქვს მწვანე ჭიქური (2—62 : 334, 2—62 : 339).

XII—XIII სს-ზე უნდა განეკუთვნებოდეს თეთრი ანგობით მოხატული და ლურჯ ჭიქურგადავლებული „ყურიანი“ ჯამების ნატეხები. ისინი თბილისის სახელოსნოში და სხვა შუაფეოდალური ხანის ძეგლებზეც გვხვდება<sup>6</sup>. მათი თანადროულია მრგვალი ფორმის, წითელკეციანი თეთრი ანგობით დაფარული

<sup>3</sup> მათ შორისაა ჯამები, სამარილები, კრაქები და სხვა ტიპის ჭურჭელი. იხ. ვ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა, 1956, ტაბ. XV—2, XVI, XXIX, XXXII—1, 2, გვ. 25, 27; მ. მიწიშვილი, მოკლეული ჭურჭელი ძველ საქართველოში IX—XIII სს., თბ., 1967, ტაბ. X, ტაბ. XIII, XV, XIX, V—1, 2, VI, VII—2, VIII—1, X, გვ. 23—24, 58.

<sup>4</sup> ვ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., XXXIX—X, III; მ. მიწიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 37—41.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 41—42, ტაბ. XXX—XXXI; ვ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., X, IV—X VII, გვ. 31.

<sup>6</sup> მ. მიწიშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. I—1, 2.

და მწვანე ჭიქურგადავლებული სამარილე (ინვ. 2—62 : 348)<sup>7</sup>, მანგანუმით მონახტული მოჭიქული ჭურჭელი (2—62 : 352), წითელ კეცზე თეთრი ანგობით მონახტული და მწვანე ჭიქურგადავლებული (2—62 : 310)<sup>8</sup>, ანგობით მონახტული და ნაღვენთებით შემკული და გამჭვივალე ჭიქურგადავლებული (2—62 : 346), თეთრ ანგობზე ამოკაწრული დათვის ფარი და ცისფერ ჭიქურგადავლებული (2—62 : 349). დაახლოებით ამავე დროის უნდა იყოს მე-6 კვადრატში აღმოჩენილი ფაიანსის ჭურჭლის ნატეხები<sup>9</sup>, ჭურჭლის სამფეხა სადგამები (ჭიქურდაღენთილი), რომლის მსგავსი მრავლადაა განჯისკარის სახელსწონში<sup>10</sup>.

განსახილველ მასალაში გვხვდება მოუჭიქავი ჭურჭლის კარგად ცნობილი ტიპებიც: შტამპურორნამენტიანი დერგის ნატეხები (2—62 : 313, 2—62 : 378) ცხოველებისა და გეომეტრიული სახეებით. ანალოგიური ჭურჭელი ფართოდაა ცნობილი რუსთავიდან, თბილისიდან და სხვა ძეგლებიდან. თარიღდება XII—XIII სს-ით<sup>11</sup>.

ამავე ნივთებთან ერთად აღმოჩენილია შავი, თაფლისფერი, მწვანე მინის გრებილი და სადაღეროიანი სამაჯურები, აგრეთვე მონახტული სამაჯურის ნატეხი. ყველა ისინი ზოგადად XI—XIII სს-ისაა<sup>12</sup>. სხვა ნივთებიდან აღსანიშნავია სპილენძის ბეჭედი (2—62 : 310)<sup>13</sup>, ძვლის „კვირისტავი“ (2—62 : 314)<sup>14</sup>.

ასეთია სასანთლესთან ერთად პირველი უბნის № 6 კვადრატში აღმოჩენილი მასალის თარიღი.

I უბნის მასალებს დმანისის ნაქალაქარი უმეტესად XII ს-ით ათარიღებს; საერთოდ კი ნაქალაქარზე ყველაზე ძლიერი ფენა XIII საუკუნისა ჩანს<sup>15</sup>.

ყოველივე ამის გამო შეიძლება დავასკვნათ, რომ განსახილველი სასანთლე XII—XIII საუკუნეებს განეკუთვნება.

აღსანიშნავია, რომ გასანათებელ „იარალ-ჭურჭელს“ შორის (ამ ტიპის სასანთლეები) საქართველოში დიდი რაოდენობით არაა აღმოჩენილი<sup>16</sup>. ამ დროს უფრო პოპულარულია ქრაქები (ე. ი. პატრუქიანი, თხევადი საწვავით გასანათებელი იარაღი).

<sup>7</sup> ვ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXXII—1, 2.

<sup>8</sup> იქვე, ტაბ. XIII; მ. მიწიშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. II—2.

<sup>9</sup> რ. შამაიაშვილი, ფაიანსი შუასაუკუნეთა საქართველოში, 1975, ტაბ. X—XI (ლესტრიანი), ტაბ. III—VI.

<sup>10</sup> მ. მიწიშვილი, მოჭიქული კერამიკის საწარმო შუასაუკუნეების თბილისში IX—XIII სს., თბ., 1979, ტაბ. IX—1.

<sup>11</sup> თ. არჩვაძე, მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის წარმოების ისტორიისათვის შუასაუკუნეთა საქართველოში (რუსთაველი დერგები). ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1969, ტაბ. III, 4, 5, 6, 7, ტაბ. II—6, გვ. 126—132.

<sup>12</sup> რ. დოლაბერიძე, საქართველოს მინის სამაჯურები, სსმ XXVIII—B, 1969, გვ. 105, 107.


<sup>13</sup> რ. დოლაბერიძე, XI—XIII სს. ბეჭდები, სსმ, ტ. XXXII—B, 1967, გვ. 178 (ტაბ. 1—4).

<sup>14</sup> თ. კერესელიძე, ძვლის ნივთების კატალოგი, თბ., 1978, ტაბ. IX—გ—12, ტაბ. X—1, 3, გვ. 19—20.

<sup>15</sup> ვ. ჯაფარიძე, შოთა რუსთაველის ეპოქის ნაქალაქარი დმანისი და მისი არქეოლოგიური შესწავლა, ძეგლის მეგობარი, № 8, 1966, გვ. 35, 36.

<sup>16</sup> სასანთლეებისა და საერთოდ გასანათებელი ხელსაწყოების შესახებ ძველ საქართველოში იხ. ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 39, 64, 83—85; აგრეთვე ტერმინისათვის იხ. საბა, სიტყვის კონა, — სანათი, სანთებელი — სანთელი, აღსანთებელი და ა. შ.

ზოგადად აღნიშნული ტიპის სასანთლე გვიან შუა საუკუნეების მანძილზე ყირიმში და ბალკანეთის ქვეყნებში გვხვდება, მაგრამ მათ შორის დმანურის ზუსტი ანალოგი არ ჩანს; მასთან შედარებით ახლოს დგას გვიანი შუა საუკუნეების ყურთიანი სასანთლეები რუმინეთიდან<sup>17</sup>. განხილული ტიპის თანამედროვე ფორმები ჩვენთვის უცნობია აღმოსავლეთის (ირანული, შუააზიურ და სხვ.) მასალებიდანაც.



სურ. 2

გვიანი შუა საუკუნეების (XV—XVIII სს.) საქართველოში გავრცელებულია მაღალი, თიხის შანდლისებრი სასანთლეები<sup>18</sup>. მათი შემსწავლელი თ. არჩვაძე სამართლიანად შენიშნავს, რომ გვიან შუა საუკუნეების სასანთლეები ფორმით ლითონის შანდლებს გვანან.

<sup>17</sup> Corina Nicolescu si Paul Petrescu—Ceramiča Româ neaca Traditionala — Bucuresti, 1974, ტაბ. 59.

<sup>18</sup> თ. არჩვაძე, აღმოსავლეთ საქართველოს გვიანფეოდალური ხანის მოლქიჯავი თიხის ნაწარმი, ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, III, 1978, გვ. 118, 131.



ამგვარად, განხილული თიხის დმანურ სასანთლეს ქართულ და მეზობელი ქვეყნების თიხის მასალებში ანალოგიები არ მოეძებნება. პარალელად გამოდგება მხოლოდ ლითონის სასანთლები. ერთ-ერთი ასეთია სტეფენის სასანთლეს სოფ. ბანიდან (სურ. 2)<sup>19</sup>. მას წაყვეთილი კონუსის ფორმის სასანთლის ზედა ნაწილი ოდნავ ჩაღრმავებულია, რომლის ცენტრში გადაკვეთილი კოპი ზის. მასზე მირჩილული უნდა ყოფილიყო სანთლის ჩასადები ბუდე. სასანთლის ტანს ორი რელიეფური ზოლი დაუყვება. ზედაპირი მთლიანად დაფარულია ორნამენტით. გამოყენებულია ექვსი სხვადასხვა მოტივი.

სასანთლის ზედა ნაწილი სარტყლებადაა დაყოფილი. პირველი სარტყელი ეს არის ტეხილი ხაზებით შექმნილი ტოლფერდა სამკუთხედების მწკრივი. მომდევნო სარტყელი პარალელური ხაზებით ცხრამეტ სექტორადაა დაყოფილი, რომელთა შორის მოგრო ფოთლები თავშექცევითაა ჩასმული. მესამე სარტყელზე, რომელიც შედარებით ვიწრო ზოლს წარმოადგენს, მცენარეული ტოტის დინებაა მოცემული.

სასანთლის ტანის ზედაპირი სამი არათანაბარი ზომის სარტყლისაგან შედგება. ზედა სარტყელში, რომელიც ყველაზე ვიწროა, მოცემულია გრებილი თოკის ორნამენტი, შუა სარტყელი განიერია. მასში ექვსი წრეხაზია (მედალიონი) ამოკვეთილი. წრეში ჩასმულია შეიდი ექვსფურცელა ყვავილი. დიდ წრეხაზებს შორის პატარა წრეებია ჩასმული, რომელთა ცენტრში ჯვარი, თუ ჯვრის ტიპის ტოლმკლავა ყვავილია გამოსახული. მესამე სარტყელში მცენარეული მოტივია ამოჭრილი. ორნამენტი ამოკვეთითაა შესრულებული, გამოყენებულია პუნსონი. სასანთლე ჩამოსხმულია, შიდაპირს ჩარჩზე დამუშავების კვალი ეტყობა (სიმაღლე — 10 სმ, პირის დმ — 16 სმ).

სასანთლის აღმოჩენის ზუსტი ვითარება უცნობია. ცნობილია, რომ ნაპოვნია ქარელის რაიონის სოფ. ბანში, იმერხევის ანუ ღვანანას ხეობაში (იგი სოფელ ზღუდრის სამხრეთით მდებარეობს და შედის ზღუდრის სასოფლო საბუქოში).

როგორც აღენიშნეთ, სასანთლეს აკლია სანთლის ჩასამაგრებელი მილი. სხვა მხრივ ფორმით ზედმიწევნით ჰგავს დმანურს, ოღონდ ოდნავ უფრო „დამჯდარი“ ფორმა ახასიათებს; ზედაპირი დამუშავებული და ორნამენტირებულია. ჭურჭლის ქვედა ფრინი, როგორც აღენიშნეთ, შემკულია მცენარეული დინების ორნამენტით ანუ „ისლამით“, რომელიც ცნობილია ადრეული შუა საუკუნეებიდან გვიან შუა საუკუნეებამდე<sup>20</sup>. ამ ორნამენტით შემკულია XII—XIII სს-ის ქართული არქიტექტურის, ლითონმქანდაკეობისა და მოჭიქული კერამიკის მრავალი ნიმუში<sup>21</sup> აღმოსავლური ლითონის ჭურჭელი<sup>22</sup>, კერამიკა<sup>23</sup>.

<sup>19</sup> დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიმდინარე შემოწირულობათა ფონდში. ინვ. № 38—65 : 1.

<sup>20</sup> გ. კვიციანი, ირანის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1968, გვ. 111—114.

<sup>21</sup> რენე შმერლინგი, ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, 1957; Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство; ვ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXXIII—4, XXXVIII—3, 4.

<sup>22</sup> В. П. Даркевич. Художественный металл Востока, М., 1976, с. 115, табл. 36—5, 6. XI—XIII вв.

<sup>23</sup> Pope SPA, ტაბ. 584, IX—X სს. ტ. 622 (XI საუკ.) გეხვდება XVII ს-შიც, ტაბ. 800—B.

„ისლიმი“ გვხვდება ბიზანტიურ ნაწარმზეც<sup>24</sup>. სასანთლის შემკულობის სტილი ძლიერ გავს გეომეტრიულ, „ხალიჩისებრ“ ორნამენტაციას, რომელიც დამახასიათებელია XI—XIII სს-ის ლითონის ნაკეთობისა და მოჭიქული ჭურჭლისათვის<sup>25</sup>. ამ ხანის (XI—XIII სს.) ლითონისა და მოჭიქულ ჭურჭელში უხვდნენ პარალელები სასანთლის მედალიონში ჩასმულ მრავალფერულას, მანებს, მედალიონებს<sup>26</sup>. სასანთლის ზედაპირის დასამუშავებლად გამოყენებული ხერხები — პუნსონი, გრავირება — მოგვაგონებს XII საუკ. ლითონის ნაწარმს<sup>27</sup>.

ყველა ზემოთ მოყვანილი მონაცემის მიხედვით ბანური სპილენძის სასანთლე შეიძლება დათარიღდეს XII—XIII სს-ით.

ახლა რაც შეეხება მისი წარმომავლობის საკითხს. აღნიშნული სასანთლე ჩვენ მიერ გამოცემულ „ლითონის ჭურჭლის კატალოგი“ (თბ., 1974, ტაბ. XXI—44) პირობითად მივიჩნიეთ ირანულ ნაწარმად და დავათარიღეთ იგი XIV—XV სს. (ირანულის მსგავსად). დღეს კი გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მისი ირანულობა უეჭველი არაა და უფრო ადგილობრივ ნაწარმად შეიძლება მივიჩნიოთ. ჯერ ერთი, ამის სასარგებლოდ მეტყველებს დმანური თიხის სასანთლის არსებობა, რომელიც XII—XIII სს. თარიღდება და, რაც მთავარია, ამ ტიპის სასანთლეებს შორის იგი ყველაზე ადრეულია. მეორეც ის, რომ სასანთლე ბანიდან თავისი ორნამენტის სტილით ახლოს დგას XI—XIII სს-ის ქართულ კერამიკასთან და რადიკალურად განსხვავდება ირანული სასანთლეებისაგან. ეს უკანასკნელი შემკულია ბევრად უფრო უხვად და ღვარჯილად (მცენარეული ორნამენტი, ცხენოსნის გამოსახულება). ამასთანავე ჩვენთვის ცნობილ ყველა ირანულ ნაწარმს გააჩნია, როგორც წესი, არაბული წარწერა, ან იმიტაცია<sup>28</sup>. ბანის სასანთლე სწორედ ამ დეტალებით განსხვავდება ირანულიაგან. თარიღიც ამისვე სასარგებლოდ მეტყველებს. თუ ირანული ამ ტიპის სასანთლეები (ერთის გამოკლებით)<sup>29</sup> უმეტესად XIV—XVII სს. თარიღდება<sup>30</sup>, სასანთლე ბანიდან მათზე უფრო ადრეულია და მათ წინამორბედადაც შეიძლება ჩაითვალოს.

საინტერესოა ისიც, რომ ჩვენი დაკვირვებით (შევადარეთ რა უშუალოდ ნივთიერი მასალა და იკონოგრაფიული მონაცემები) ადრეული სასანთლეები უფრო დამჯდარი ფორმით და სანთლის ჩასამაგრებელი დაბალი მილით ხასიათდება, ხოლო გვიანდლებს უფრო მაღალი პროპორციები აქვთ. ქართულ მასალაშიც იგივე კანონზომიერება ჩანს. მაგალითად, ორივე განხილულ სასანთლეს (თიხაც და ლითონიც) უფრო „დამჯდარი“ პროპორციები ახასიათებს, ვიდრე ქვემოთ განხილულ მათზე გვიანდელ სასანთლეს სვანეთიდან.

სასანთლე სვანეთიდან (№ 32)<sup>31</sup> ვერცხლისაა; როგორც უკვე აღვნიშნეთ,

<sup>24</sup> В. П. Даркевич, Светское искусство Византии, М., 1975, табл. 118—270, 352, XII в.

<sup>25</sup> А. Якобсон, Худож. керамика Байлакана (Орен-кала), МИА, № 167, М.—Л., 59. ტაბ. XXIII, 2—5. „ხალიჩისებრი“ ორნამენტს მოგვაგონებს მოუჭიქავი კერამიკის შტამპორნამენტები XI—XIII სს. ნაწარმიც. Pope, ტაბ. 555.

<sup>26</sup> Pope SPA, vol. V, ტაბ. 579, IX—X სს., ტაბ. 586—A XI ს.

<sup>27</sup> В. П. Даркевич, Светское искусство Византии, табл. 116—117.

<sup>28</sup> Pope SPA, vol. VI, ტაბ. 1316, XII—XIII სს. 1332, 1333—, XIII ს. ტაბ. 1375—, XVI საუკ. ტაბ. 1355, ტაბ. 1356—XIV ს. ტაბ. 1364—XIV საუკ.

<sup>29</sup> იქვე.

<sup>30</sup> Pope SPA, vol. V, ტაბ. 1316.

<sup>31</sup> იქვე, vol. V, ტაბ. 992. ტაბ. 896, 909—; ტაბ. 870—XV საუკ.

იგი უფრო მაღალია, ვიდრე ზემოთ განხილული სასანთლები. ამის გამო უფრო პროპორციული და მოხდენილია. სასანთლის ქვედა სადგამი წაკვეთილი კონუსის ფორმისაა (H—11 სმ). მისი სადა ზედაპირი წიბოებით სამ ნაწილად დაყოფილი. ასევე დაყოფილი სანთლის ჩასამაგრებელი მილიც. სასანთლე ქვევითაა დამზადებული. სასანთლის გარე პირზე ქვედა ნაწილში მოთავსებული სწვადასხვა შინაარსის ორი წარწერა (ტაბ. II).

პირველი წარწერის შინაარსია: „ქ: ესრე სასანთლეს დეისმამა ჯოლიას არის“.

მეორე წარწერა სამსტრიქონიანია: „შემოვწირე: ჩვენ: მეფეთ მეფემ: პატრონმან ბაგრატ და თანამეცხედრემა ჩვენმან დედოფალმა თამარ სასანთლე ესე: ხელმწიფობასა ჩვენისა წარსამართებლად წმინდის: გიორგის სეტისა კეს სამას ორმოცდა თხუთმეტს“.

პირველ წარწერაში მოხსენიებული „დეისმამა ჯოლია“ ჩვენთვის უცნობია ისტორიული წყაროებიდან, მეორე წარწერა კი იხსენიებს მეფეთ მეფე ბაგრატს და მის თანამეცხედრეს დედოფალ თამარს. თუ ამ უკანასკნელ წარწერაში ყველაფერი გასაგებია, პირველი წარწერა უცნაურია თავისი ენობრივი ნორმების დარღვევით და ონომასტიკონით. „დეისმამა“ საკუთარი სახელია<sup>31</sup>, თუმცა საკმაოდ იშვიათი<sup>32</sup>.

მეორე წარწერაში მოხსენიებული პირები დასავლეთ საქართველოს მე-17 საუკ. მშფოთვარე ცხოვრების მონაწილენი არიან. ამიტომ ზოგიერთი ისტორიული ფაქტის გახსენება და წარწერის მონაცემებთან შეჯერება დამატებით საისტორიო მასალას იძლევა.

როგორც აღნიშნეთ, წარწერაში მოხსენიებულნი არიან მეფეთა მეფე ბაგრატ და დედოფალი თამარ. წარწერაში აღნიშნული ქორონიკონი მეცხრამეტე მოქცევას ეკუთვნის. მას თარიღი 1312—355—1667 წელია. სწორედ ამ ხანებში მეფე ბაგრატი და დედოფალი თამარი იმერეთის ხელისუფალნი უნდა ყოფილიყვნენ. ბაგრატ IV იყო ალექსანდრე III-ის მემკვიდრე. იგი იმერეთის ტახტზე 1660 წ. ავიდა<sup>34</sup>. პირველ ცოლად ჰყავდა თავისი დედინაცვლის, დარეჯანის ძმისწული ქეთევანი (თეიმურაზ I-ის ვაჟის დავითის ასული). ექვსი თვის შემდეგ დარეჯანმა ბაგრატი ტახტიდან ჩამოაგდო და თვალები დასთხარა. ამის შემდეგ ტახტზე ჯერ დარეჯანია, ვახტანგ ბაგრატიონთან (იმერეთის ბაგრატიონთა შორეული ნათესავი, ჰუჭუნაშვილად წოდებული) ერთად, შემდეგ იმერეთის ტახტი ვამიყ დადიანმა და ვახტანგ V შაჰნავაზმა გაიყვეს. 1651—1680 წწ. ტახტზე ლევან III ჩანს, რომელსაც ცოლად ვახტანგ V შაჰნავაზის ძმისწული, სილამაზით განთქმული თამარი შერთეს. ვახტანგმა ქუთაისში მეფედ გამოაცხადა თავისი პირმშო 14 წლის არჩილი (1661 წ.), თვითონ ქართლში დაბრუნდა და უსინათლო ბაგრატ IV-ც თან წაიყვანა. მაგრამ ვახტანგის დასავლეთ საქართველოში გაბატონება ვერ აიტანა ოსმალეთმა (იქ ირანის ჩარევად მიიჩნია და არჩილის უკან გაწვევა მოსთხოვა).

31 ინახება შესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

32 იხ. საეპიშოლო გამოსავალი მოსაქრებლობის დავთარი 1616—1621 წწ., ქართლსა სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 460.

33 ცაიშელი ებისეპოსი დავით ჯოლია იხსენიება XVIII ს-ის შუა წლებში, იხ. თ. ქორდანია, ქრონიკები, II, გვ. 467; ოდიშის დიდებულთა შორის გვარი ჯოლია იხსენიება XVII ს-ის შუა წლებშიც, იხ. თ. ქორდანია, ქრონიკები, III, გვ. 263.

34 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 344.

იმერეთში კვლავ უსინათლო ბაგრატ IV გაამეფეს — 1663 წ. მისი ცოლ-ყოფილი ქეთევანი არჩილმა შეირთო. გამეფების წელსვე (1663 წ.) მას ლევან III დადიანი დაესხა თავს, რომელიც ბაგრატმა დაამარცხა, ტყვედ ჩაიგდო, მეუღლე თამარი წაართვა და თვით შეირთო. 1668 წელს ბაგრატის კვლავ დააყენეს. სწორედ მეფობის ამ მონაკვეთშია სასანთლეზე გაკეთებული წარწერა.

წარწერები შესრულებულია განსხვავებული ხელით: პირველი წარწერა უფრო ლამაზი მხედრულითაა შესრულებული და ასოთა მოყვანილობით „გეფხისტყაოსნის“ XVII ს. კალიგრაფიას მოგვაგონებს<sup>35</sup>; მეორე კი ლევან დადიანის სახელოსნოდან გამოსული ჭურჭლის წარწერების მსგავსია<sup>36</sup>.

ბაგრატის წარწერა სასანთლის ქვედა ნაწილშია გაკეთებული, „ჯოლიას“ კი შედარებით მაღლა. თუ დავუშვებთ, რომ ბაგრატის წარწერა პირველადია, ხოლო „ჯოლიას“ უფრო გვიანი, მაშინ „ჯოლიას“ მიუთვისებია ბაგრატის საკუთრება და თავისად გაუხდია, რაც ნაკლებ დამაჯერებელია. ისტორიული სიტუაციის გათვალისწინება გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ბაგრატ IV-მ ლევან III დადიანთან ბრძოლის შემდეგ ნადავლის სახით ხელთ იგდო სასანთლე, ვინმე ოდიშელი „დიდებულის“ ჯოლიას საკუთრება და სეტის ეკლესიას შესწირა.

სხვათა შორის, საინტერესოა, რომ იმავე 1667 წელს, როდესაც სასანთლეა შეწირული, ბაგრატს და თამარს მულახის მაცხოვრისათვის შეუწირავთ ვერცხლის სურა. ამ სურასაც, სასანთლის მსგავსად, ორი დამოუკიდებელი წარწერა აქვს — ერთი ძირზე „ქ. ბატონიშვილის თინათინის“, მეორე ბაგრატისა და თამარის.

ზემოთ მოყვანილი მასალის მიხედვით ირკვევა, რომ სასანთლე გაკეთებული უნდა იყოს 1667 წელზე ადრე, XVII საუკუნის შუა წლებში ან მეორე ნახევრის დასაწყისში.

ეს რომ ასეა და ადრეული ნივთის შემონახვასთან არ გვაქვს ადგილი, ზემოაღნიშნული ანალოგიების გარდა მოწმობს სხვა უცხოური პარალელური მასალაც. კერძოდ, ერმიტაჟში დაცულია მსგავსი, ეგვიპტეში ნაყიდი სასანთლე (Φ. I — 715), რომელსაც XVI ს-ით ათარიღებენ. ანალოგიური სასანთლეები გავრცელებული ჩანს თურქული ხანის უნგრეთის ყოფაში და XVI—XVII სს-ით თარიღდება<sup>37</sup>.

ამრიგად, როგორც ჩანს, აღნიშნული ტიპის სასანთლეები საქართველოსა და აღმოსავლეთის ხალხთა ყოფაში საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ისინი ჩვენში ალბათ უფრო შექლებული ფენის (არისტოკრატიის) და ეკლესიის ყოფისათვის იყო დამახასიათებელი (ამაზე მიგვიითობს წერილობითი წყაროები და იკონოგრაფიული მასალა<sup>38</sup>.

<sup>35</sup> ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები — პალეოგრაფიული ალბომი, 1979, ტაბ. 151, ტაბ. 163, ტაბ. 164.

<sup>36</sup> იქვე, ტაბ. 148, ტაბ. 149.

<sup>37</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი შემკულია თევზებისა და ყვავილების გამოსახულებით, ქართული კი ტრადიციული სისადავით ხასიათდება — Geza Feher — Grabtsnanship in Tunkish-ruled Hungary, Budapest, 1975, ტაბ. 73.

<sup>38</sup> ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 15, 39, 59, 83 და სხვ. XVII ს. ერთ-ერთ ირანულ (თავრიზის სკოლის) მინიატურაზე (იხ. SPA, vol ტაბ. 908—B) გამოსახული დამის ქალაქი. მოქალაქეთა სახლებში, სადაც ყოფის ნივთებთან ერთად ლულიანი ჭრახებიცაა გამოსახული, მაშინ როცა



რაც შეეხება თარიღს, ისინი ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ზოგადად XII—XVII სს-ით თარიღდებიან (თუმცა სტილის მიხედვით დროში ასე კლასიფიცირდებიან: უფრო დაბალი პროპორციების XII—XIV სს. (3) საუკ. უფრო მაღალი და მოხდენილი პროპორციებისა XV—XVII სს. განეკუთვნებიან<sup>39</sup>).

აღსანიშნავია, რომ თიხის სასანთლე ჯერჯერობით ერთადერთი გვპოვს და იგი თითქმის ყველაზე ადრეული ხანით თარიღდება, არა უგვიანეს XIII საუკუნისა, უფრო კი XII საუკუნით (იხ. ზემოთ დმანისის ნაქალაქარის უბნის სტრატეგრაფიის შესახებ). ქრონოლოგიური ადრეულობა და მასალის მრავალფეროვნებაც (თიხა, ლითონი) ამ ტიპის სასანთლეთა წარმოშობის და გავრცელების ცენტრად უფრო საქართველოზე მიგვიანიშნებს<sup>40</sup>.

ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით საფიქრებელია, რომ ლითონის სასანთლეთა გაჩენას როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ, ბიძგი მისცა ანალოგიური ფორმის კერამიკულმა სასანთლეებმა, რომლებიც, თავის მხრივ, ვახსიებთ ჭრატ-სასანთლეთაგან უნდა წარმოშობილიყო<sup>41</sup>, მაგრამ ვერ ვპოვა შემდგომი განვითარება-გავრცელება, რადგან მათი ლითონისაგან დამზადება უფრო მომგებიანი აღმოჩნდა. ამის მიზეზი ალბათ ის იყო, რომ მოსახლეობის დაბალი ფენები ნიქარისებრ და ლულიან ჭრატებს (აგრეთვე ალბათ ზოგი სხვა ტიპის გასანათებელი იარაღით) იყენებდნენ, ხოლო სასანთლეებს, რომლებიც არისტოკრატიის ყოფის და ზოგჯერ საეკლესიო საკულტო დანიშნულების ატრიბუტად იქცა<sup>42</sup>, უფრო ლითონი შეეფერებოდა, ვიდრე თიხა. ერთი მხრივ, ლითონი უფრო ძვირფასი იყო და მხატვრული ხელოსნობისათვის მეტ საშუალებებს იძლეოდა, მეორე მხრივ, უფრო გამძლეცაა, თან რადგან სასანთლეს წარმოადგენდა და არა ჭრატს, გახურების საშიშროებაც თავიდან იყო აცილებული. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, მათი დამზადების დაწყება ემთხვევა „ვერცხლის კრიზისის“ დასრულების ხანას, რამაც ალბათ ერთგვარად ხელი შეუწყო მათი ლითონისაგან დამზადების პრიორიტეტს. შესაძლოა (ყოველ შემ-

სხვა ყველა მინიატურაზე გამოსახულია სასანთლეები, მათ შორის უმეტესი განხილული ფორმისა.

<sup>39</sup> ეს რომ მართლაც ასეა, იხ. აგრეთვე XVII საუკ. (1648 წ.) შუაზიურ მინიატურაზე გამოსახული „ორთავა“ სასანთლე — О. И. Толеркина, Среднеазиатско-индийские связи в миниатюре XVI—начала XVII в. культура и искусство народов Средней Азии в древности и средневековье, М., 1979, рис. 63, с. 111.

<sup>40</sup> ადრეულ შუა საუკუნეებიდან XIII ს-მდე (ჩათვლით) აღმოსავლეთში თითქმის უფრო გავრცელებული ჩანს სამფეხა და ზოგჯერ დისკოსებრი ფეხიანი „ტორშერები“ — ჭრატების საღამაგები (რომლებიც, ზოგი ავტორის მიხედვით, სასანთლეებია) — А. Л. Воронина, Бронзы Ахинена из коллекции А. И. Смирнова, Средняя Азия в древности и средневековье, М., 1977, с. 134—136, рис. 36—38. თუმცა მსგავსი ჭრატები რომ სასანთლეებად გამოიყენებოდა, მიუთითებს ქართული მასალა — Ш. Амирашаши, Грузинская миниатюра, М., 1966, ტაბ. 100. ვეფხისტყაოსნის მინიატურა — XVII ს. ლუვანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე განვითარებულ შუა საუკუნეებში უფრო ლითონის ლულიან ჭრატებს ჩანს გავრცელებული.

<sup>41</sup> მათ პროტოტიპებად ალბათ ყველაზე მეტად შეეფერებოდა მრავალსართულიანი ბიზანტიური სასანთლეები — იხ. А. А. Якобсон, დასახ. ნაშრ., ნახ. 169. თუ მათ ჩამოვადებით ქვედა იარუსებს და ოდნავ გავაფართოვებთ, მივიღებთ დმანურის მსგავს სასანთლეს.

<sup>42</sup> როგორც ივ. ჯავახიშვილი ამბობს, „სამსახურებელი წმინდის“ ანუ „საყდრის იარაღში“ შედიოდა ვერცხლის სასანთლე, კანდელი, ლამბარი, სანათური და სხვ. — ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, II, გვ. 87.

Г. КИКНАДЗЕ

## СРЕДНЕВЕКОВЫЕ КЕРАМИЧЕСКИЕ И МЕТАЛЛИЧЕСКИЕ ПОДСВЕЧНИКИ

Резюме

В статье рассмотрены подсвечники — одни из значительных элементов материальной культуры средневековой Грузии. Все они характеризуются полый подставкой усеченно-конической формы и блюдцеобразным верхом, с трубкой в центре для закрепления свечи.

1. Керамический подсвечник изготовлен из хорошо отмученной глины, светлого обжига, поверхность покрыта зеленого цвета глазурью по белому ангобу. Имеет низкие пропорции. Подсвечник найден на городище Дманиси. По статиграфическим и стилистическим данным датируется XII — XIII веками.

2. Медный подсвечник; по форме и пропорциям аналогичен керамическому подсвечнику. Поверхность орнаментирована. По форме и стилю орнамента датируется XII — XIII вв. Подсвечник найден случайно в сел. Бани Карельского района.

3. Серебряный подсвечник из собрания Местийского музея. Аналогичен по форме вышерассмотренным подсвечникам, однако имеет более вытянутые, изящные пропорции. На гладкой поверхности вырезаны две надписи шрифтом «мхедрули». Одна из надписей исполнена в 1667 году от имени царя Имерети Баграта и царицы Тамар. Подсвечник должен быть изготовлен около середины XVII века.

Рассмотренные подсвечники имеют много аналогий в восточных материалах XIII — XVII вв. однако следует отметить, что подсвечник из Дманиси является единственным известным нам глазурованным подсвечником и ничего подобного нет в восточной керамике. Все аналогичные подсвечники Востока металлические. К тому же подсвечники из Дманиси и Бани датируются более ранним временем, чем восточные аналоги.

Ранняя дата и разнообразие материала (глина, металлы) подсвечников, найденных в Грузии, свидетельствуют о том, что подсвечники этого типа были созданы в Грузии и отсюда они распространились в страны Востока.

<sup>43</sup> აღმათ ძირითადად „ვერცხლის კრიზისის“ ბრალია, რომ განვითარებული შუა საუკუნეების (XI—XIII სს.) ლითონის ჭურჭელი გაცილებით ნაკლები შემოგვრჩა, ვიდრე გვიანო შუა საუკუნეებისა.

თ. კერესელიძე, ლ. აბუანაძე

## ავეჯი XIV—XVI საუკუნეების მინიატურების მიხედვით

სტატიის მიზანს შეადგენს ავეჯის შესწავლა XIV—XVI საუკუნეების მინიატურების მიხედვით. ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ავეჯეულობის ისტორია ყველაზე უფრო ღარიბია, მას რაღაც სხვა ისტორიული მიზეზიც უნდა მოეპოვებოდეს, მაგრამ ყველაზე უფრო წამლეკავი ამ დარგში სპარსეთის გავლენა იყო“<sup>1</sup>.

ავეჯის სიმცირეს მიუთითებს აგრეთვე 1935 წელს ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მოწყობილი ექსპედიციის მიერ შეკრებილი მასალები. ამ მასალებში საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების შესახებ შეგროვილი მასალა გაცილებით მეტია ხალხურ ავეჯთან დაკავშირებულ ცნობებთან შედარებით<sup>2</sup>.

ავეჯის ფორმების განვითარება განისაზღვრება ამა თუ იმ ისტორიული ეპოქის ადამიანების გემოვნებითა და მოთხოვნილებებით. ავეჯის ფორმები დაკავშირებული იყო განსაზღვრული ისტორიული ხანის არქიტექტურასთან, რომლის ელემენტებიც გამოხატულებას პოულობდნენ ავეჯში. ზოგჯერ ეს გავლენა ისეთი ძლიერია, რომ ავეჯს „მცირე არქიტექტურასაც“ ეძახიან<sup>3</sup>.

ავეჯს თავდაპირველი სახით ჩვენამდე არ მოუღწევია. ამას სხვადასხვა მიზეზები აქვს. ავეჯი არის მოხმარების საგანი. იგი დროთა ვითარებაში ცვდება. გარდა ამისა, ავეჯს ძირითადად აკეთებდნენ ხისაგან, რომელიც ადვილად ემორჩილება სხვადასხვა ზემოქმედებას (ცეცხლი, სინესტი და სხვ.)<sup>4</sup>.

რადგან ავეჯი თავდაპირველი სახით არ შემოინახა, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ფრესკებსა და მინიატურებზე შემორჩენილი ავეჯის გამოსახულებებს. ივ. ჯავახიშვილმა ხელნაწერებში არსებული ავეჯის გამოსახულებები მიიჩნია, როგორც რეალურად არსებული ავეჯის გამოსახულებები და მისი მითითებით გატანილ იქნა შ. რუსთაველის ეპოქის ქართული მატერიალური კულტურის ამსახველ გამოფენაზე. ავეჯის სურათები ცალკე წიგნადაც გამოიცა<sup>5</sup>.

ჩვენამდე მოღწეული ადრეული ხელნაწერები ძირითადად სასულიერო შინაარსისაა, ხოლო გვიანი საუკუნის მინიატურები 2 სახისაა: სასულიერო და

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, თბ., 1946, გვ. 9.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ. I, თბ., 1976.

<sup>3</sup> Д. Кес, Стили мебели, Будапешт, 1981, с. 6.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 9.

<sup>5</sup> ვ. ართილაძე, XVI—XVIII სს. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1965, გვ. 7; ტ. ხერხეულიძე, ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებსა, მინიატურებსა და ქედურ ხელოვნებაში, თბ., 1941.

საერო. როგორც შ. ამირანაშვილი აღნიშნავდა, საერო მინიატურები გვხვდება როგორც ორიგინალური ქართული, ისე ირანულიდან თარგმნილი მწერლობის ძეგლებში. მათში ჩანს ირანული ხელოვნების ელემენტები, რომლებიც განიცდიან ცვლილებას ძველი ქართული ტრადიციების გავლენის შედეგად.

XVI—XVII საუკუნეების საქართველოში ხელოვნების დარგში შეიმჩნევა უცხოური ხელოვნების გავლენა, კერძოდ, ირანულის. უცხოურმა გავლენამ ყველაზე მეტად მინიატურაში იჩინა თავი. მიუხედავად ამისა, გვაქვს აშკარად ქართული, ეროვნულ ტრადიციებზე აღმოჩენილი შემოქმედება<sup>7</sup>.

ქართული ხელნაწერები დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, სადაც დავამუშავეთ XIV—XVI საუკუნეების ხელნაწერები, რომლებშიც მინიატურებია დაცული. ამ ხელნაწერების გარდა დამუშავებულია ქ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებში დაცული ქართული ხელნაწერები.

ჩვენ ხელთ არსებული მასალის მიხედვით XIV—XVI საუკუნეების ავეჯი მინიატურების მიხედვით დავყავით შემდეგ ჯგუფებად:

#### I დასაჯდომი ავეჯი

1. ტახტები; 2. გავალაკიანი ტახტები; 3. სკამები; 4. სელი

#### II მაგიდები

1. სასაღილო მაგიდები; 2. სამუშაო მაგიდები

#### III კათედრა-კილობნები.

### I დასაჯდომი ავეჯი

ავეჯის სახეებიდან მინიატურაში, ისევე როგორც ფრესკებში, ყველაზე მეტად დასაჯდომი ავეჯის გამოსახულება გვხვდება, რომელიც მრავალფეროვნებით ხასიათდება (ტახტები, სავარძლები, სკამები, სელი).

#### 1. ტახტები

ტახტები იყო ზურგიანი და უზურგო, ხელის დასაყრდნობიანი და დასაყრდნობის გარეშე, იყო როგორც მოჩუქურთმებული, ისე სრულიად სადა ავეჯი. ტახტები ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ზურგიანი ტახტები და უზურგო ტახტები.

### ზურგიანი ტახტები

ტახტები გვხვდება როგორც სწორზურგიანი, ისევე მრგვალზურგიანიც. ზურგიანი ტახტების გამოსახულება გვხვდება თითქმის ყველა საუკუნის მინიატურებში. XV საუკუნის ოთხთავში (A—496)<sup>8</sup> მახარებელი ზის ზურგიან ტახტზე; ზურგი ბადისებური ორნამენტითაა შემკული. ფეხები მოხარატებულ-მოჩუქურთმებულია. ტახტზე დევს ბალიში. ზურგიანი ტახტის გამოსახულება ამავე საუკუნის ფსალმუნში (H—1665). აქ სოლომონი ზის ზურგიან ტახტზე.

<sup>6</sup> შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 374.

<sup>7</sup> ი. ხუსკივაძე, ქართული საერო მინიატურა, თბ., 1976, გვ. 9, 10.

<sup>8</sup> ნაშრომში მითითებული ნომრები დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტში.



ტახტის ძირი მასიურია და სწორი. მორთულია ძვირფასი ქვებითა და საღებო. ტახტის ზურგი შეისრული თაღის ფორმისაა. ტახტზე დევს მუთაქა, რომელზედაც ქსოვილია ჩამოფარებული. ტახტის წინ დგას კვარცხლბეგი, A—25 (XV ს.; ზატიკი, ნუსხური). შემკულია მინიატურებით. ერთ-ერთ მინიატურაზე ქრისტე ზის ტახტზე. ტახტი ზურგიანია, დგას სწორ, წვრილ ფეხებზე. ზურგი სწორი აქვს, ბადისებური ორნამენტით შემკული. ზურგი ნაპირებში ხარატული ბოლოებით თავდება. ტახტზე დევს ბალიში. A—580 (XVI ს. ოთხთავი), ხუცუროთ დაწერილი, პატარა ზომის (7×9 სმ). შემკულია მახარებლების გამოსახულებით. ერთ-ერთი მახარებელი ზის ზურგიან ტახტზე. ძირი მასიური აქვს. გვერდებში გამოჭრილი. ტახტი დგას ოთხკუთხაგანაკვეთიან მოკლე ფეხებზე ტახტის წინ დგას უფეხო კვარცხლბეგი.

Q—5 (XVI ს. ეტრათი, მხედრულად ნაწერი). გამოსახულია მარჯვ მახარებელი. იგი ზის ზურგიან ტახტზე. ზურგი ბადისებური ორნამენტითაა შემკული. ძირი სწორი აქვს.

N—375 (ქუთაისის მუზეუმი; XV—XVI სს. ოთხთავი). მახარებელი ზის ზურგიან ტახტზე. ტახტი დგას მოხარატებულ ფეხებზე. ზურგი სწორი აქვს, ბოლოებში მთავრდება ხარატული თავით.

A—1961 (15—16 სს. ოთხთავი). გამოსახულნი არიან მახარებლები, რომლებიც ზურგიან ტახტებზე სხედან. ტახტები სწორი გვერდებისაგან შედგება, და მოხარატებული დაბალი ფეხები აქვთ. ზურგის თავებიც ხარატული ბოლოებით თავდება.

A—401 (1514 წ. ოთხთავი), ხელნაწერი მორთულია თავსართებით, კამარებითა და მახარებლების გამოსახულებით. მახარებლები ერთნაირ ტახტებზე სხედან. ტახტი ზურგიანია. ფეხები ოთხკუთხაგანიკვეთიანი აქვს, რომელიც წაყვეთილი კონუსის ფორმის ძირით მთავრდება. ზურგის ნაპირები ხარატული ბოლოებით მთავრდება. ტახტს გვერდზე 2 პატარა ფანჯარა აქვს ამოღებული.

A—482 (XVI ს.) ხელნაწერი მორთულია სხვადასხვა მინიატურებითა და მახარებლების გამოსახულებით. ლუკა მახარებელი ზის ზურგიან ტახტზე. ტახტს მომრგვალებული ზურგი აქვს. ტახტი საფეხურიანი ხელის დასაყრდნობითაა. გვერდზე და წინა ნაწილში გრძელი ოთხკუთხედი აქვს ამოღებული. ტახტის წინ დგას უფეხო კვარცხლბეგი. ამავე ხელნაწერში გამოსახულია მსგავსი ტახტი. ისიც მომრგვალებული ზურგითაა და ხელის დასაყრდნობით.

H—75 (XVI ს. დავითნი). გამოსახულია ზურგიანი ტახტი. ზურგი ოდნავ მორკალული აქვს. დასაჯდომი ნაწილი ოთხკუთხაა. დგას მოკლე ხარატულ ფეხებზე. ტახტის გვერდები ამოფანჯრულია.

მრგვალზურგიანი ტახტები მრავლად გვხვდება ქართული ტაძრების კედლის მხატვრობაშიც, მაგ. — უბისში, ნაბახტევიში.

### უზურგო ტახტები

უზურგო ტახტების გამოსახულება გვხვდება წინა საუკუნეების მინიატურებშიც. მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი უზურგო ტახტებია მოცემული გელათისა (Q—908, XII ს., გვ. 66, 152, 162, 263) და ჯრუჭის (H—1667, 12—13 სს.) ოთხთავებში.

H—1344 (შიომღვიმის ოთხთავი, 1304 წ.). ამ ხელნაწერში ოთხი მახარებლის გამოსახულებაა. მახარებლები ერთნაირ ტახტებზე სხედან. ტახტი მასიურია. სწორი ძირზე, ოთხკუთხა. ზევიდან დევს მუთაქა.

H—2125 (XIV ს. სახარება-ოთხთავი). გამოსახულნი არიან მახარებლები. მარჯვ მახარებელი ზის უზურგო ტახტზე. ტახტი ოთხკუთხაა, ფეხები თაღებითაა შეერთებული ერთმანეთთან. ზევიდან დევს მუთაქა. იმავე მინიატურაში ლუკა მახარებელი ზის უზურგო ტახტზე. ტახტი წვრილ, მაღალ ფეხებზე დგას, რომლებიც თაღებითაა შეერთებული. ტახტის ზედა ნაწილი მოჩუქურთმებულია. ზევიდან დევს მუთაქა. იოანე მახარებელიც უზურგო ტახტზე ზის. ტახტი დგას წვრილ და მაღალ ფეხებზე. ზევიდან დევს მუთაქა.

A—580 (XV ს. ოთხთავი), მახარებელი ზის უზურგო ტახტზე. ტახტი მასიურია, დგას მოხარატებულ ფეხებზე. ფეხები ხარატული ბოლოთი თავდება. ტახტის წინ დგას კვარცხლბეგი.

H—2084 ა (XV ს. სახარება). ამ ხელნაწერში გვხვდება მარჯვ მახარებლის გამოსახულება. იგი ზის უზურგო ტახტზე. ტახტი მაღალია, სწორი ძვლებისაგან შედგენილი. ზევიდან დევს მუთაქა.

A—496 (XV საუკუნის ოთხთავი). გვხვდება მახარებლის გამოსახულება. ერთ-ერთი მახარებელი ზის ოთხკუთხა უზურგო ტახტზე. ტახტი მასიურია. ზევიდან დევს მუთაქა. ტახტის წინ დგას კვარცხლბეგი.

H—1665 (XV ს.) ჯრუჭის მინიატურებში სხვადასხვა ტახტებია გამოსახული. მინიატურაში „დავითი ტახტზე“ გამოსახულია უზურგო ტახტი. ტახტის ძირი მასიურია და სწორი. ტახტი ორნამენტირებულია. მის წინ დგას კვარცხლბეგი. ზევიდან დევს მუთაქა. ამავე ხელნაწერში ქრისტე ზის ტახტზე. ტახტი უზურგოა, ძირი მასიურია და სწორი. ტახტი ორნამენტირებულია, ზედ დევს მუთაქა. მის წინ დგას კვარცხლბეგი, რომელიც ტახტის მავგარად არის ორნამენტირებული.

A—377 (ქუთაისის მუზეუმი. XV—XVI საუკუნეების ოთხთავი). ამ ხელნაწერში სავარძლებზე და მაგიდებზე ქსოვილებია ჩამოფარებული და რა ფორმისაა და როგორი ავეჯია, არ შეინიშნება. ჩანს მხოლოდ ერთი უზურგო ტახტი. ტახტს სწორი ძირი აქვს. ზევიდან მუთაქა დევს. ტახტის წინ დგას კვარცხლბეგი.

A—375 (ქუთაისის მუზეუმი, XV—XVI სს. ოთხთავი). გამოსახულია „ხარების“ სცენა. ღვთისმშობელი ზის უზურგო ტახტზე. ტახტის ფეხები მოხარატებული აქვს. ტახტი ოთხკუთხაა. შუა ნაწილში სივრცეზე ამოღარულია. ზევიდან დევს მუთაქა. ტახტის წინ დგას უფეხო კვარცხლბეგი.

A—1691 (XV—XVI სს-ბის ოთხთავი). ხელნაწერი შემკულია მახარებლების გამოსახულებით. მარჯვ მახარებელი ზის უზურგო ტახტზე. ტახტი დგას მოხარატებულ ფეხებზე, რომლებიც თაღებითაა შეერთებული. ტახტი გვერდზე გამოჭრილია გრძელი ოთხკუთხედის ფორმით. ზევიდან დევს მუთაქა. ლუკა მახარებელი ზის მასიურ უზურგო ტახტზე. ტახტი დგას ოთხკუთხაგანაკვეთიან მოხარატებულ ფეხებზე. ფეხები თაღებითაა შეერთებული. გვერდებზე ტახტს გამოჭრილი აქვს ოთხკუთხედები. ზევიდან დევს ორი მუთაქა. ტახტის წინ დგას კვარცხლბეგი.

H—75 (XVI ს. დავითიანი). შემკულია მინიატურებით. გამოსახულია საერო და ბატალური სცენები. ამ ხელნაწერში გამოსახულია უზურგო ტახტი. ფეხები მასიური აქვს და ორნამენტირებული. ზევიდან დევს მუთაქა.

H—1721 (1520 წ. ეტრათი, ნუსხური). შემკულია მახარებლების გამოსახულებით. მახარებლები ერთნაირ ტახტებზე სხედან. ტახტები უზურგოა, მასიური, ფართო. დგას ოთკუთხაგანიკვეთიან ფეხებზე. ტახტის ფეხები ნაპირებში ხარატული ბოლოებით მთავრდება.

უზურგო და ზურგიანი ტახტების გამოსახულება მრავლად გვხვდება ბიზანტიურ, რუსულ, სომხურ, ბულგარულ მინიატურებში. ასევე მრავლადაა ამ ტახტების გამოსახულება ამავე საუკუნეების ფრესკებსა და ჰედურ ხელოვნებაში, მაგალითად, საფარში (XIII—XIV სს.), XIV საუკუნის ქეგლებში უბისის ტაძარში, ლიხნეში, ზარზმაში, წალენჯიხაში, XV ს. ნაბახტევიში. მრავლადაა ტახტების გამოსახულება XVI საუკუნის ქეგლებში — გრემში, ნეკრესში, ალვანის ნათლისმცემლის ეკლესიაში, მარტვილში, ხობში.

ქედურობაში მსგავსი ტახტების გამოსახულება გვხვდება გელათის, შემოქმედის, მესტიისა და ალავერდის ხატებში (XVI ს.)<sup>9</sup>.

ამრიგად, მინიატურაში, ისევე როგორც ფრესკებზე, ყველაზე მეტად ტახტების გამოსახულება გვხვდება. ტახტები, როგორც ვნახეთ, სხვადასხვა ფორმისა და შემკულობისაა.

### გავალაკიანი ტახტები

გავალაკიანი ტახტები გვხვდება ადრეულ მინიატურებშიც, მაგ., ვრიგოლ დვისიმეტყველის კრებულში (XII ს-ნე, A—109). გავალაკიანი ტახტები გვხვდება XV და მომდევნო საუკუნეების ხელნაწერებშიც.

H—1665 (XV ს-ნის). აქ წარმოდგენილი გავალაკიანი ტახტი ორნამენტურებულია. მის წინ დგას საფეხურებიანი კვარცხლბეკი. ტახტი ოთხსვეტიანია და გადახურულია სფერული გუმბათით.

ქედური ხელოვნების ქეგლებში გავალაკიანი ტახტების გამოსახულება გვხვდება ბედიის ბარძიშზე (999 წ.), სეტის ეკლესიის ქედურ ჯვარში (XV ს.). ფრესკულ მხატვრობაში გავალაკიანი ტახტები გვხვდება ატენის სიონში.

### სკამები

სკამების გამოსახულება გვხვდება ჯერ კიდევ ალავერდის ოთხთავში (A—484, XI ს.). სკამები მრავლადაა გამოსახული გელათის სახარებაშიც (Q—908, გვ. 261, 263, 268, 295. XII ს.).

ჩვენთვის საინტერესო საუკუნეების მინიატურებიდან სკამის გამოსახულება გვხვდება მე-15 საუკუნის ოთხთავში (A—580). ოთხთავი შემკულია მახარებლების გამოსახულებით. ერთ-ერთი მახარებელი ზის დაბალ ოთკუთხა სკამზე. სკამს აქვს დაბალი მოხარატებული ფეხები.

H—1665 (ფსალმური, XV ს.). 198 გვ-ზე გამოსახულია სკამი. იგი სადა ძელებისაგან შედგება. ზევიდან მუთაქა დევს.

A—496 (XV ს-ნის ოთხთავი). მარჯვ მახარებელი ზის სკამზე. სკამი სადაა, ძელებისაგან შედგენილი, ქვევით სწორი ფეხები შემაერთებელი ძელითაა შეკრული. შემაერთებელი ძელი აქვს გადებული აგრეთვე ირიბად, ძირიდან ზედა ნაწილისაკენ. იგივე ხელნაწერში მეორე მახარებელი ზის მრგვალ სკამზე. სკამს ფეხები მოხარატებულ-მოჩუქურთმებული აქვს. ზევიდან დევს ბალიში.

S—3624 (XVI ოთხთავი). შემკულია თავსამკაულებით, საზედაო ასობითა და მახარებელთა გამოსახულებებით. მახარებლები აქ სხედან მასიურ, დაბალ

<sup>9</sup> Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тбилиси, 1959, с. 526, 560, 561, 568.

სკამებზე, რომლებზედაც დევს მუთაქები. სკამების წინ დგას დაბალი კვარცხლბეკი.

N—375 (ქუთაისის მუზეუმი, XV—XVI სს. ოთხთავი). მახარებელი ზის უზურგო სკამზე. ფეხები მოხარატებული აქვს. სკამზე დევს მუთაქა. აქვე მეორე მახარებელიც უზურგო სკამზე ზის. სკამი მაღალ მოხარატებულ ფეხზე დგას. წინ დგას კვარცხლბეკი. ამავე ხელნაწერიდან „დაბადების“ სცენაში იოსები ზის სკამზე. სკამი დაბალია, უზურგო, ოთხკუთხა ფორმის. ფეხები მასიური და ოთხკუთხა აქვს.

მსგავსი სკამების გამოსახულება გვხვდება ბიზანტიურ, რუსულ, სომხურ მინიატურებში.

ასეთივე სკამების გამოსახულება გვხვდება აგრეთვე ამავე ხანის ფრესკებზე, მაგ. საფარში, წალენჯიხაში (XIV ს.), ხობში (XVI ს.), გელათში (XVI ს.). მსგავსი სკამების გამოსახულება გვხვდება ქედურ ხელოვნებაშიც, მაგ. სადგურის ხატში (XIV ს.)<sup>10</sup>.

## სელი

სელი ისეთ სკამებს ეწოდებოდა, რომელიც იკეცებოდა. „სელი — სკამია შესაკრავ-გასახსნელი“<sup>11</sup>.

სელი გვხვდება როგორც უძველეს ძეგლებში, ისე XI—XII საუკუნეების ხელნაწერებში, მაგ., გელათის სახარებაში (Q—908, გვ. 419); ფსალმუნში (H—2075), სადაც სელის რამდენიმე გამოსახულებაა.

H—1665 (XV ს.). მე-200 გვერდზე გამოსახულია სადა ძელებისაგან შედგენილი სელი, რომელზედაც დევს მუთაქა.

ფრესკებიდან სელის გამოსახულება გვხვდება ვარძიასა და ბერთუბანში. სელის გამოსახულება გვხვდება ქედურობაშიც, მაგ., მოწამეთის ხატზე (XI ს.). რელიეფებში სელის გამოსახულება გვხვდება ბურღაძორის მცირე სტელაზე<sup>12</sup>.

## II. მახიღები

მაგიდები სხვადასხვაგვარი იყო. იყო როგორც სასადილო, ისე სამუშაო მაგიდები. მაგიდები იყო მრგვალი, ოვალური, ოთხკუთხა. იყო როგორც სადა, ისე მოხარატებულ-მოჩუქურთმებული მაგიდები.

### სასადილო მაგიდები

სასადილო მაგიდების გამოსახულება მრავლად გვხვდება გელათის სახარებაში (Q—908, XII). XIV—XVI ს-ნის მინიატურებში სასადილო მაგიდები ნაკლებადაა გამოსახული.

A—580 (XV ს. ოთხთავი). ხელნაწერი მორთულია მახარებლების გამოსახულებებით. მახარებელი ზის ოთკუთხა, დაბალ მაგიდასთან. მაგიდა მასიურია, დგას 4 მოკლე ფეხზე. ასეთივე მაგიდა დგას იმავე ხელნაწერში მეორე მახარებლის წინ.

H—75 (XVI ს-ნის დავითნი). გამოსახულია მრგვალი მაგიდა. ფეხები სა-

<sup>10</sup> Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., 170.

<sup>11</sup> ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, 1943.

<sup>12</sup> დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.



და, ურთიერთგადაჯარდინებული სწორი ძელებიდან შედგება. ამავე ხელნაწერში გვხვდება ასეთივე მეორე მაგიდის გამოსახულებაც (გვ. 120, 184).

A—733 (XVI ს.). შემკულია თავსამკაულებით, სასულიერო-ისტორიული ამბებით, საეკლესიო დღესასწაულებითა და სხვა. გამოსახულია მაგიდაზე დადგმული ჯვარი. მაგიდა ოთხკუთხაა, დგას ოთხკუთხგანაკვეთიან ფეხებზე. ძირები ხარატული აქვს.

მსგავსი მაგიდები გვხვდება რუსეთის მინიატურებში<sup>13</sup>, ამავე ხანის ბიზანტიურ, ქართულ და რუსულ ფრესკებში.

### სამუშაო მაგიდები

სამუშაო მაგიდები გვხვდება როგორც პიუპიტრიანი, ისე უპიუპიტრო.

### უპიუპიტრო მაგიდები

N—375 (ქუთაისის მუზეუმი, XV—XVI სს. ოთხთავი). მახარებელი ზის მაგიდასთან. მაგიდა ოთხკუთხედის ფორმისაა, დაბალი. დგას მოხარატებულ დაბალ ფეხებზე.

A—1691 (XV—XVI სს. ოთხთავი). აქ მოცემულია მახარებლების გამოსახულებები. მაგიდა უპიუპიტროა, ოთკუთხა, მასიური, სწორი ძირით.

S—3624 (XVI ს-ნის ოთხთავი). შემკულია თავსამკაულებით, საზედაო ასოებითა და მახარებელთა გამოსახულებებით. მახარებლები ამ მინიატურებში სხედან უპიუპიტრო მაგიდებთან. მაგიდა ოთხკუთხაა, მასიური, სწორი ძირით.

### პიუპიტრიანი მაგიდები

ხელნაწერთა მინიატურებში ხშირად გვხვდება პიუპიტრიანი მაგიდები. პიუპიტრი მაგიდაზე ხრახნით იყო დამაგრებული. პიუპიტრიანი მაგიდების გამოსახულებები ბევრია მესტიის სახარებაში (XI ს.).

H—1344 (შიომღვიმის ოთხთავი, 1304 წ.). შემკულია მახარებლების გამოსახულებებით. მახარებლები სხედან პიუპიტრიან მაგიდებთან. მაგიდა ნაღალია, ოთხკუთხა ფორმის, ძირი სწორი აქვს.

N 375 (ქუთაისის მუზეუმი, XV—XVI სს. ოთხთავი). ერთ-ერთი მახარებელი ზის პიუპიტრიან მაგიდასთან. მაგიდა გრძელი ოთკუთხედის ფორმისაა. დგას დაბალ, მასიურ ფეხებზე. გვერდები მაგიდის შუა ნაწილში სიგრძეზე ოთკუთხედად აქვს ამოღარული.


A—482 (XVI ს.). შემკულია მინიატურებითა და მახარებლების გამოსახულებებით. მახარებელი ზის პიუპიტრიან მაგიდასთან. მაგიდა ოთკუთხაა, დგას მოკლე ოთხკუთხგანაკვეთიან ფეხებზე.

H—1721 (ოთხთავი, 1520 წ.). მახარებელი ზის პიუპიტრიან მაგიდასთან. მაგიდა ოთხკუთხაა და მასიური. ძირი სწორი აქვს.

სამუშაო მაგიდების გამოსახულებები გვხვდება როგორც რუსულ, ისე სომხურ და ბულგარულ კედლის მხატვრობასა და მინიატურებში. მსგავსი სამუშაო მაგიდების გამოსახულებები გვხვდება ამავე საუკუნეების საქართველოს ფრესკულ მხატვრობაშიც, მაგ., წალენჯიხაში პანდატივებზე (XIV ს.), ლიხნე-

<sup>13</sup> А. Н. Свирин, Искусство книги древней Руси, М., 1964, с. 260.

ში (XIV ს.), ზარზმაში (XIV ს.), უბისში (XIV ს.), ნაბახტევში (XV ს.), სვეტიცხოველში (XVI ს.).



### III. კათედრა-კილოზნები

„კილოზანი — ზანდუკი“. ზანდუკი სხვათა ენაა, რომელსაც აწ უწოდებენ, ქართულად კილოზანი ჰქვიან<sup>14</sup>. ტერმინი კილოზანი ქართულ წერილობით წყაროებში IX—X საუკუნიდან გვხვდება<sup>15</sup>. კილოზანი ძალიან იყო გავრცელებული საქართველოში და თითქმის ყველა წერილობით ძეგლში იხსენიება<sup>16</sup>. კილოზნის ნიშები სპეციალური დანიშნულების საეკლესიო ჭურჭლისა და წიგნების შესაწყობ თაროებს წარმოადგენდნენ. ეს კილოზნები სპეციალური დანიშნულების ავეჯია, ზოგ შემთხვევაში სამწერლობო საქმისათვის განკუთვნილი. მას იყენებდნენ კათედრაც და ნივთების შესანახავაც<sup>17</sup>.

კილოზნების მრავალფეროვნებას მოწმობენ ხელნაწერთა მინიატურებში არსებული სურათები. კილოზნები სხვადასხვა ფორმისა და ზომის გვხვდება. არის როგორც ერთთაღიანი, ისე ორ და სამთაღიანი კილოზნები. კილოზნების ფეხებიც სხვადასხვაგვარია. არის დაბალ და მაღალფეხებიანი კილოზნები. კილოზნების ნაწილს ფეხები შემაერთებელი ძელით აქვთ შეერთებული.

გვხვდება კათედრა-კილოზნები. მას იყენებდნენ კათედრაც და წიგნებისა და ჭურჭლის შესანახავაც.

ეს კათედრა-კილოზნებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფორმით, მაგ., გვხვდება ოთკუთხა, გრძელი ოთკუთხა და მრგვალი მაგიდა—კილოზნები. არის პიუპიტრიანი კილოზნებიც. ისინი ერთმანეთისაგან ფეხებითაც განსხვავდებიან. მათი უმეტესობა მასიურია, დგანან პატარა დაბალ ფეხებზე.

მაგიდა-კილოზნების გამოსახულებები გვხვდება ალავერდის ოთხთავში (A—484, XI ს.), გელათის სახარებაში (Q—908, გვ. 97, 175, 280, 436).

H—1870 (XIII—XIV სს-ის ოთხთავი). აქ მოცემულია იოანე მახარებლის გამოსახულება. იოანე ზის უზურგო ტახტზე — პიუპიტრიან კათედრა-კილოზანთან. იგი მაღალია, ძირი სწორი აქვს და მასიური, აქვს თაროები.

H—2125 (XIV ს-ნის სახარება — ოთხთავი). მარკოზ მახარებელი ზის პიუპიტრიან კათედრა-მაგიდასთან. მაგიდა ოთკუთხაა, თალებითაა შეერთებული. კათედრა კარადისებურია. ამავე ხელნაწერიდან ლუკა მახარებელი ზის პიუპიტრიან კათედრა-კილოზანთან. კათედრა ოთკუთხედის ფორმისაა, შუაში თაროები აქვს, სადაც დგას ჭურჭელი, მისი ზედა ნაწილი მოჩუქურთმებულია. მათე მახარებელი მსგავს პიუპიტრიან კათედრასთან ზის. კათედრას აქვს თაროები. ერთ ნაწილში დგას სურა. იოანე მახარებლის პიუპიტრიანი კათედრა-კილოზანი უფრო მასიურია და დიდი. ისიც შუაში მოჩუქურთმებულია. კარადა სამი თაღიანი ნაწილისაგან შედგება.

A—496 (XV ს-ნის ოთხთავი). ამ ხელნაწერში შემორჩენილია სამი მახარებლის გამოსახულება. სამივე მახარებელი ზის ერთნაირ კათედრა-კილოზან-

<sup>14</sup> ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 125, 167.

<sup>15</sup> ვ. ა რ თ ი ლ ა ყ ვ ა, XV—XVIII სს. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1965, გვ. 88.

<sup>16</sup> ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი, 1965, გვ. 35.

<sup>17</sup> ვ. ა რ თ ი ლ ა ყ ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 91, 108.

თან. კათედრები ოთკუთხაა, სწორი ძირით. ზედა ნაწილში აარა და შიგ  
ქურჭელი დგას.

A—580 (XV ს-ნის ოთხთავი). მახარებელი ზის პიუპიტრიან კათედრა-კი-  
დობანთან. კათედრა დიდი ზომისაა. დგას მოხარატებულ ფეხებზე. მუში წიში  
აქვს კარებებით. კარები გამოღებულია.

N 375 (ქუთაისის მუზეუმი, XV—XVI სს-ის ოთხთავი). ამ ხელნაწერში  
ორი მახარებელი დასლოებით ერთნაირ კათედრა-კიდობანთან ზის. პიუპიტ-  
რიანი კათედრა გრძელი ოთხკუთხედის ფორმისაა. დგას მოხარატებულ მა-  
სიურ ფეხებზე. შუა ნაწილში კარადისებურია. გაღებულ კარში ჩანს ქურჭელი.

A—401 (1524 წ. ოთხთავი). მორთულია თავსართებით, კამარებითა და მა-  
ხარებლების გამოსახულებით. მახარებელი ზის პიუპიტრიან კათედრა-კიდობან-  
თან. კათედრა დგას ოთხკუთხაგანაკვეთიან მაღალ ფეხებზე. ფეხები ხარატული  
ძირით თავდება. კათედრის წინ თარო აქვს კარებიანი. ღია კარებში ჩანს ქურ-  
ჭელი.

A—482 (XVI ს-ნის ხელნაწერი) მოხატულია მინიატურებით. ლუკა მახა-  
რებელი ზის პიუპიტრიან კათედრა-კიდობანთან. მაგიდა ექვსკუთხაა. მასიური.  
წინ აქვს თარო. რომელშიც დგას ქურჭელი.

კიდობან-მაგიდების გამოსახულება მრავლად გვხვდება როგორც საქარ-  
თველოს, ისე სხვა ქვეყნების როგორც მინიატურებში, ისე ფრესკულ მხატ-  
ვრობაშიც.

XIV—XVI საუკუნეების მინიატურის განხილვის შედეგად შეიძლება  
ითქვას, რომ იგი ნათესაობას ამჟღავნებს ამავე ხანის ფრესკულ მხატვრობას-  
თან და პედურ ხელოვნებასთან. წინა საუკუნეების მინიატურა ანალოგიას პო-  
ულობს ბიზანტიის, ბალკანეთის ქვეყნებისა და რუსეთის მინიატურასთან. ქარ-  
თულ მინიატურას ბიზანტიურ მინიატურასთან ერთად ჰქონდა გავლელი გან-  
ვითარების ეტაპები, მაგრამ მასში იყო გამოვლენილი თავისი სპეციფიკური  
თავისებურებანი<sup>18</sup>.

როგორც ვნახეთ, XIV—XVI სს. მინიატურებში ავეჯის სახეებიდან უმე-  
ტესად დასაჯდომი ავეჯია მოცემული<sup>19</sup>. დასაჯდომი ავეჯი თავისთავად იყოფა  
ქვევჯუფებად: ტახტები, სკამები, სელი. ტახტები ფორმით იყოფა ზურგან და  
უზურგო ტახტებად, რომლებიც მორთულობის მიხედვით განსხვავდებიან ერთ-  
მანეთისაგან. გვხვდება უბრალო და გლუვზედაპირიანი, ხარატულ-ჩუქურთმო-  
ვანი, გვერდებიანი, უგვერდებო. განსხვავებულია ტახტის ძირებიც: არის მა-  
სიური, უფეხო ტახტები და არის როგორც სადაფეხიანი, ისე ხარატულფეხ-  
ებიანი ტახტებიც. ტახტების ზურგი განსხვავებულია სიმაღლით, ფორმითა და  
შემკულობით. ტახტებზე ხშირად ქსოვილია გადაფარებული და ზედ მუთაჟა  
დევს. ზოგიერთი ტახტის წინ დგას განსხვავებული ფორმისა და შემკულობის  
კვარცხლბეკი.

სკამების გამოსახვა მინიატურებში, ფრესკებთან შედარებით, ნაკლებად  
გვხვდება, ხოლო სელი სულ ერთგანაა მოცემული.

<sup>18</sup> Г. Алибегашвили, Художественный принцип иллюстрирования грузин-  
ской рукописной книги XI—начала XIII веков, Тб., 1978, с. 149.

<sup>19</sup> დანიშნულების მიხედვით ავეჯის დაჯგუფების შესახებ იხ.: ივ. ჯავახიშვილი  
მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, II, თბ., 1965, გვ. 21;  
ვ. ართილაყვა, XVI—XVIII სს. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ.  
1965, გვ. 16; ლ. ბეღუაძე, ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ.  
1973, გვ. 32.

აღსანიშნავია ის გარემოებანი, რომ საწოლები ამ საუკუნის მინიატურებში არ შეგვხვდებიან.

XIV—XVI საუკუნეების მინიატურებში გვხვდება მაგილების მრავალსახეობა. ეს განსაკუთრებით ეხება სამუშაო მაგიდებს და კათედრა-კიდობნებს. რაც შეეხება სასადილო მაგიდებს, ისინი შედარებით იშვიათად გვხვდება. სამუშაო მაგიდები გვხვდება როგორც პიუპიტრიანი, ისე უპიუპიტრო. მათგან განირჩევა მრგვალი, ოვალური, ოთხკუთხა. გვხვდება როგორც სადა, ისე ორნამენტირებული მაგიდები.

ამრიგად, მინიატურების შესწავლის შედეგად ცხადი ხდება, რომ მიუხედავად კონსერვატიზმისა, რაც ავეჯს ახასიათებს, XIV—XVI სს. ავეჯი გამოირჩევა მრავალფეროვნებით, რაც გულისხმობს როგორც ფორმათა სიმდიდრეს, ისე შემკულობის მრავალსახეობას.



რ. დოლაბერიძე

ჯიხვისგამოსახულებიანი კერამიკა თუშეთიდან

ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თუშეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1975—77 წწ. და 1980 წ. გათხრები ჩატარა სოფ. შენაქოში, ნიშტაყოს ბორცვზე. 1964 წ. მუზეუმში შემოსულმა შემთხვევითმა მონაპოვრებმა ამ ძეგლიდან<sup>1</sup> და წლების მანძილზე წარმოებულმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა<sup>2</sup> ახალი, დღემდე უცნობი მასალა წარმოაჩინა თუშეთის, საქართველოს ამ მაღალმთიანი რეგიონის წარსულის, მატერიალური კულტურის, რელიგიის და სხვა საკითხების კვლევა-ძიებისათვის.

როგორც არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, ნიშტაყოს ბორცვი უძველესი დროიდან წარმოადგენდა საკულტო ადგილს. ნიშანდობლივია, რომ მის ძირთან დღესაც დგას წარმართული ხატი — ფიქლებსაგან მშრალად ნაგები მცირე ოთხკუთხა ნაგებობა სასანთლე ნიშით, რომლის თავზე აწყვია კვარცის ნატეხები, ჯიხვის, ირმისა და ცხერის რქები.

დღეისათვის ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად ნიშტაყოს ბორცვზე გამოვლინდა ძვ. წ. II—I სს., ახ. წ. III—IV სს., აგრეთვე შუა საუკუნეების კულტურული ფენები საინტერესო საკულტო ძეგლებითა და მათთან დაკავშირებული ნივთიერი მასალით<sup>3</sup>. შენაქოს მონაპოვრები მნიშვნელოვან პირველწყაროს წარმოადგენენ ქართული წარმართული რელიგიის ისტორიის, იმდროინდელი ადამიანის მსოფლხედვისა და რწმენა-წარმოდგენების შესასწავლად, რომელთა მრავალი გადმონაშთი დღესაც მთელი სიცხადით ვლინდება ეთნოგრაფიულ სინამდვილეში.

საკულტო მასალების თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს იმსახურებს ჯიხვისგამოსახულებიანი კერამიკა. იგი გამოვლინდა ბორცვის სამხრეთ-დასავლეთის ფერდობზე მდებარე I ტერასაზე გათხრილ ნაგებობაში, რომელიც 14C თარიღის გათვალისწინებით III—IV სს. თარიღდება<sup>4</sup>. ხანძრის ძლიერი დამანგრეველი ძალისაგან ფიქლებით ნაგები შენობა ისე განადგურდა, რომ მისი საძირკვლის მცირე ნაშთიც არ შემორჩა. თიხის ჭურჭელი მთლიანად ნამ-

<sup>1</sup> რ. დოლაბერიძე, არქეოლოგიური მასალა სოფელ შენაქოდან, თბ., 1973.

<sup>2</sup> რ. დოლაბერიძე, თუშეთის დაზვერვით-არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში (1975 წ.), საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, V, თბ., 1977, გვ. 145—156; რ. დოლაბერიძე, თუშეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წლის მუშაობის ანგარიში, საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VI, თბ., 1978, გვ. 88—96.

<sup>3</sup> იქვე.


<sup>4</sup> რ. დოლაბერიძე, თუშეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წლის მუშაობის ანგარიში, გვ. 90.

ტრევეზად არის ქცეული. აურაცხელი ფრაგმენტიდან მოხერხდა მხოლოდ ერთი ჯამის აღდგენა მთლიანად. იგი დიდი ზომისაა, გაშლილობიანი, ორყურა, ყურებზე ჯიხვის თავის სკულპტურული ფიგურება მიძერწილ. პირს ირგვლივ წიწვისებური ორნამენტი შემოუყვება. ამ ჯამის გარდა ნაგებობაში ჯიხვისთავიანი კერამიკის კიდევ 25 ფრაგმენტი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ეს ფრაგმენტები არ იძლევიან წარმოდგენას ჭურჭლის ფორმაზე. შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ, რომ მათი უმეტესი ნაწილი აშკარად ჯამებს მიეკუთვნება.

ჯიხვის ფიგურებს შორის გვაქვს მთელი გამოსახულებანი, ნაწილს რქები მომტვრევი, ზოგს კი რქის ან დრუნჩის ნაწილი შემორჩა, რაც მიგვანიშნებს, რომ გამოსახულება ჯიხვისა იყო. მართალია, ჩვენ ვერაფერს ვიტყვით ამ უკანასკნელთა მხატვრულ ღირებულებაზე, მაგრამ მათი სათვალავში შეტანა მაინც საჭიროდ მივიჩნევთ.

ფიგურების ძირითადი ნაწილი პლასტიკურია. გამოსახულია ჯიხვის თავ-რქა, ცალკე რქები, ერთ შემთხვევაში კი რქები, მათ შუა მოთავსებული სვასტიკით. გამოსახულებანი მოცემულია ჭურჭლის ყურზე ან გვერდზე. ყურები უმთავრესად ბრტყელია, თავსა და ბოლოში მეტ-ნაკლებად გაფართოებული, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მოკლე, რკალისებური ფორმის.

ჯიხვისგამოსახულებიანი ჭურჭელი, თიხის სტრუქტურის და ტექნოლოგიის თვალსაზრისით, ამ ფენაში გამოვლენილი კერამიკის იდენტურია. იგი დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი, ცუდად განლეჟილი, სხვადასხვა მინარევების შემცველი თიხისაგან; ხასიათდება არათანაბრად გამომწვარი კეცით, რომელიც საღ მონატეხში რუხია, მოწითალო ზედაპირით და სარჩულით.




სურ. 1

ჯიხვის ფიგურები გამოირჩევიან მხატვრული შესრულების დონით. მათ შორის არის, ერთი მხრივ, დახვეწილი, სწორი ფორმებით გადმოცემული ფიგურები, რომლებშიც იგრძნობა სახეების რეალისტური ასახვისაკენ სწრაფვა, მეორე მხრივ, უხეში, აგრეთვე უკიდურესად სქემატური გამოსახულებანიც.

რადგან მასალა ერთი კულტურული ფენიდან მომდინარეობს და სინქრონიზაცია, კარგი ნახელავისა და უკიდურესად პრიმიტიულ გამოსახულებათა თანაარსებობა ოსტატთა ხელის მეტ-ნაკლები გაწაფულობით თუ განსხვავებით

ზემოაღნიშნული ჯამის ყურებზე მიძერწილი ფიგურები, საკმარისად გამოვლენილი, მოცულობითი ფორმებით ხასიათდებიან. თვალები და ნესტოები მრგვალი ნაჭდევებითაა გადმოცემული, პირი კი რკალისებურად ჩაღარული




სურ. 2

ხაზით. ჯიხვებს ამშვენებს ჰორიზონტულად გაშლილი გრძელი რქები, რომლებიც ჭურჭლის გადმოკეცილ პირს ებჯინებიან. გამოსახულებანი გამოირჩევიან მშვიდი გამომეტყველებით და ბუნებრიობით (სურ. 1).

დაწვეწილი ნახელავია ცალკე ნაპოვნი ჯიხვის თავის ფიგურა, რომელიც ჩანს, ჭურჭლიდან ატკეცილა. იგი სკულპტურულ ფორმას უახლოვდება. თვა-

ლები და ცხვირი გადმოცემულია ფაქიზად გამოძერწილი პლასტიკური ფორმებით, წარბები და პირი — მსუბუქად ჩაღარული ხაზებით, ცხვირის ნესტოებს მრგვალი ნაჭდევები გამოხატავენ. ნაკვეთების გადმოსაცემად პლასტიკური ფორმებისა და გრაფიკულ საშუალებათა ერთდროული გამოყენება გამოსახულებას სიცოცხლეს ანიჭებს (სურ. 18).




სურ. 3

ჯიხვის თავის ორი გამოსახულება, სხვადასხვა ჭურჭლის ყურზე, ერთმანეთის მსგავსია. ისინი შედარებით დაბალი რელიეფითაა შესრულებული. თვალეები გადმოცემულია მრგვალი ნაჭდევებით, ჩამოგრძელებული ცხვირი პლასტიკურადაა გამოყვანილი და მრგვალი ნაჭდევით ბოლოვდება. ნაოჭა რქები გაშლილი და ბოლოებში მორკალულია. ჯიხვებს შუბლზე გამოსახული აქვთ



საკრალური ნიშანი — მრგვალი ნაჭდევი, რითაც ისინი გამოირჩევიან სხვა ფიგურებისაგან. ამ ნიშნის დანიშნულებას ჩვენ ქვევით შევეხებით. მართალია, ამ გამოსახულებებში იგრძნობა ფიგურების რეალისტური წარმოსახვის ცდა, მაგრამ ისინი მოკლებული არიან იმ ბუნებრიობას, რაც ზემოაღნიშნული ფიგურებისთვისაა დამახასიათებელი (სურ. 21, 6).



სურ. 4

ჯიხვის თავების ერთი ჯგუფი დაუდევარი ნახელავია. ფიგურები უხეშია, შეიძლება ითქვას, დამახინჯებულაც, ყოველგვარი გამომეტყველების გარეშე. მათში ჯიხვი გამოიხატება მხოლოდ რქებით. თავის მოყვანილობა და დრუნჩი პირობითადაა გადმოცემული, გეომეტრიულ ფორმებს უახლოვდება. ნაკვეთებიდან ყველა შემთხვევაში აღნიშნულია მხოლოდ თვალები. ისინი გამოსახულია მრგვალი ნაჭდევებით, ერთგან კი — მრგვალ-ბრტყელი მინაძერწებით. რქე-

ბიც დაუდევრადაა გამოქრწილი. შერჩენილი ნაწილებიდან ჩანს, რომ ზოგს ისინი სადა ჰქონია, ზოგს კიდეც ნაოჭა (სურ. 22, 3, 4, 5, 9, 11).

ჯიხვის თავის ფიგურებს შორის ორი გამოსახულება ძალზე პირობითია. მართალია ერთს დრუნიჩი რბილი, მომრგვალებული ფორმით აქვს გადმოცემული, მაგრამ თვით სახე სიბრტყობრივია, ყოველგვარი ნაკეთების გარეშე (სურ. 45). მეორე ფიგურა, რომლის თავის მოხაზულობა გეომეტრიული ფორმითაა წარმოდგენილი, აგრეთვე უნაკეთოდაა გამოსახული. მასზე მხოლოდ პლასტიკურად ამბურცული კუნთები გამოიყოფა (სურ. 27).

ჯიხვის თავის ორი გამოსახულება უკიდურესი სქემატიზმით ხსიათდება. თავი რედუცირებულია. ერთზე იგი გადმოცემულია შუაში შეზნეჭილი მომრგვალებული ბურცობით (სურ. 31), ხოლო მეორეზე — გვერდებშეზნეჭილი ცილინდრისებური შევრილით. რქები გაშლილია, სადა და ნაოჭა (სურ. 34). როგორც ჩანს, თავის რედუცირების საშუალებით ოსტატმა ხაზი გაუსვა რქების განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

კერამიკის ორ ნიმუშზე ხელსნის მიერ კონკრეტულად რქებია გამოსახული. საინტერესოა ცალკე ნაპოვნი რამდენიმე მინიატურული კერამიკული ჯიხვის რქა, შესაძლებელია ჭურჭლიდან ატეკილი (სურ. 43, 4).

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბადიის ყური, რომელზედაც ჯიხვის რქებთან ერთად ფიგურირებს სვასტიკა. ამ შემთხვევაში რედუცირებულია რქები. ისინი რელიეფური კი არ არის, როგორც სხვაგან, არამედ გამოსახულია ყურის ზედა, გაფართოებულ ნაწილში, კიდეებზე დატანილი ღრმა ნაჭდევების საშუალებით, რომლებიც რქის ნაოჭების იმბრაციას წარმოადგენენ. რქებს შუა ამოღარულია სვასტიკა. სვასტიკის ფრთებს შორის წერტილებია დაჭდეული. წერტილებია გამოსახული აგრეთვე რქების ქვედა ნაოჭებშიც (სურ. 41). აშკარაა, ფიგურათა ამგვარ წარმოსახვაში გარკვეული აზრი დევს. მეორე ფრაგმენტი, რომელზედაც ჯიხვის რქები აგრეთვე ყურის კიდეებზეა დატანილი, სამწუხაროდ, ნაკლებია და კომპოზიციის წარმოდგენის საშუალებას არ იძლევა.

ძნელია გადაჭრით ითქვას, რომ შენაქოს კერამიკაზე გამოსახული ყველა ფიგურა არის *pars pro toto*. საფიქრებელია, რომ ზოგან ხელსნის ჩანაფიქრია არა ჯიხვის, არამედ კონკრეტულად მისი თავ-რქის ან რქების გამოსახვა, როგორც გარკვეული შინაარსის გამომხატველი სიმბოლოებისა. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ის, რომ გარეული ნადირის თავ-რქა, რომელსაც თავრიელი ეწოდება, საქართველოს მთის მოსახლეობის თვალში თავისთავადი საწმუნოებრივი მნიშვნელობის შემცველი იყო<sup>5</sup>.

ჯიხვის თავ-რქით და რქებით შემკული ჭურჭლის არაერთ ნიმუშს ვხვდებით საქართველოს სხვადასხვა პერიოდის მასალებში. მაგრამ ამჯერად შენაქოს ჭურჭელთან შესადაარებლად განსაკუთრებით საინტერესოა არაგვის ხეობაში, ს. უინვალში აღრებრინჯაოს დასასრულისა და შუაბრინჯაოს ხანის საკულტო ძეგლზე აღმოჩენილი ჯიხვისთავებიანი კერამიკა<sup>6</sup>. საყურადღებოა, რომ ორივე შემთხვევაში ეს კერამიკა საკულტო ძეგლთან არის დაკავშირებული და რო-

<sup>5</sup> ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, გვ. 53.

<sup>6</sup> მ. ლ ო ნ ტ ი, ცხოველის გამოსახულებიანი ჭურჭელი არაგვის ხეობიდან, არქეოლოგიური ძიებანი (ახალგაზრდა მკვლევართა სამეცნიერო სესიის მასალები), თბ., 1977, გვ. 14—15, ტაბ. I ა.

გორც ეინვალის, ისე შენაქოს კერამიკაზე სწორედ ჯიხვია გამოსასული. ეს კი იმის მიჩვენებელია, რომ საქართველოს მთაში ჯიხვის თავ-რქით შემკული ჭურჭელი გარკვეული ფუნქციის მატარებელი იყო კულტურის მატარებელი ადრებრინჯაოს ხანის დასასრულიდან.

ზოომორფული კერამიკა ამ ბოლო წლებში ცალკე საკვლევ თემას წარმოადგენს. მის სტილისტიკურ ანალიზს, წარმომავლობისა და გავრცელების არეალის დადგენას, აგრეთვე რიტუალური დანიშნულების კვლევას არაერთი სტატია მიეძღვნა<sup>7</sup>. მკვლევართა უმრავლესობა მათ წარმომავლობას საკუთრივ სარმატებს უკავშირებს. მაგრამ არქეოლოგიურ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვა თვალსაზრისიც. მ. აბრამოვა სტატიაში «О керамике с зооморфными ручками», განიხილავს სხვადასხვა ტერიტორიაზე, კერძოდ სარმატულ ვოლგისპირეთში, შუა აზიაში, აზერბაიჯანში, აღმოსავლეთ ყირიმში, ყუბანისპირეთში და ქვემო დონზე, სტავროპოლის მხარეში, ჩრდილო ოსეთში, ჩეჩენ-ინგუშეთში და დაღესტანში აღმოჩენილ ზოომორფულუყურიან კერამიკას, ადგენს მათ შორის არსებულ სტილისტიკურ სხვაობას და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ცალკეული მხარის კერამიკა ლოკალური ნიშნებით ხასიათდება. ამის საფუძველზე მ. აბრამოვამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ზოომორფულუყურიანი კერამიკა არ ვრცელდება ერთი რომელიმე ცენტრიდან, არამედ იგი დამზადებულია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, სხვადასხვა კერამიკულ სახე-ღოსნოებში. მისი დაკვირვებით, უფრო გვიან, V—XI სს. ზოომორფულუყურიანი ჭურჭლის ლოკალიზაცია ხდება ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ რაიონებში — ჩრდილო ოსეთში და ყაბარდო-ბალყარეთში<sup>8</sup>.

ი. ბერეზინი თვლის, რომ ჩრდილო კავკასიის ძვ. წ. I ს. — ახ. წ. IV ს. ზოომორფული კერამიკა არის სარმატული ტომების აბორიგენებთან მჭიდრო ურთიერთავსენის პროცესის ნაყოფი. ეს თვალსაზრისი არ იყო სათანადოდ მიღებული მხედველობაში, მაგრამ ბოლო ხანებში მეცნიერთა ნაწილის მიერ განიხილება როგორც კანონზომიერი მოვლენა<sup>9</sup>.

შენაქოს ჯიხვისგამოსახულებიანი კერამიკა ნიშტაყოს ბორცვის I ტერასზე საკულტო ნაგებობაში გამოვლენილი მრავალრიცხოვანი კერამიკული კომპლექსის ორგანული ნაწილია. იგი ადგილობრივ, სოფლის მიდამოებში ცნობილი თიხისაგან არის დამზადებული<sup>10</sup>, ხასიათდება თავისებური ლოკალური

7 К. М. Скалон. Изображения животных на керамике сарматского периода. Гос. Эрмитаж, Тр. ОНПК, I, Л., 1941; Е. Г. Кастанаян, Сарматские сосуды из Тиритаки, СА, XV, 1951; В. Б. Виноградов, К вопросу об изображении животных на сарматской керамике, Арх. сб., МГУ, М., 1961; Т. И. Голубкина, О зооморфной керамике из Мингечаура. МКА, II, Б., 1951; Е. П. Алексеева, Зооморфные ручки Дружбинского городища, 2, Сб. Кавказ и Восточная Европа в древности, М., 1973; В. А. Петренко, Ручки сосудов в виде животных на ханкальском 2-м городище, Археология и вопросы атеизма, Г., 1977; С. А. Плетнева, Сосуды с зооморфными чертами в салтово-маяцких древностях, вышеуказ. сб.; М. П. Абрамова, О керамике с зооморфными ручками, СА, 2, 1969; Я. Б. Березин, Зооморфная керамика как показатель этнических процессов на Северном Кавказе в сарматское время, Сб. Археология и вопросы этнической истории Северного Кавказа, Г., 1979.

8 М. П. Абрамова, დასახ. ნაშრ., გვ. 75—84.

9 Я. Б. Березин, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

10 რ. დოლაბერიძე, თუშეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წლის მუშაობის ანგარიში, გვ. 94.

ნიშნებით და საინტერესო მასალას წარმოადგენს ამ კუთხის რელიგიური წარმოდგენების შესასწავლად.

ამ თვალსაზრისით საგანგებოდ გვინდა შეეჩერდეთ ჯიხვის იმ ფემგურებზე, რომლებზედაც საკრალური ნიშნებია გამოსახული. ესენია: ორი ჯიხვის თავი, რომელთა შუბლზე არის წრიული, მრგვალი ნაქდევნი და ფიგურა რქებს შორის სვასტიკით. ჯიხვის შუბლზე დასმული ნაქდევნი ისეთივეა, როგორც მისი ნაკეთების — თვალბის, ნესტობის თუ პირის გამომხატველი ნაქდევნი, მაგრამ ამ ნიშნის გამოსახვა შუბლზე უკვე მის საკრალურობაზე მეტყველებს. ეშვს არ იწვევს, რომ იგი გარკვეული შინაარსის მქონე სიმბოლოა, ისევე როგორც სვასტიკა. ცხადია აგრეთვე, რომ ამ სიმბოლოებსა და ჯიხვს შორის გარკვეული კავშირი არსებობს. ამდენად, გასარკვევია, რამ განაპირობა ამ სიმბოლოების გამოსახვა და რას განასახიერებენ ისინი.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ქართული ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები უნდა მოვიშველიოთ. როგორც ვ. ბარდაველიძემ დაადგინა, ქართულ ღვთაებათა პანთეონში არსებობდა ნაწილიანი ღვთაებების კულტი, რომელიც უკავშირდება რელიგიაში ფართოდ ცნობილ გამორჩევის ინსტიტუტს და ღმერთაკის კონცეფციას. ნაწილიანი შეიძლება იყოს გვარი, ოჯახი, ადამიანი, ცხოველი და სხვ. მთვარის ღვთაება და მზის ღვთაების იპოსტასი — დიდი ღვდა, თავად ან თავისი წილი ღვთაებების მეშვეობით გადასცემენ თავის ნაწილებს — სხივებს რჩეულს. ამ გზით ღვთაებასთან ნაზიარები თვით ხდება ღვთაების ბუნების მატარებელი. მაგალითად, აბსტრაქციული იდეის მატარებელი ნაწილიანი ღვთაებანი, როგორც არიან „მზე პურადობისა“, „მზე მამაცობისა“, „მზე ნადირობისა“ და სხვ., აჯილდოებენ ამა თუ იმ გვარს სტუმართმოყვარეობის, მამაცობის, ნადირობის და სხვ. ზებუნებრივი უნარით<sup>11</sup>.

ხევესურთა ღრმა რწმენით, ადამიანს ღვთისაგან ბოქებული ნაწილი ბეჭებს შუა ჰქონდა მოთავსებული. ეს ნიშანი მზესთან იყო ასოცირებული, რის გამოც მას აგრეთვე „თვალი“ ეწოდებოდა. „თვალი“ წარმოდგენილი ჰქონდათ სხივისანი რგოლის ან ბურთულას სახით. თვალის მფლობელი შეიძლება იყოს როგორც ადამიანი, ისე ცხოველი. სვანების წარმოდგენით, „დაჯილდოვებულ ხარებს“ თვალი აქვთ კისერზე, კანქვეშ გამოყოფილი ბურთულის სახით<sup>12</sup>.

ქართული ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების მიხედვით ნაწილიანი ნადირი გარეულია — ჯიხვების, ირმების და არჩვების ჯოგში და გამოირჩევა დანარჩენი ნადირისაგან რაიმე ნიშნით. ეს შეიძლება იყოს თეთრი ფერი, თეთრი ნიშანი შუბლზე, ოქროს რქები, დაგრეხილი ან ამოზურცული რქა და სხვ. ჯოგში იგი ნადირთ მწყემსის თუ ნადირთ პატრონის, ანუ ნადირთ ღვთაების ფუნქციას ასრულებს, ყოველ ღონეს ხმარობს მოარიდოს ნადირი მონადირეს და არ მოაკვლევინოს იგი. თუ მონადირე წინასწარ არ გამოსთხოვს ნადირთ პატრონს ნადირს და არ დაიცავს ნადირობის ყველა წესს, მას ნადირთ პატრონისაგან რისხვა ელის. ნადირთ პატრონის მოკვლისათვის კი მონადირე სიკვდილით ისჯება<sup>13</sup>.

<sup>11</sup> В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, с. 106—110.

<sup>12</sup> В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования, с. 109—110.

<sup>13</sup> ალ. რობაქიძე, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, I, თბ., 1941, გვ. 162, 194, 199; ე. ვირსალაძე, ქართული სამონადირო ეპოსი, თბ., 1964, გვ. 28—29.



ამგვარად, ნადირთ პატრონზე და მისი მფარველობის ქვეშ მყოფ ნადირზე ტაბუა გამოცხადებული. არსებობს მოსაზრება, რომ ეს უძველესი ტრეტემის-ტური რწმენის გადმონაშთი უნდა იყოს<sup>14</sup>. ჩვენი აზრით, ტაბუს დაღება ნაყოფიერების იდეასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ნადირთ პატრონი ის მკმაკავებელი ძალაა, რომელიც ხელს უშლის ადამიანს უთავბოლოდ დახოცოს და გადაშენების საფრთხის წინაშე დააყენოს ჯიხვი თუ ირემი. ამიტომაც, რომ ნადირთ პატრონი დაჯილდოებულია მოკლული ნადირისათვის სიცოცხლის მინიჭების ზებუნებრივი უნართაგან. მას შეუძლია გააცოცხლოს ნადირი, თუნდაც მისგან რაიმე ნაწილი იყოს აჭრილი და სხვ<sup>15</sup>.

შენაქოს ჯიხვის ფიგურები წრიული ნიშნით შუბლზე, აგრეთვე რქები მათ შორის მოქცეული სვასტიკით, ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილი ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემების გათვალისწინებით უნდა იყოს განხილული. ამ მასალებიდან გამომდინარე, წრიული ნიშანი, აგრეთვე სვასტიკა ნაწილიანობის, ღვთაებრივ საწყისთან წილნაყარობის გამომხატველია. საინტერესოა რა შინაარსს ატარებენ ეს ნიშნები.

უძველესი სიმბოლოების ასახსნელად დღეს ყველაზე მეტყველი ძეგლია სვანური საწესო გრაფიკული ხელოვნება, მაგრამ ამ ძეგლებზე ასახული ნიშნები უმთავრესად პირობითია. მაგალითად, ორი სხვადასხვა მნათობი, მზე და მთვარე, ხშირად ერთი სახის ქრელით — სხივებიანი წრეხაზით, წრეხაზით ან წრიულად გამოსახული<sup>16</sup>. შენაქოს ჯიხვების შუბლზე გამოსახული სიმბოლო წრიულია, მრგვალია და ეთნოგრაფიული მონაცემებით მზის ან მთვარის ნიშანი უნდა იყოს. მაგრამ კონკრეტულად ამ ნიშნის რაობის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ნადირთ პატრონის ბუნების გათვალისწინებით.

ქართულ წარმართულ რელიგიაში ნაწილიანი ნადირი ნადირთ პატრონის უძველესი, ზოომორფული სახეა, მაგრამ დროთა განმავლობაში ამ სახემ ანთროპომორფიზაცია განიცადა, რის შედეგადაც ნადირთ ღვთაება თავდაპირველად ქალად, ხოლო შემდეგ კაცად იყო წარმოდგენილი<sup>17</sup>. ასტრალური რელიგიის განვითარებასთან ერთად კი ეს წყვილი ცაში ავიდა, სადაც მამაკაცი ღვთაება მთვარეს დაუკავშირდა, ხოლო ქალი — ცისკრის ვარსკვლავს, მთიებს<sup>18</sup>.

თუშების წარმოდგენით, ნადირთ პატრონები ანგელოსები არიან: ერთი კაცია, ხოლო მეორე — ქალი<sup>19</sup>. ნადირთ პატრონების ანგელოსებად წარმოდგენა წარმართულ რელიგიაში ქრისტიანული ელემენტების შეჭრით აიხსნება. მაგრამ ის, რომ თუშებს ისინი ზეცაში ეგულებათ, იმაზე მიუთითებს, რომ მათი წარმოდგენით ნადირთ პატრონები ასტრალიზებულია, კერძოდ, მამაკაც ნადირთ ღვთაებას მთვარე განასახიერებს, ხოლო ქალს — ცისკრის ვარსკვლავი.

რადგან წრე და საერთოდ სიმრგვალე მთვარის სიმბოლოა და არა მთიების, რომელიც ვარდულით გამოიხატება<sup>20</sup>, ჯიხვის შუბლზე გამოსახული სიმბოლო

14 ე. ვირსალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 28.

15 ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 199.

16 ე. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო..., გვ. 39, 90.

17 ე. ვირსალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

18 ე. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო..., გვ. 53.

19 მ. ხიდაშელი, ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეული რენის ხანაში, თბ., 1982, გვ. 57.

20 ი. სურგულაძე, ასტრალური სიმბოლიკა ქართულ ხალხურ ორნამენტში (ღვთაბოძის დეკორის მიხედვით), საქანდიდატო დისერტაცია, თბ., 1967, გვ. 45—55.

მთვარეს უნდა აღნიშნავდეს. ხოლო ჯიხვი წრიული ნიშნით შუბლზე არის ასტრალიზებული, მთვარის კულტთან დაკავშირებული ნადირთ პატრონის ზომორფული განსახიერება, მისი მატერიალიზირებული ხატი<sup>21</sup>.

ბადის ყურზე წარმოდგენილი კომპოზიცია — ჯიხვის რქები და მათ შორის მოთავსებული სვასტიკა, სარწმუნოებრივი შინაარსის მოდელს წარმოადგენს. როგორც ზევით აღინიშნა, ამ შემთხვევაში რედუცირებულია ჯიხვის რქები და ცენტრალური ადგილი უკავია სვასტიკას.

სვასტიკა ერთ-ერთი უძველესი და ფართოდ გავრცელებული სიმბოლოა. მის რაობასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული. ფიქრობენ, რომ ის არის მზის სიმბოლო, მბრუნავი მზის სიმბოლო, ზოგადად ტრიალის, დაუსრულებელი მოძრაობის მატერიალური ხატი, მუდმივობის სიმბოლო, სქესის ნიშანი, წყლის სიმბოლო, წმინდა ნიშანი. დამკველი ნიშანი, აგრეთვე ბრწყინვალეებისა და ცეცხლის, ცეცხლის გასაჩენი იარაღის სიმბოლო და სხვ.<sup>22</sup>

შენაქოს ფიგურას, ვფიქრობთ, ყველაზე უკეთ ნათელს ჰფენს თავად თუშური გადმოცემა იქაურ ხატებზე და სალოცავებზე. ალვანელი გერმანე სისაურის ცნობით, თუშეთში, ომალოს წითელთის ხატის ზომორფული სახე ციური ცეცხლის ალი და ჯიხვი ყოფილა<sup>23</sup>. ვფიქრობთ, შენაქოს კერამიკაზე ჯიხვის რქები და მათ შორის მოქცეული სვასტიკა მატერიალური გამოხატულებაა ამ ხატისა. სვასტიკა ამ შემთხვევაში სწორედ ცეცხლის, მისი ციური აღის სიმბოლოდ უნდა იყოს გააზრებული.

ქართული ეთნოგრაფიული მასალიდან არაერთი მაგალითი შეიძლება მოვიტანოთ, სადაც ჩანს სვასტიკის კავშირი ცეცხლთან. ამაზე მიუთითებს, უპირველეს ყოვლისა ის, რომ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სვასტიკის გამოსახულება უმთავრესად კერასთან და ცეცხლთან დაკავშირებულ საგნებზე შემორჩა, კერძოდ, იგი გვხვდება დედაბაძის შემეკულობაში, კერის ქვებზე და კეცების ფსკერზე<sup>24</sup>.

სვასტიკის კავშირი ცეცხლთან და კერასთან ვლინდება არქეოლოგიური მონაპოვრებითაც. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა წარმართულ საკულტო კომპლექსებში გამოვლენილი მასალა. ნაცარგორის სალოცავში (ძვ. წ. II ათასწლ. ბოლო — I ათასწლ. პირველი ნახევარი) იგი გამოსახულია სავარძლისებურ საკუროთხვევლზე, რომელზედაც ნაცრით სავსე კერა იყო მოწყობილი<sup>25</sup>.

<sup>21</sup> მთვარის ძლიერი კულტის არსებობას თუშეთში ადასტურებს ნიშტაყოს ბორცვზე ძვ. წ. II—I სს. საკულტო ნაგებობებში გამოვლენილი მასალა: მონის უღელი (სტრაზონანა ცნობები მთვარის ტაძართან დაკავშირებით — იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, თბ., 1979, გვ. 90), ღრმულეზიანი ქვა-რეზუსი, რომელიც მოყვანილობით ზარის თავს გამოხატავს და სხვ. მთვარის კულტის გადმონაშთები ვლინდება აგრეთვე დღეობა აკურობაში, რომელსაც შენაქოელები ყოველი წლის 27 ივლისს იხდიან.

<sup>22</sup> იხ. ი. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 45—55; ლ. თანცხავა, კოლხური და ყოზანური კულტურების მხატვრული ხელოსნობის ისტორიისათვის, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1975, გვ. 101—106.

<sup>23</sup> მ. მაკალათია, წარმართული ხასიათის ზოგიერთი საკულტო ძეგლი სვანეთში, სვანეთი, I, თბ., 1977, გვ. 38.

<sup>24</sup> ი. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

<sup>25</sup> გ. გობეჯიშვილი, სტალინის ნაცარგორა, მიმომხილველი, II, თბ., 1951, გვ. 256.

მელი-ღელეს I სალოცავში (ძვ. წ. II ათასწლ. მეორე ნახევარი)<sup>26</sup> და ყათნა-ლიხევი (ძვ. წ. II ათასწლ. დასასრული — I ათასწლ. დასაწყისი) სვასტიკა თიხის საბეჭდავებზეა გამოსახული. ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით დ. ხახუტაიშვილი ფიქრობს, რომ ამ საბეჭდავების დანიშნულება იყო სწავის პურებზე სვასტიკის ნიშნის „დაბეჭდვა“. საწესო პურები სალოცავშივე ცხე-ბოდა, რაზედაც მიუთითებს აქ გამოვლენილი ღუმელი<sup>27</sup>.

კვერის კავშირს ცეცხლთან, კერასთან და ნაცართან უძველეს წარსულში ეძებნება ფესვები. ძვ. წ. V ათასწლეულში ხრამის დიდ გორაზე, ნაცრით ამო-სებულ კერაში, ანთროპომორფულ ქანდაკებებთან ერთად იდო უმი თიხის მრგვალი და ოვალური მოყვანილობის „კვერები“<sup>28</sup>. თიხისაგან დამზადებული კვერის იმიტაციები ნაცარგორის სალოცავშიაც აღმოჩნდა<sup>29</sup>. ეს აღმოჩენები მოწმობენ, რომ კვერი უძველესი დროიდან ცეცხლთან იყო დაკავშირებული და კვერის კულტი ცეცხლის კულტიდან უნდა მომდინარეობდეს.

ვ. ბარდაველიძემ ყურადღება მიაქცია იმას, რომ საწესო პურის სახელი კვერი, რომელიც წინათ ნაცარში ცხებოდა, აგრეთვე კვარი და თვით კერა, კერია, ტერმინოლოგიურ სიახლოვეს ამჟღავნებენ ღვთაება კვირიას სახელ-თან. ვ. ბარდაველიძე დაეყრდნო ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმე-ბულ ჩვევას, რომლის თანახმად ცხოველებს და საწესო პურებს არქმევენ იმ ღვთაების სახელს, ვის სახელზედაც ხდებოდა მათი შეწირვა და გამოთქვა მო-საზრება, რომ კვერი შესაძლებელია იყო ოდესღაც კვირიასთვის შესაწირავი საწესო პურის თეოფორული დასახელება. ის გარემოება, რომ კვირიას ბუნე-ბა ცეცხლთან ამჟღავნებს კავშირს — იგი ცეცხლის საშუალებით სჯის ადამი-ანებს, მისი აზრით, შესაძლებელია მიუთითებდეს ამ ღვთაების გენეტიკურ კავ-შირზე ცეცხლის კულტთან<sup>30</sup>. ეს კი ერთგვარ საფუძველს გვაძლევს გამოვ-ვთქვათ ვარაუდი, რომ მელი-ღელეს და ყათნალიხევის სალოცავებში აღმო-ჩენილი საბეჭდავები, შესაძლებელია, განკუთვნილი იყო კვირიასთვის შესაწი-რავ კვერზე სვასტიკის დასაბეჭდად და ეს ნიშანი, ამ ღვთაების ბუნებიდან გამომდინარე, სიმბოლურად ცეცხლს გამოხატავდა.

რა ფუნქცია აქვს დაკისრებული სვასტიკას, როგორც ცეცხლის მატერია-ლურ გამოხატულებას? ამის გასარკვევად, უპირველეს ყოვლისა, თვით ცეცხ-ლის მაგიური ძალის ბუნება უნდა გავარკვიოთ. ქართულ ეთნოგრაფიულ სი-ნამდვილეში შემორჩენილი წეს-ჩვეულებები და დღეობათა ნაშთები ნათლად მიუთითებენ, რომ ქართველი ხალხის რწმენით, ცეცხლი იყო განმწმენდი და დამცველი საშუალება, ამავე დროს ნაყოფიერების იდეის მატარებელიც. ცეცხ-ლი, როგორც განმწმენდი საშუალება, ვლინდება ხევსურეთში ქალის მშობი-არობის შემდეგ ცეცხლთან დაკავშირებულ რიტუალებში<sup>31</sup>. ვ. ბარდაველიძის მიერ დამოწმებული ზოგიერთი დღეობა — ჭიაკოკონა, სეანური ჰერია მიშ,

<sup>26</sup> კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV—VII სს.), თბ., 1973, გვ. 113, 116, ტაბ. XXXIX<sub>2</sub>.

<sup>27</sup> დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, თბ., 1964, გვ. 22, 26, 30, 31, ტაბ. XIII<sub>4</sub>, XVIII<sub>1</sub>.

<sup>28</sup> ლ. ღლონტი, ა. ჯაფახიშვილი, თ. კილურაძე, ხრამის დიდი გორის ან-თროპომორფული ქანდაკებები, ძეგლის მეგობარი, 33, თბ., 1973, გვ. 6.

<sup>29</sup> გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 257.

<sup>30</sup> В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования..., с. 13—14.

<sup>31</sup> ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ., 1941, გვ. 83—84.

ზეესურული — კუდიანუხრა, განწმენდას, კუდიანებისა და ავი სულების გან-  
დევნას, უფრო კი მათგან თავის დაცვას ისახავს მიზნად<sup>32</sup>. საინტერესოა, რომ  
კორიკების რწმენით, სვასტიკა, ცეცხლის მისაღები იარაღია, რომელიც მფარ-  
ველობას უწევს ჯოგებს. ორგორც ლ. შტერნბერგი აღნიშნავს, ამ შემთხვევაში  
ჩანს კონკრეტული წარმოდგენა ცეცხლზე, როგორც მტაცებელი ცხოველები-  
საგან და ავი სულებისაგან თავდაცვის საშუალებაზე. იგივე ფუნქცია აქვს და-  
კისრებული ამ იარაღს ჩუქჩებთანაც<sup>33</sup>.

გარდა დაცვისა და მფარველობისა, ცეცხლი ატარებდა აგრეთვე ნაყოფიერე-  
ბისა და გამრავლების მაგიურ ძალას. ეთნოგრაფიულ ყოფაში ცეცხლის ამ ფუნ-  
ქციამაც ჰპოვა ასახვა. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში ახალწლის დილას  
ოჯახის უფროსი სახლში ცეცხლს გააჩაღებდა, ანთებულ მუგუზხალს ცეცხლში  
შეანრივებდა ისე, რომ მას მრავალი ნაპერწკალი დასცვენოდა და თან დაიძახებ-  
და: „ამდენი ძროხა, ამდენი გოჭი, ამდენი ქათამიო და ოჯახის სხვა ბარაქას ჩა-  
მოთვლიდა. ხალხს სწამდა, რომ ამგვარი მაგიური მოქმედება საქონელს გაამ-  
რავლებდა და მის ოჯახს მთელი წლით ბარაქას უმცატებდა<sup>34</sup>. გამრავლებისა და  
ნაყოფიერების მაგიურ ძალას ავლენს ცეცხლი აგრეთვე ზევსურულ დღეობა —  
მარიემწმიდაობაზე, რომელიც ზაფხულში ტარდება. ამ დღეობაზე, ცეცხლის  
დღეობის გადმონაშთის სახით, შერჩენილია მიიდან ცეცხლმოკიდებული გურჯი-  
ნას დაგორების ცერემონიალი<sup>35</sup>. ვ. ბარდაველიძე ამ რიტუალს ასტრალურ რწმე-  
ნებს უკავშირებს და მიიჩნევს, რომ აქ ჩანს ციური ცეცხლის, ე. ი. მზის სით-  
ბოსა და სინათლის გაძლიერების სურვილი და მისი დაახლოება მიწასთან და  
ხალხთან იმ მიზნით, რომ გაიზარდოს მიწის მოსავლიანობა, უზრუნველყოფი-  
ლი იყოს ადამიანისა და საქონლის გამრავლება და კეთილდღეობა<sup>36</sup>.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით შეიძლება  
გაკეთდეს დასკვნა, რომ ქართველ ტომებს ცეცხლი სწამდათ როგორც განწმენ-  
დი და თავდაცვითი საშუალება. ცეცხლში ხელდავდნენ ისინი აგრეთვე ნაყოფი-  
ერებისა და გამრავლების, და საერთოდ, ადამიანთა კეთილდღეობის უზრუნ-  
ველყოფის მაგიურ ძალას. შესაბამისად სვასტიკაც, როგორც ცეცხლის მატერია-  
ლური გამოხატულება, იგივე ფუნქციის, იგივე მაგიური ძალის მატარებელი  
სიმბოლოა. ნიშანდობლივია, რომ სვასტიკის გამოსახულება სვანური სახლის  
საქონლის სადგომის ტიხრებზე და მარცვლეულის შესანახ კიბობნებზე, დამ-  
ცველი, აბოთრობებული ნიშნის ფუნქციას ასრულებს. ამავე დროს იგი გამრავ-  
ლებისა და ნაყოფიერების იდეასაც უნდა ატარებდეს. სვასტიკის, როგორც ნა-  
ყოფიერების სიმბოლოს ფუნქცია, უფრო დამაჯერებლად იკვეთება მატერია-  
ლური კულტურის ისეთი ძეგლების შესწავლის ფონზე, როგორცაა ირმის გა-  
მოსახულებიანი შტანდარტები ახალი ულიანოვკიდან და კოლხურ-ყობანური  
ცულების დეკორი. შტანდარტებზე სვასტიკა ირმის გავაზე, ორივე მხარესაა გა-  
მოსახული. მასთან ერთად ირმეზე თევზიფხური სახეებია გამოყვანილი. ირმის,  
სვასტიკისა და თევზიფხური სახეების ერთად გამოხატვა საფუძველს აძლევს  
ლ. ფანცხავას ეს ნიშანი ნაყოფიერების ღვთაებასთან დაკავშირებულ სოლარულ

<sup>32</sup> ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 82—83.

<sup>33</sup> Л. Я. Штернберг. Первобытная религия, Л., 1936, с. 374.

<sup>34</sup> ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, გვ. 84.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 86—87.

<sup>36</sup> იქვე, გვ. 88.



სიმბოლოდ მიიჩნის. ამ ნიშნის კავშირი ნაყოფიერების ღვთაებასთან ვლანდებ-  
ბა აგრეთვე კოლხურ-ყოზანური ტულების დეკორში, სადაც სვასტიკა აგრეთვე  
თევზოფხურ სახეებთან, თევზთან და სხივებიან წრეებთან ერთად გვხვდება.<sup>37</sup>  
ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს, რომ სვასტიკა ციხლის  
სიმბოლოდ მიეიჩნით, ხოლო ბადიის ყურზე გამონატული სვასტიკა და ჯიხ-  
ვის რქები, ერთად აღებული, გავიაზროთ როგორც ციური ცეცხლის ალის და  
ჯიხვის განსახიერება, რომელიც გ. სისაურის ცნობით, ქმნის ომალოს წითელ-  
თის ხატის — ანთროპომორფული ღვთაების, ზომომორფულ სახეს.

ამრიგად, შენაქოს ჯიხვის გამოსახულებიან კერამიკაზე, ვფიქრობთ, მატე-  
რიალური ასახვა ჰპოვა საქართველოს მთის მოსახლეობაში გავრცელებულმა  
რწმენა-წარმოდგენებმა მათ ღვთაებებზე.

Р. М. ДОЛАБЕРИДЗЕ

## КЕРАМИКА С ИЗОБРАЖЕНИЯМИ ТУРОВ ИЗ ШЕНАКО

### Резюме

В Тушетии, в селе Шенако, на холме Ништако, в культовом здании III—IV вв., среди местной керамической посуды обнаружены фрагменты мисок с пластическими изображениями головок и рогов тура (26 экз.), расположенных в верхней части ручек или на стенках сосудов. Среди них один экземпляр с графическим изображением свастики между рогами.

Уровень художественного исполнения фигур различен: наряду с выразительными, реалистичными формами, встречаются примитивные, небрежно исполненные и схематические изображения. Резкое отличие в художественном исполнении фигур объясняется различными исполнительскими возможностями мастеров-керамистов.

Сосуды с изображениями головок тура являются органической частью многочисленного керамического комплекса; изготовлены из сортов глины, выходы которых известны в окрестностях села и в настоящее время; характеризуются своеобразными локальными свойствами и представляют интересный материал для изучения языческих религиозных верований и представлений этого края.

Особый интерес представляют две фигуры тура, на лбу которых изображена круглая выемка (рис. 2 1, 6) и фигура с изображением свастики между рогами (рис. 4 1). Знаки — круг и свастика, являются сакральными символами и определяют характер этих фигур. В частности, на основании этнографических и фольклорных материалов выявляется, что круг представляет символ луны, тур же, с символом луны на лбу, является зооморфным образом мужского божества покровителя животных.

<sup>37</sup> ლ. ფ ა ნ ც ხ ა ვ ა, დსახ. ნაშრ., გვ. 105—106.

Свастика, по данным грузинских этнографических и археологических материалов, является символом огня. Существует указание на то, что в с. Омало, которое расположено в пяти километрах от с. Шенако, зооморфная природа антропоморфного божества — хати, представлялась в виде пламени небесного огня и тура. Думаем, что изображенная на ручке сосуда модель — расположенная между рогами тура свастика, носит именно это смысловое значение.

ც. ღვაბინძო

თბილისის ზარაფხანა XIV ს-ის I ნახევარში

(ვერცხლის ფული)

XIII საუკუნის I ნახევარში მონღოლებმა მსოფლიოში უდიდესი სამფლობელო შექმნეს. ამ საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს მათ საქართველოც დაიპყრეს და ხანგრძლივად გაბატონდნენ აქ. 1242 წელს მონღოლებსა და რუსუდან მეფეს (1223—1245 წწ.) შორის დადებული ზავის თანახმად, საქართველოს მეფე მონღოლთა უზენაეს უფლებას ცნობდა. დაწესებულ იქნა უფლებრივი განსხვავება საქართველოს აღმოსავლეთის და დასავლეთის ნაწილებისათვის: ლიხთამერ საქართველოში, როგორც მონღოლთაგან ომით დაპყრობილ ქვეყანაში, ქართულ ხელისუფლებასთან ერთად უნდა მდგარიყვნენ მონღოლი მოხელეები და სარდლები (ნოინები) ჯარითურთ. ლიხთამერი — კი ამ მხრივ თავისუფალი იქნებოდა. საქართველოს დაეკისრა ყოველწლიურად 50 000 პერპერას (ოქროს ფული) გადახდა და მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობა<sup>1</sup>.

XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან მონღოლთა სამფლობელოს დაშლის პროცესი თვალსაჩინო გახდა. ჰულაგუ ხანმა (1256—1265 წწ.) შექმნა მონღოლთა იმპერიის მეხუთე ულუსი ე. წ. ილხანთა სახელმწიფო, რომელიც დიდმა ყაენმა 1261 წ. სცნო. ჰულაგუ ხანი და მისი მემკვიდრეები ატარებდნენ ილხანის ტიტულს — „ტომის ხანის“ (ულუსის ხანის) მნიშვნელობით<sup>2</sup>.

ილხანთა სახელმწიფო მოიცავდა მთელს ირანსა და დღევანდელი ავღანეთის ტერიტორიას (ბალხის ოლქის გამოკლებით), ირანს, აზერბაიჯანს, ერასხ ბაღდადიურთ, არანსა და შირვანს, ქურთისტანს, ჯეზირეს (მესოპოტამიის ზემო ნაწილს) და რუმის (მცირე აზიის) დასავლეთ ნაწილს. ჰულაგუიდების ვასალებად ითვლებოდნენ: კონიის რუმის სელჯუკთა სასულთანო, საქართველო, ტრაპიზონის ბერძნული სამეფო, კლიკია და კვიპროსის სამეფო. ილხანთა სახელმწიფოს საზღვრები დროდადრო იცვლებოდა<sup>3</sup>. სამხრეთში, ირანის ტერიტორიაზე ახლად ჩამოყალიბებულმა ილხანთა სახელმწიფომ, აზერბაიჯანი თავის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრად აქცია. მისი ქალაქი-რეზიდენციები დროგამოშვებით იყო: მარაღა, უჯანი, თავრიზი, სულთანი.

როგორც ცნობილია, დაპყრობილი ქვეყნები პირდაპირ არ შეერთებია ჯუჩის ულუსის ტერიტორიას. მათგან შეიქმნა მონღოლთა ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული მეფის სანაცვლოები. საქართველო, სომხეთი, არანი, შირვანი და აზერბაიჯანი (აღარბადავანი) შეადგენდა ერთ სამე-

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979, გვ. 550.

<sup>2</sup> И. П. Петрушевский, Иран и Азербайджан под властью хулагидов (1256—1353). Сборник «Татаро-монголы в Азии и Европе», М., 1970, с. 229.

ფისნაცლოს, სადაც ილხანის მოადგილე დანიშნული იყო მონღოლი ჩერმა-  
ლანი.

სპარსი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობით, ჩერმა-  
ლანის სამფლობელო იყოფოდა ხუთ ადმინისტრაციულ ეკონომიკურ-ტერი-  
ტორიულ ერთეულად, ანუ ვილაიეთად: 1. საქართველო, რომელიც აგრეთვე  
მოიცავდა სომხურ რაიონებს (აირარატი, სიუნიკი, არწახი — ახლანდელი ყარა-  
ბაღი, გუგარჯი და ყარსის ოლქები); 2. დიდი სომხეთი — სომხეთის სამხრე-  
თისა და დასავლეთის რაიონებით; 3. შირვანი; 4. არანის და გილანის; 5. აზერ-  
ბაიჯანი (ადარბადაგანი)<sup>4</sup>.

მონღოლთა სახელმწიფოს შემადგენლობაში საქართველო შევიდა სამ-  
ხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის — „გურჯისტანის ვილაიეთის“ სახელ-  
წოდებით<sup>5</sup>. როგორც აღვნიშნეთ, იგი მოიცავდა საკუთრივ საქართველოს, სომ-  
ხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთს და ცენტრალურ რაიონებს. ადრე, მონღოლთა  
დაპყრობებამდე, ეს რაიონები საქართველოსთან ვასალურ დამოკიდებულებაში  
იმყოფებოდა. მონღოლებს საქართველოში არსებული ტერიტორიულ-ადმინის-  
ტრაციული, ეკონომიკურ-ფინანსური და სამართლებრივი სისტემა არ შეუც-  
ვლიათ<sup>6</sup>. ამრიგად, ზემოთ აღნიშნული სომხური თემები ძველებურადვე საქარ-  
თველოს ფარგლებში დარჩა. მონღოლები საქართველოსგან ლაშქრობებში  
ერთგულ მონაწილეობასა და ხარკის უქლებლივ გადახდას მოითხოვდნენ.

XIII საუკუნის ბოლოს ილხანთა ერთიანი სახელმწიფო ღრმა კრიზისმა  
მოიცვა. დანგრეული ქალაქებისა და სოფლების უმეტესობა კვლავ ნანგრევ-  
ბად რჩებოდა. სახნავ-სათესი მიწების დიდი ნაწილი საძოვრებად იყო ქცეული.  
შრომისუნარიანი მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ამას თან ერთვოდა  
მონღოლთა მიერ შემოღებული მძიმე საგადასახადო სისტემა და რეპრესიები,  
რომელთაც ადგილი ჰქონდათ გადასახადების შეწერისა და აკრეფის დროს.

ილხანთა ირანის ეკონომიკური კრიზისის პირობებში მონღოლი დიდებუ-  
ლების ზედა ფენაში ორი ძირითადი მიმართულება ჩამოყალიბდა. პირველს  
მხარს უჭერდა მონღოლი სამხედრო-მომთაბარე არისტოკრატიის ნაწილი, რო-  
მელიც წინააღმდეგი იყო ბინადრი ცხოვრების, ვაჭრობა-აღებმციემისა და ქა-  
ლაქების<sup>7</sup>. მეორე, შედარებით პროგრესული მიმართულება, მოითხოვდა გადა-  
სახადების მოწესრიგებას, დაცემული სოფლის მეურნეობის აღდგენას და გლეხ-  
თა რაციონალურ ექსპლოატაციას. ამ მიმართულებას მხარს უჭერდა ისლამის  
ეკლესია, ძველი ფეოდალური სახლები, სამოქალაქო ბიუროკრატიის მნიშვნე-  
ლოვანი ნაწილი და ვაჭრების უმრავლესობა<sup>8</sup>.

დიდი კრიზისის წინაშე მდგარ ილხანთა სახელმწიფოში მეორე მიმართუ-  
ლებამ გაიმარჯვა ილხან ყაზანის (1295—1304 წწ.) დროს. ადგილობრივი ფე-  
ოდალური ორგანიზაციის უპირატესობის შეგნება, და გამწვავებული კლასობ-

<sup>3</sup> И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 229, 233

<sup>4</sup> Л. О. Бабаян, Социально-экономическая и политическая история Армении в XIII—XIV веках, М., 1960, с. 120. Очерки истории СССР, ч. II (XIV—XV вв.), с. 687, прим. I.

<sup>5</sup> И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 250.

<sup>6</sup> Л. О. Бабаян, დასახ. ნაშრომი, გვ. 159.

<sup>7</sup> И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 233—234.

<sup>8</sup> ვ. გაბაშვილი, საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხი-  
სათვის, აღმოსავლური კრებული, I, თბ., 1960, გვ. 206.



რევი ბრძოლა ყაზან ყაენს სათანადო ღონისძიებების განხორციელებას უყარ-  
ნახებდა<sup>9</sup>.

ყაზან ყაენმა 1295 წ. მიიღო მაჰმადიანობა, დაირქვა მუსლიმური სახელ-  
მიწიფო რელიგიად და ისლამი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, ისლამის სახელ-  
მწიფო რელიგიად აღიარება ნიშნავდა, რომ ამიერიდან ილხანთა ირანი ყოველ-  
გვარ კავშირს წყვეტდა მონღოლთა მთავარ ულუსთან (სახელმწიფოსთან),  
გარდა ამისა, ახალ რელიგიაზე საყოველთაოდ გადასვლამ ყაზანი ადგილობრივ  
დიდებულებსა და მოსახლეობას დააახლოვა<sup>10</sup>. ყაზან ყაენმა XIII ს-ის ბო-  
ლოს ჩაატარა პოლიტიკური და ეკონომიკური ღონისძიებანი, რომელიც ცნო-  
ბილია ყაზან ყაენის რეფორმების სახელწოდებით.

მონღოლთა უზარმაზარი სახელმწიფოს შექმნამ ხელი შეუწყო საქარავნო  
ვაჭრობის გაცხოველებას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რომელშიც  
მონაწილეობდნენ, ერთი მხრივ, ირანი, ა. კავკასია, სამხრეთ რუსეთი, შუა  
აზია, მონღოლეთი და ჩინეთი; ხოლო, მეორე მხრივ, იტალიის ქალაქების შუა-  
მავლობით, ხმელეთშუა ზღვისა და შავი ზღვის ქალაქები და დასავლეთი ევ-  
როპა<sup>11</sup>.

ცნობილია, რომ საქარავნო-სატრანზიტო ვაჭრობის დროს იზრდება ის ქა-  
ლაქები, რომლებიც მთავარ გზებზე მდებარეობენ. ასეთი ვაჭრობის განვითარ-  
ება არ იყო დაკავშირებული ქვეყნის შინაგან საწარმოო ძალთა განვითარე-  
ბასთან, ამიტომ იგი ქვეყნის ეკონომიკას ვერ ავითარებდა. გაცხოველებული  
შინაური და საგარეო სატრანზიტო ვაჭრობის წარმოების შედეგად იზრდებოდა  
სასაქონლო კაპიტალი, რომელიც მხოლოდ ვაჭრობაში იყო დაბანდებული და  
წარმოების გასაფართოებლად არ გამოიყენებოდა, რადგანაც „ვაჭრული კა-  
პიტალის დამოუკიდებელი განვითარება შეზღუდულ შეფარდებაში საზოგა-  
დოების საერთო ეკონომიურ განვითარებასთან“<sup>12</sup>.

ა. იაკუბოვსკი მონღოლთა სახელმწიფოს ახასიათებს, როგორც მსხვილი  
ფეოდალების დიქტატურას, რომელიც მკიდროდ იყო დაკავშირებული წინა  
აზიისა და შუა აზიის სავაჭრო კაპიტალთან<sup>13</sup>.

ილხანთა ირანის ტერიტორიაზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო სატ-  
რანზიტო გზები, რომელთაგან მთავარ სავაჭრო მაგისტრალს ლევანტისაკენ  
მიმავალი გზა წარმოადგენდა<sup>14</sup>. რაც შეეხება სირიისა და აღმოსავლეთ ამიერ-  
კავკასიის ქალაქების სავაჭრო ურთიერთობას, ის შეიძლება განხილულ იქნას,  
როგორც ლევანტის ვაჭრობის გარკვეული ნაწილი<sup>15</sup>.

<sup>9</sup> რ. კიკნაძე, მონღოლთა ბატონობის ხანა, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის  
ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 182.

<sup>10</sup> ვ. გაბაშვილი, ილხანთა ირანი XIV ს-ის პირველ ნახევარში, ნარკვევები მახ-  
ლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 207.

<sup>11</sup> რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 201; Я. И. Манандян, О торговле и го-  
родах Армении в связи с мировой торговлей древних времен, Ереван, 1974, გვ. 285.

<sup>12</sup> ვ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, 285.

<sup>13</sup> А. Ю. Якубовский, К вопросу о происхождении ремесленной промышлен-  
ности Сарая Берке, с. 3—5, Изв. ГАИМК, т. VIII, вып. 2—3.

<sup>14</sup> ვ. გაბაშვილი, შუა საუკუნეების ახლოაღმოსავლური ქალაქი, ნარკვევები მახ-  
ლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, II, თბ., 1970, გვ. 40.

<sup>15</sup> ვ. ტივაძე, ამიერკავკასიის ქალაქების სავაჭრო ურთიერთობანი სირიის ქალაქებ-  
თან და ლევანტის ვაჭრობა XVI—XVIII საუკუნეებში; ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის  
ქალაქების ისტორიიდან II, თბ., 1970, გვ. 203.

საგარეო პოლიტიკაში ყაზან ყენი თავისი წინამორბედი ილხანების პირდაპირი გამაგრებლებელი იყო. ილხანები დიდ ყურადღებას აქცევდნენ სირიის ქალაქებთან კავშირსა და მიმოსვლის პირობებს, რადგან სირიის თავისუფლად საყრელი მდებარეობით შუამავლის როლი ეკისრებოდა აღმოსავლეთის დასავლეთის სავაჭრო ურთიერთობაში, ილხანებმა არაერთხელ ჩაატარეს ბრძოლები სირიისათვის (სირია ამ დროისათვის ეგვიპტის მამულუქთა სახელმწიფოს შემადგენლობაშია). ყაზან ყენის მიერ ეგვიპტის სულტანის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში სხვებთან ერთად ქართველთა ჯარიც ღებულობდა მონაწილეობას ვახტანგ III (1296—1318) წინამძღოლობით.

ყაზან ყენმა 1299—1300 წწ. სამი ლაშქრობა მოაწყო სირიაში და სულტან ნასირ მუჰამედის (1293—94; 1299—1341 წწ.) ჯარი დაამარცხა. ყაზანის ლაშქარმა დროებით დაიკავა ჰალეზი (ალეპო), დამასკო და სირიის სხვა ქალაქები, თუმცა საბოლოოდ მისმა ლაშქრობამ მარცხი განიცადა<sup>16</sup>.

ამრიგად, სირიის გზით ვერ შეიქმნა დასავლეთ ევროპაში გასვლის შესაძლებლობა. ამიტომ მონღოლთა ბატონობის ხანაში უპირატესობა უფრო ჩრდილოეთით მდებარე სავაჭრო გზებს ენიჭებოდა.

IX—X საუკუნეების არაბულენოვანი ლიტერატურა ამიერკავკასიაში რამდენსამე სამარშრუტო გზას ასახელებს. მათგან მნიშვნელოვანია გზა ბარდავიდან თბილისამდე, რომელიც შემდეგ პუნქტებზე გადიოდა: ბარდავი—განჯა—შამქორი—ხუნანი—გარდაბანი—თბილისი<sup>17</sup>. ამ გზას მომდევნო ხანაშიც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და მონღოლებმა იგი საქართველოსაკენ მიმავალ მთავარ სამარშრუტო გზად აქციეს. ჰამდალლამ ყაზვინს დაწერილებით აქვს აღწერილი საქარავნო გზები, რომელიც გადიოდა ილხანთა ირანის ტერიტორიაზე სხვადასხვა მიმართულებით; მათგან იგი იხსენიებს ორ ძირითადს. პირველია — „ჩრდილოეთის დიდი გზა“ — სულტანია არდებელი—ბარზანდი—ბალრევანი—მაჰმადაბადი—ბაბულ—აბევაბი (დარუბანდი); მეორე გზაა: — სულტანია—არდებელი—ბარზანდი—ყარაბადი (ყარაბადის საზღვრამდე ორივე გზა ერთმანეთს ემთხვეოდა) — ბარდავი—განჯა—შამქორი—ხუნანი—თბილისი და უფრო შორს დასავლეთისაკენ<sup>18</sup>.

პირველ გზას იმ დროისათვის დაკარგული ჰქონია ადრინდელი მნიშვნელობა; XIV ს-ში მოქმედი და მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზა იყო მეორე<sup>19</sup>. ამ გზის დაწინაურებას მკვლევარნი შემდეგი გარემოებით ხსნიან; რადგან ილხანთა ირანი დაინტერესებული იყო, სავაჭრო-სატრანზიტო გზები დაკული ყოფილიყო ჩრდილოეთის ულუსისაგან, ამიტომ მან ეს გზა გადაიტანა უფრო სამხრეთით, თავის სამფლობელოში; გზა მიიმართებოდა დღევანდელ

<sup>16</sup> И. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский, И. П. Петрушевский, Л. В. Строева, Л. М. Белиницкий, История Ирана с древнейших времен до конца XVII века, Л., 1958, გვ. 202; ბ. სილაგაძე, მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა II, თბ., 1968, გვ. 92—93.

<sup>17</sup> ე. სიხარულიძე, ამიერკავკასიის სამარშრუტო გზები IX—X სს. არაბული წყაროების მიხედვით; მასლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1963, გვ. 179—180.

<sup>18</sup> И. П. Петрушевский, Хаддаллах Казвини, как источник по социально-экономической истории Восточного Закавказья, ИАН, отд. общ. наук, 1937, № 4, с. 913.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 913.

აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე (ბარდავი—გზა—ხუნანი—თბილისი—ანისი...)²⁰.

ამრიგად, ოქროს ულუსის მხრივ ამიერკავკასიის სავაჭრო გზების დაპყრობის განზრახვამ აიძულა ილხანთა ირანი სამხრეთით გადაეტანა დასავლეთ ევროპასთან დამაკავშირებელი სავაჭრო გზა. აღნიშნული გზის საშუალებით ამიერკავკასიის ქვეყნები მკვიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი და გაცხოველებულ ვაჭრობას აწარმოებდნენ ურთიერთშორის, რაც დასტურდება ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამონეტო განძებით. ცნობილია, რომ სავაჭრო-საქარავნო გზებზე მდებარე ქალაქები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ილხანთა სახელმწიფოს სავაჭრო ურთიერთობასა და ეკონომიკაში.

თბილისის მნიშვნელობა სავაჭრო ურთიერთობაში ნაწილობრივ განპირობებული იყო მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით. როგორც დავიანახეთ, იგი ერთ-ერთ საკვანძო პუნქტს წარმოადგენდა იმ დიდ საქარავნო გზაზე, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც საქართველოს, ასევე ილხანთა ირანის ეკონომიკისათვის. საქართველოდან ილხანთა ხაზინაში შესული ფულადი გადასახადი არაერთხელ არის მოხსენიებული ამ დროის სპარს ისტორიკოსთა თხზულებებში. ჰამდალლას ყაზვინის თავის ნაშრომში „ნუშჰათ ალ-ყულუბ“ (გულთა სიამე)²¹ მოტანილი აქვს მონღოლური გადასახადების საერთო წლიური ჯამი ილხანთა სახელმწიფოს ვილაიეთებიდან ცალ-ცალკე. თვალს ხედება ილხანის დივანში საქართველოდან შესული თანხა, რომელიც 120 თუმანსა და 2000 დინარს შეადგენდა. იმ დროს, როდესაც აზერბაიჯანიდან (არანი, მულანი, გუშტასპი და შირვანი) შესული თანხა 53 თუმანსა და 4500 დინარს არ აღემატებოდა²².

თუ შევადარებთ საქართველოდან ილხანთა ირანის ხაზინარში შესულ წლიურ თანხას სხვა ოლქებიდან შესულს, ნათელი გახდება თუ როგორი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საქართველოს ილხანთა ირანის ეკონომიკაში.

ცნობილია, რომ ჯვაროსანთა პერიოდიდან მოკიდებული, ევროპისათვის საცესებით ნათელი გახდა ინდოეთთან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის უდიდესი მნიშვნელობა. აღმოსავლურ საქონელზე მზარდმა მოთხოვნილებამ XIII—XIV სს-ში ვაჭრობის შემდგომი გაფართოება გამოიწვია²³. სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალზე მდებარე საქართველო დაკავშირებული იყო, როგორც შორეულ, ისე მახლობელ ქვეყნებთან. აღსანიშნავია, რომ XIV ს-ის საკანონმდებლო ძეგლებში (ბექა-აბდულას სამართალი) მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ვაჭართა უფლებბრივი მდგომარეობის საკითხს.

საქართველო საექსპორტოდ აწარმოებდა ღვინოს და აბრეშუმს. მარკო პოლო (1254—1324 წწ.), რომელიც აზიაში მოგზაურობდა XIII ს-ის დასას-

20 И. П. Петрушевский, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 912.

21 ვ. გაბაშვილი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 121—122. ჰამდალლას ყაზვინის ნაშრომი ნუშჰათ ალ-ყულუბ“ (გულთა სიამე), დაიწერა 1340 წ. ცნობა საქართველოს შესახებ 1330 წ. ეკუთვნის

22 И. П. Петрушевский, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 897, 901—902. ავტორი შენიშნავს, რომ ყაზვინის მიერ მოტანილი ცნობები მონღოლური გადასახადების შესახებ მეტად ავტორიტეტულია, რადგან იგი ეკუთვნის საფინანსო უწყების ერთ-ერთ თვალსაჩინო მოხელეს.

23 მ. ტიკაძე, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 241.

24 М. А. Полиевктов, *Европейские путешественники XII—XVIII вв. по Кавказу*, Тифлис, 1935, с. 208—209.

რულს, აღნიშნავდა, რომ აბრეშუმის წარმოება ფართოდ იყო განვითარებული საქართველოში და გენუელ ვაჭრებს აქედან გაჰქონდათ აბრეშუმის მთავარ სექსპორტო საქონელს წარმოადგენდა ღვინო. მევენახეობის განვითარების აღმავალ პერიოდად XIV ს-ის პირველი ნახევარია მიჩნეული, რასაც „ხელმწიფის კარის გარიგება“ ადასტურებს. ეს დარგი იმ დროს მთავრობის ზრუნვისა და ზედამხედველობის საქმედ იყო მიჩნეული. სახელმწიფო მმართველობის აპარატში ცალკე უწყებაა შექმნილი, რომელსაც დიდი მოხელე მელვინეთუხუცესი ხელმძღვანელობდა<sup>25</sup>.

XIV ს-ში თბილისი კვლავ ითვლებოდა ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-სატრანზიტო ცენტრად. იგი მსოფლიოს დიდი ქალაქების გვერდით იხსენიება. მისი დაწინაურებული მდგომარეობა აგრეთვე ჩანს რომის პაპის იოანე XXI-ის ვიორგი ბრწყინვალისადმი (1314—1346 წწ.) 1322 და 1325 წწ. მიწერილი ეპისტოლეებიდან, სადაც თბილისი დახასიათებულია, როგორც „...ქართველთა სამეფოს შუაგული ადგილი, საუკეთესო, მეტად შესანიშნავი, სავსე მარჯვე და სიმდიდრით უხვი ქალაქი“<sup>26</sup>. თბილისის აქტიურ საქალაქო ცხოვრებას ადასტურებს აქ ზარაფხანის არსებობაც.

XIV ს-ის I ნახევარში გარდა თბილისისა, აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედებს ახალციხის, ანისისა და ყარაღაჯის ზარაფხანები. ჩვენ ამჯერად გვაინტერესებს, როგორი იყო ყაზან ყაენის სამონეტო რეფორმის შემდეგ ილხანთა სახელით თბილისის ზარაფხანაში გამოშვებული ვერცხლის ფულის ხასიათი.

მონღოლების საქართველოში დამკვიდრებისთანავე თბილისის ზარაფხანა აგრძელებს მუშაობას, რომელიც აწარმოებს ვერცხლის ფულის ემისიას მათი ბატონობის დასასრულამდე<sup>27</sup>.

როგორც ცნობილია, ჰულაგუიდების სახელმწიფოს ვრცელ ტერიტორიაზე ფართო ფულად მიმოქცევას, გაზრდილ საშინაო და საგარეო ვაჭრობას აბრკოლებდა საილხანოში შემავალ სახელმწიფოთა ფულის ტაპის სხვადასხვაობა, დაბალი წონა და სინჯი. განსაკუთრებით XIII საუკუნის ბოლო მეოთხედში შეინიშნება ღირჰემის წონის შესამჩნევი კლება. ჩანს, ამ დროისათვის ილხანთა ცენტრალური ხელისუფლება და შესაბამისად საილხანოში შემავალი ქვეყნების მესვეურები, სათანადო კონტროლს ვერ უწყევდნენ ზარაფხანების მუშაობას, რაც გამოწვეული იყო სახელმწიფოს სამეურნეო და პოლიტიკურ-ეკონომიკური სისუსტით.

ღირჰემის წონითი სტანდარტის დაქვეითება დაიწყო ილხანების არღუნისა (1284—1291) და ქეიღათუს (1291—1295 წწ.) მმართველობის დროიდან. ღირჰემის წონა დროის ამ მონაკვეთში 2,3—2,24 გრ შორის მერყეობს<sup>28</sup>, რაც ნაკლებია მათს წინამორბედ მონეტებზე (2,8 გ). ასეთ ვითარებაში დღის წესრიგში დგებოდა ფულადი მეურნეობის მოწესრიგება.

ყაზან ყაენის პირველი ვეზირი, რაშიდ ად-დინი, რომელიც „რეფორმების“ გატარების აქტიური მონაწილე იყო, გადმოგვცემს, რომ ფულადი რეფორმის


<sup>25</sup> ე. თაყაიშვილი, ხელმწიფის კარის გარიგება, ტფ., 1920, გვ. 1.

<sup>26</sup> მ. თამარაშვილი, ისტორია კათალიკოპისა და ქართველთა შორის (ნამღვილის საბუთების შემოტანითა განმარტებებით XIII საუკუნიდან ვიღრე XX საუკ-მდე), ტფ., 1902, გვ. 32.

<sup>27</sup> მონღოლების მიერ თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი პირველი ანონიმური მონეტა პანეკუთენება ჰიჭ. 630-იან წწ. (1232—1242 წწ.) И. Л. Джалагания, Из истории монетного дела в Грузии XIII века, Тб., 1958, გვ. 10.

<sup>28</sup> И. Л. Джалагания, დასახ. ნაშრომი, გვ. 101—102.





ჩატარებამდე ილხანთა სახელმწიფოში შემაჯავალ სხვადასხვა ვილაიეთში (საქართველო, მცირე აზია, მარდინი, ფარსი და ქირმანი) მოჭრილი ფულის სინჯი დაკანონებულ ნორმაზე დაბალი იყო, წონა შემცირებული და სხვადასხვა. ამიტომ ფულადი რეფორმის მიზანი იყო შეეცვალა ეს მონეტები ერთიანი უნიფიცირებული მონეტით... „ამ უწყისობათა აღმოფხვრა ისლამის ხელმწიფემ (ყაზან ყაენმა — ც. ლ) გადაწყვიტა ასე: უპირველეს ყოვლისა თავისი შეხედულებით მონეტის ნიმუში დაადგინა, ზედ ისეთი ნიშანი დასვა, რომლის გაყალბებას ვერვინ შესძლებდა, რომ მთელ მის სამფლობელოში ოქრო და ვერცხლი ამ ნიმუშის მიხედვით მოჭრილიყო. მონეტებზე ალაჰისა და მისი მოციქულის სახელიც უნდა ყოფილიყო. საქართველოშიც კი, სადაც მონეტები არასოდეს არ მოჭრილა ალაჰისა და მისი მოციქულის სახელით, აუცილებლობის გამო აგრეთვე იწყეს ასეთი ფულის მოჭრა, რადგან სხვა მონეტებს აღარსად ექნებოდა გასავალი“<sup>29</sup>.

ყაზან ყაენის ფულადი რეფორმით (1296 წ.), შემოღებული სამონეტო სისტემის მიხედვით<sup>30</sup>, ძირითადი ერთეული ვერცხლის დირჰემი გახდა, რომლის წონა 2,13 გრამით განისაზღვრა. ამ ძირითად ერთეულზე დამყარებით ილხანთა სამფლობელოში უშვებდნენ ვერცხლის მონეტების სხვადასხვა ნომინალს: ნახევარ დირჰემს, დირჰემს, ორიან დირჰემს და ექვსიან დირჰემს ანუ დინარს. ყველაზე დიდი საანგარიშო ერთეული იყო თუმანი, რომელიც მოიცავდა 10 000 ვერცხლის დინარს ან 60 000 დირჰემს. ყაზან ყაენის ფულადი რეფორმით დაკანონებული დირჰემის წონა დაედო საფუძვლად საქართველოს ზარაფხანებში მოჭრილ ვერცხლის მონეტებსაც.

საქართველოში აბალა ხანის (1265—1282 წწ.) დროიდან მოყოლებული ყაზან ყაენის ფულად რეფორმამდე, მონეტის წარწერა შეიცავდა ქრისტიანულ სარწმუნოებრივ სიმბოლოს. ყაზანის ფულადი რეფორმის შემდეგ ადრე არსებული ქართულ-პულაგუიდური მონეტა თავის ორიგინალობასა და სპეციფიკურ თვისებებს კარგავს, ყოველივე ქართული ან ქრისტიანული მასზე ქრება და წარწერების ენა და მათი შინაარსი მთლიანად უცხოურია<sup>31</sup>. მხოლოდ ქალაქის სახელწოდებითაა განსხვავდებიან ისინი ილხანთა ირანის სხვა ზარაფხანების პროდუქციისაგან<sup>32</sup>.


ამრიგად, ფულადი რეფორმის მიზანი იყო დაკანონებული უნიფიცირებული ტიპის, მყარი წონისა და მაღალი სინჯის ვერცხლის მონეტების გამოშვება. ახალი ფული თავისი გარეგნობით ადვილად გასარჩევი უნდა ყოფილიყო ძველისაგან. მონეტების ზედწერილი ჯერ ორენოვანია: არაბულ-უიღურული, შემდეგ, მოგვიანებით, XIV ს-ის II ნახევრიდან უიღურული წარწერა თანდათან ქრება და მონეტაზე რჩება მხოლოდ არაბული ზედწერილები. მონეტის შუბლზე აღბეჭდილია მომპრელის ვინაობა თავისი ტიტულით და კეთილმსურველი ფორმულით, მოჭრის ადგილი, თარიღი გადმოცემულია ჰიჯრით. მონეტის ზურგზე აღნიშნულია მუსლიმანური რელიგიური ფორმულა და გარშემო ოთხი

<sup>29</sup> Фазуллах Рашид-ад-дин, Джами-ат таварих (сборник летописей), Т. III, Баку, 1957, გვ. 280; დ. კაპანაძე, ქართული ნუმისმატიკა, თბ., 1967, გვ. 106.

<sup>30</sup> ილხანთა სახელმწიფოს ფულადი სისტემა დამყარებული იყო ვერცხლის მონომეტალობაზე.

<sup>31</sup> დ. კაპანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

<sup>32</sup> Е. А. Пахомов, Монеты Грузии, Тб., 1970, с. 176.



მართლმორწმუნე ხალიფას სახელი. ასეთი რჩება დირჰემის ტიპი მთელი საქუქუნის მანძილზე, მონღოლთა ბატონობის დასასრულამდე.

ყაზანის სახელით მოჭრილ მონეტებზე ზოგჯერ განსხვავებულმა მონეტებმა, თარიღის გარშემოწერილი სეგმენტებში სხვადასხვანაირად არის განლაგებული, ნოჭრის ადგილის აღნიშვნაც ზოგჯერ გადაადგილებულია. მონეტაზე დიდი ყაენის სახელი აღარ იხსენიება რაც, როგორც ცნობილია, დაკავშირებული იყო ჰულაგუიდებისა და ცენტრალური მონღოლთა სახელმწიფოს შორის კავშირის შესუსტებასთან. მიუხედავად ამისა, ქართლის მეფე დავით VIII (1293—1311) ყაზანს აუჯანყდა და მთიულეთში იყო გამაგრებული, ქართლის სამეფოში უნიფიცირებულ მონეტას სჭირდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ამას რაშიდ ად-დინი აღნიშნავს, მათ ფულს არსად არ ექნებოდა გასაცალი.

ჰულაგუიდური ტიპის მონეტების გამოშვება თბილისის ზარაფხანაში გრძელდებოდა ჰულაგუიდების დაცემამდე. ისევე როგორც ილხანთა ირანში ამ დროს ქართლის სამეფოს ფულად ბაზარზეც ძირითადი ვალუტა ილხანების უნიფიცირებული დირჰემი გახდა, რომელსაც რეგულარულად უშვებდნენ თბილისის ზარაფხანა. უნიფიცირებულმა დირჰემმა მიმოქცევიდან განდევნა რეფორმამდელი მონეტები და დაიჭირა წამყვანი ადგილი აღმოსავლეთ საქართველოს ფულად მიმოქცევაში.


ყაზანის სახელით თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ყველაზე ადრეული უნიფიცირებული მონეტა თარიღდება ჰიჯ. 698 წლით (1298—1299 წწ.).

ვიძლევით თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ვერცხლის მონეტების აღწერილობებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით (სურ. 1).

ყაზანის უნიფიცირებული მონეტის ავერსზე, მარცხნივ, ვერტიკალურად მოთავსებულია სამი „საიდუმლო“ ნიშანი, რომლის შესახებაც, რაშიდ ად-დინი აღნიშნავს შემდეგს: ყაზანმა იმიტომ მიმართა ამ ნიშნებს, რათა ხელი შეეშალა ყალბი ფულის გამოშვებისათვის.

ვიძლევით ერთ-ერთი მონეტის აღწერილობას:

33 ყაზან ყაენის მონეტაზე მოთავსებული „საიდუმლო“ ნიშნების ამოკითხვის თაობაზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს: ა. შმიდტის განმარტებით იგი იყო ტიბეტური ასოებისაგან შედგენილი სიტყვა და ნიშნავდა „ხელმწიფეს ქვეყნისას“. ასეთ განმარტებას იზიარებდნენ კ. ფრენი Fraehn, De Ilchanorum seu chulaguidorum nomis, გვ. 508, № 90) და თ. ლომოური (თ. ლომოური, „ქოდალას განძი“, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე XIV-B, თბ., 1947, დვ. 131). ჯერად კლაუზენი და დ. ლანგი საიდუმლო ნიშნის სიტყვა „ყაენს“ უკავშირებენ, ტიბეტური დამწერლობის კვადრატული ანბანით (პაგ-სა) შესრულებულს, რომელიც მონეტაზე უცოდინარი დამწერის მიერ იყო ამოკვეთილი (D. Lang, Studies in the numismatic history of Georgia in Transcaucasia, New-York, 1959, გვ. 53); მ. დროუენის აზრით, ეს უცნობი ნიშანი რელიგიურ ეპითეტს უნდა წარმოადგენდეს „ირინინ ტურჩის“ მსგავს — (M. Drouin, Notice sur les monnaies mongoles faisant partie des „Recueil de documents de l'époque“, publié par R. Bonopart, „Journal Asiatique“, 1896, გვ. 532), ტერჩიენ დე ლაკუბერმა „საიდუმლო“ ნიშნები პაგ-სა აღფაცივებით „ყაზანი მაჰუდი“ ამოკითხა, ტ. ლაკუბერსიულ ამოკითხვას იზიარებენ და მხარს უჭერენ ს. ლენგუელი, სეიფედდინი, S. Lane-Poole, Catalogie... VI, introd, p. XLIX—LII; В. Г. Тизенгаузен, новое собрание восточных монет А. Б. Комарова. СПб., 1880, с. 27; Е. А. Пахомов, Монеты Грузии, с. 177; М. А. Сейфеддини, Монеты Илханов, Баку, 1968, с. 108—109. დასახ. ნაშრომი, გვ. 177.



სურ. 1

1. გ. ფ. 3489 ყაზან-ყაანი, თბილისი, 3698 წ. (=298/99) ღირპემი ზომა — 2,16 გ. წონა — 22 მმ.

შუბლი: ჩვეულებრივ არშიაში<sup>34</sup>; ხუთსტრიქონიანი უიღურული ზედწერილი: „სახელითა ღვთისათა ყაზანის მონეტა“. ლეგენდის ზევით ორნამენტი. III ხაზზე არაბულად — **اغان** — „ყაზან მაჰმუდი“, მარცხნივ, კერტიკალურად ტიბეტური დამწერლობით — „ყაზან მაჰმუდი“.

ზურგი ფიგუროვან ხუთუბიან ორმაგ ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის

<sup>34</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმისმატიკის განყოფილების კანკების ფონდი (შემდეგში: გ. ფ.).

ჩვეულებრივი არშია, ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი — სუნიტური ფორმულა:  $\text{سود/محمد/الله/الله/الله/الله}$  „არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა, მუჰამედი მისი წინასწარმეტყველი“. მეორე და მესამე სტრიქონებს „سود/سود“ იტყედა თბილისს“. სიმბოლოს მარცხნივ და მარჯვნივ:  $\text{علي/علي}$  — აკურთხოს ღმერთმა. სეგმენტებში თარიღი:  $\text{سنة/ثمان/تسعين/ستة/—698}$  წელს. ერთ-ერთ სეგმენტში ორნამენტი<sup>35</sup>.

თარიღი ჰიჯრით მონეტის კიდეზე, გარე სეგმენტებშია მოთავსებული. ზოგჯერ სიქის ანაბეჭდი მონეტის დისკოს არ ემთხვეოდა, წარწერის ნაწილი არ გამოდიოდა და ეს ართულებს თარიღის ამოკითხვას.

ყაზან ყაენის დროინდელი თბილისის ზარაფხანის პროდუქცია ჩვენ ხელთ არსებული მასალის მიხედვით, მხოლოდ ღირებუებითაა წარმოდგენილი. ყაზანის სახელით თბილისში მოჭრილი 164 ღირებულების<sup>36</sup> საშუალო წონა შეადგენს 2,132 გ. მაქსიმალური — 2,58 გ, მინიმალური — 1,95 გ. ეს წონები ახლოს არის ილხანთა ირანის ზარაფხანაში ყაზანის სახელით მოჭრილ ღირებულების წონასთან (საშუალო წონა ტოლია 2,17 გ. მაქსიმალური — 2,55 გ, მინ. — 2,06 გ)<sup>37</sup>. ამრიგად, თბილისის მონეტების წონითი რემედიუმი შესაბამისი იყო ილხანთა ირანის ზარაფხანების სტანდარტისა. ჩვენთვის ცნობილია ყაზანის თბილისური მონეტები ჰ. 698, 699, 700, 701 წწ. (სურ. 2).

თბილისის ზარაფხანაში ყაზანის ერთი ტიპით მოჭრილი მონეტების სხვადასხვა სიქის სიმრავლე შეინიშნება, რაც მაჩვენებელია იმისა, რომ თბილისის ზარაფხანა ამ დროს ინტენსიურად მუშაობს.

ჰიჯ. 703 წ. (1303/1304 წწ.) ყაზან ყაენის გარდაცვალების შემდეგ, ტახტი დაიკავა მისმა ძმამ ოლჯაითუმ (1304—1316 წწ.). საშინაო პოლიტიკაში ოლჯაუხანი ყაზან ყაენის მიერ დაწყებულ საქმეს აგრძელებდა. ყაზანის პოლიტიკის გაგრძელება კი ძალზედ ძნელი იყო, რადგან უფრო და უფრო ღრმავდებოდა უთანხმოება მომთაბარულ არისტოკრატისა და ადგილობრივ ფეოდალებს შორის<sup>38</sup>.

ოლჯაითუ ხანმა გამაჰმადიანების შემდეგ მიიღო ახალი სახელი „ხუდა ბენდე“ (სპარს. ღვთის მონა) მუჰამედი. ისლამის მიღების შემდეგ მის მონეტაზე პირველად აღინიშნა პირველი ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას — (აბუ ბაქარი, ომარი, ოსმანი, ალი) სახელი. ხოლო, როდესაც მან შიიზმი აღიარა (ჰიჯრის 709 წლიდან 1309—1310 წწ.) მონეტაზე რწმენის შიიტური სიმბოლოც გაჩნდა (ალისა და თერთმეტი იმამის სახელით)<sup>39</sup>.

ჰიჯრის 704 წ. (1304/5 წწ.), ჰიჯრის 716 წ. (1316—17 წწ.) საილხანოს ზარაფხანები ოლჯაითუ სულტანის სახელით უშვებს ღირებუებს, ორიან ღირ-

<sup>35</sup> ე. პ ა ხ მ ო ვ ი, როდესაც პულაველიურ მონეტებს აღწერს, „ჩვეულებრივს“ უწოდებს ხაზოვანი და წერტილოვანი წრისაგან შედგენილ არშიას. ჩვენც შემდეგში გავემოთრებთ პახომოვისეულ მინიშნებას — „ჩვეულებრივი არშია“. Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

<sup>36</sup> გვ. №№ 3482—3486; 3488—3489; 3491—3496; 3498—3506; 3519—3558, 3612—3645; 3647—3672; 3674—3681; 3684—3707; 3725; 5131—5172; 5178; 5231; 9559; 10435; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმისმატიკის განყოფილების ქართული ძირითადი ფონდი (შეკადეში: ქ. ძ.) ინვ. №№ 4651; 4652; 5949—5951 გვ. 52—53; № 25.

<sup>37</sup> გ. ფ. №№ 3513; 3524; 3530; 3538—3540; 3546—3547;

<sup>38</sup> И. В. Пигулевская и др. История Ирана..., Л., 1958, с. 206.

<sup>39</sup> М. А. Сенфеддини. დასახ. ნაშრომი, 1958, გვ. 130.



ჰემებს, ვერცხლის დინარებს. თბილისის ზარაფხანის ამ დროინდელი პრ-  
დუქტია კი ცნობილია მხოლოდ დირჰემებითა და ორიანი დირჰემებით. მსხვი-  
ლი ნომინალი ჯერჯერობით არა ჩანს. ოლჯაითუს სახელით თბილისის, ზარაფხა-  
ნაში გამოშვებული ვერცხლის ფული დავით VIII-ისა და ვანტანგ III-ის  
(1297—1308 წწ.) მეფობაზე მოდის.

ილხანთა ირანში ოლჯაითუს სახელით ფულის გამოშვება დაიწყო მისი  
მმართველობის დასაწყისიდანვე, ჰიჯრის 704 წ. (1304—1305 წწ.)<sup>40</sup>. ჩვენ  
ხელთ არსებული მასალის მიხედვით, ოლჯაითუს სახელით თბილისის ზარაფხა-  
ნის ყველაზე უადრესი მონეტა ჰიჯრის 705 წ. (1305—1306 წწ.) თარიღდება<sup>41</sup>.  
ე. პახომოვი არ იცნობდა ოლჯაითუს მმართველობის დასაწყისის თბილისურ  
მონეტას<sup>42</sup>.

ოლჯაითუ სულტანის დროიდან საილხანოს ზარაფხანებში და თბილისშიც  
სხვადასხვა ტიპის ვერცხლის ფულს ჰირდნენ (შეიცვალა მონეტათა ზედწერი-  
ლების შინაარსი).

ვიძლევიტ ოლჯაითუს დროს თბილისში მოჭრილი ვერცხლის ფულის ძი-  
რითადი ტიპების აღწერილობებს:

2. გვ. 3683, თბილისი, ჰიჯ. 705 (1305/06) დირჰემი, წონა — 2,1 გ. ზომა —  
21 მმ (სურ. 1 № 2) ჩვეულებრივ კვადრატულ ჩარჩოში ოთხსტრიქონიანი არა-  
ბული ზედწერილი: /اعظم/ عياث الدنيا و الدين/ خدا بندلا محمد/ خلد الله ملكه /  
/السلطان/ „სულტანი უზენაესი, მშვიდობისა და რელიგიის მფარველი ხუდა ბენდ  
მუჰამედი, ხანგრძლივ ჰყოს ღმერთმა მეფობა მისი“. ზედა სეგმენტში ხვეული ორ-  
ნამენტი, ორ სეგმენტში თარიღი: /في سنة خمس و سبعين/ 705 წ. ქვედა სეგ-  
მენტში: — الحمد لله رب العالمين — „დიდება ალლაჰს ქვეყნიერების შემ-  
ქმნელს“.

ზურგი: ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულ ხუთბუდიან ჩარჩოში რწმენის  
სუნიტური ფორმულა სამ სტრიქონზე: /يا اياها الا الله/ محمد/ رسول الله/  
„არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა მუჰამედი მოციქულია მისი“. მეორე სტრი-  
ქონზე ზარაფხანის სახელი: صرب قلمس — იქედა თბილის, ვარშემო: صلى الله عليه  
აღლაჰის წყალობით. /ابو بكر/ عمر/ عثمان/ على/ აბუ, ბაქრი, ომარი, ოსმანი, ალი<sup>43</sup>.  
3. ქ. d. 4665, თბილისი, ჰიჯ. 709 (1309/10) ორიანი დირჰემი (სურ. I № 3)  
წონა — 4,22 გ, ზომა — 24—25 მმ.

შ უ ბ ლ ი: შვიდსტრიქონიანი არაბული, ზედწერილი მოთავსებულია ოთხ-  
ნახევარკალისაგან შედგენილ ჩარჩოში, რომელთა ამოხნეჩილი მხარეები გა-  
რეწრესთან დაკავშირებულია რგოლებით (რგოლებში წერტილებით).

შ უ ა შ ი:

اصرب قى/ ايمام دولة المولى/ السلطان الاعظم. ملك رقاب/ الامم اولحايتو سلطان عياث  
الدنياو الدين خدا بنده محمد/ خلد الله ملكه /  
„მოიჭრა უზენაესი სულტანის მმართველობის დღეებში, მეფეთა დამპყრობე-  
ლის, იმამის, ოლჯაითუ სულტანის მიერ, მშვიდობისა და საარწმუნეობის

<sup>40</sup> М. А. Сеифеддини, *დასახ. ნაშრ.*, 1968, გვ. 130.

<sup>41</sup> თ. ლ ო მ ო უ რ ი, ქოდალას განძი, გვ. 142, გ. ფ. 3683.

<sup>42</sup> Е. А. Пахомов, *დასახ. ნაშრომი*.

<sup>43</sup> თ. ლ ო მ ო უ რ ი, ქოდალას განძი, გვ. 131; М. А. Сеифеддини. Монетное дело и денежное обращение в Азербайджане XIII—XV вв., Баку, 1978, т. 235—236.

მფარველი. ხუდაბენდღე მუჰამედი, ხანგრძლივ ჰყოს ღმერთმა მეფობა მისი“.

მარჯვენა სეგმენტში უილურულად — ოლჯაითუ სულტანი. *مباركنا*

„ალლაჰს უფლება აწ და მარადის“. ქვედა სეგმენტში ზარაფხანა და თარიღი:  
/صرب تعليس/ سنة/ نسع و سهمية/ მოიჭრა თბილისს 709 წ.

ზ უ რ გ ი: ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულ წრეში ოთხ სტრიქონად რწმენის შიიტური ფორმულა: /لا اله الا/ محمد/ رسول الله/ على ولي الله/  
„არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა, მუჰამედი მოციქულია ალლაჰის. ალი — ღმერთის მოადგილე“. ქვემოთ ორნამენტი. გარშემო სამი მხრიდან: *الله/سم/ الكريم/* „ყოვლად მოწყალე ალლაჰის სახელით: წრესა და ჩვეულებრივ არშიას შორის მოწოდება 12 იმამისადმი:

اللهم صلى على محمد و على والدسن و الحسين و على و محمد و جعفر و موسى و على و الحسن و محمد

„ღმერთო შეიწყალე მუჰამედი და ალი, და ჰასანი, და ჰუსეინი, და ალი, და მუჰამედი, და ჯაფარი, და მუსა, და ალი, და მუჰამედი, და ალი, და ჰასანი, და მუჰამედი“.

თბილისის ზარაფხანა, ოლჯაითუ სულტანის სახელით ამ ტიპის დირჰემებს მომდევნო წლებშიაც უშეგებს ჰიჯ. 710 წ. (1310—1311 წწ.)<sup>45</sup> ჰიჯ. 711 (1311—1312 წწ.)<sup>46</sup>, ჰიჯ. 712 წ. (1312—1313 წწ.)<sup>47</sup>. ჰიჯ. 714 წ. (1314/15 წწ.) ოლჯაითუ სულტანის ახალი სამონეტო ტიპი გაჩნდა.

4. ქ. დ. 2344, თბილისი, ჰიჯ. 714 (1311/15) ორიანი დირჰემი წონა — 3,5 გ., ზ. — 24—25 მმ (სურ. 1 № 4).

შ უ ბ ლ ი: ექვსტრიქონიანი არაბული ზედწერილი მოთავსებულია შვიდ ნახევარკალისაგან შედგენილ ჩარჩოში, რომელთა ამოხნეტილი მხარეები ჩვეულებრივ არშიასთან დაკავშირებულია რგოლებით (რგოლების ცენტრში წერტილები ზის) შ უ ა შ ი:

فصرب/قى دولة المولى السلطان/ الاعظم ملك رباب/ الامم  
ياث الدنيا والدين/ وادجايتو سلطان محمد/ اخلد الله ملكه  
მოიჭრა უზენაესი სულტანის მმართველობის დროს, მეფეთა დამპყრობელის ოლჯაითუ სულტანის მიერ, მშვიდობისა და სარწმუნოების მფარველი, ხანგრძლივჰყოს ღმერთმა მეფობა მისი.

صرب/تعليس/ سنة/ اع/ عشر/ اسبع/ اماية/ მოიჭრა თბილისს, 714 წ.

ზ უ რ გ ი: ექვსი რკალისაგან შედგენილი ჩარჩო მოთავსებულია ჩვეულებრივ არშიაში. შუაში შიიტური რწმენის ფორმულა:

/الله/ لا اله الا/ محمد/ رسول الله/ على ولي الله/  
არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა მუჰამედი მოციქულია მისი. ალი — ღმერთის მოადგილე.. გარშემო მოწოდება 12 იმამისადმი<sup>48</sup>.

44 E. A. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 178.

45 ქ. დ. 4653.

46 ქ. დ. 2343; 3347; 4654; 4655;

47 E. A. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.

48 იქვე.

ამ ტიპის თბილისის ზარაფხანის პროდუქცია ცნობილია პიჯ. 715 წ. (1315—1316 წწ.)<sup>49</sup>.

ოლჯაითუ სულტანის სახელით გამოშვებული ღირებულების მქონე გური მონეტების საფუძველზე ორი პერიოდი გამოიყოფა: 1. პიჯ. 705 (1305—1306 წწ.) — პიჯ. 713 (1313—1314 წწ.). ამ დროს გამოშვებული ღირებულების საშუალო წონა შეადგენს 2/12 გ; მაქსიმალური — 2,82 გ; მინიმალური — 1,98 გ<sup>50</sup>. ამავე პერიოდის თბილისის ზარაფხანის ღირებულების საშუალო წონა — 2,1 გ, მაქსიმალური 2—2,1 გ, მინიმალური — 1,89 გ<sup>51</sup>.

2. პიჯ. 714 (1314—1315 წწ.) — 715 წწ. (1315—1316 წწ.) ილხანთა ირანის ქალაქების ღირებულების წონა უდრის 1,88 გ; მარქს. 1,98 გ, მინ — 1,59 გ<sup>52</sup>; ამ დროის თბილისური ღირებულების საშუალო წონა შეადგენს 1,85 გ; მაქსიმალური 1,95 გ; მინ. 1,57 გ<sup>53</sup>.

ამ მონეტებიდან ჩანს, რომ ღირებულება, კანონით დადგენილი (2.13 გ) თუ-ორიული წონა არ ედრება პრაქტიკულ წონას. მიუხედავად ყაზანის ფულადი რეფორმისა, სადაც მკაცრად არის განსაზღვრული ვერცხლის მონეტის წონა, ოლჯაითუ სულტანის ღირებულების წონითი რემედიუმში შედარებით დიდია. ამ დროიდან იწყება ღირებულების წონის დაქვეითება, რაც თბილისის ზარაფხანის პროდუქციასაც დაეტყო. როგორც თბილისური, ასევე ირანის ქალაქების ღირებულების ფაქტიური წონა ნომინალურ წონაზე ნაკლებია. განსაკუთრებით წონის დაქვეითება შეინიშნება პიჯ. 714 წლიდან (1315—1315 წწ.). სხვაობა ნომინალურ წონასთან — 0,28 გ შეადგენს.

ოლჯაითუ სულტანის შემდეგ 1316 წ. ილხანის ტახტს იკავებს ოლჯაითუს მცირეწლოვანი (12 წლის) შვილი აბუ-საიდი. მის მაგიერ საქმეებს, ფაქტიურად, აღზევებული ემირი ჩობანი განაგებდა. ვილაიეთების მართვა-გამგებლობა განაწილებული ჰქონდათ ემირ ჩობანის შვილებს, ძმებსა და ახლობლებს. ჩობანის განუსაზღვრელი ხელისუფლება შურსა და ორგულობას იწვევდა მომთაბარე მონღოლი ფეოდალების მხრიდან, რაც მათი გამარჯვებით დასრულდა.

1327 წ. აბუ საიდმა თავისი პირველი ვეზირი ჩობანი მოაკვლევინა. ბრძოლა მონღოლურ-თურქულ არისტოკრატიასა და ირანელ ფეოდალებს შორის ახალი ძალით განახლდა.

ჩობანის, როგორც მტკიცე ხელისუფალის დაღუპვამ დააჩქარა ილხანთა სახელმწიფოს დაშლა, მონღოლთა სახელმწიფო თავის დასასრულს უახლოვდებოდა, მისი დაშლა კი გარდაუვალი იყო. მსხვილი მიწისმფლობელობა მხოლოდ დამოკიდებულ, ფეოდალური სამთავროების არსებობას უქმნიდა ნიადაგს<sup>54</sup>. დაიწყო არეულობა. ილხანთა ხელისუფლება ირანში ძალზედ შესუს-

49 ქ. ძ. 509; 4659; 3346; 4663; 4664; 4666; 4658; 4660; 4661; 4952.

50 M. A. Сейфеддини. Монеты Ильханов, გვ. 131—132.

51 გ. ფ. 3682; 3683; 5245—5247; 5250; ქ. ძ. 508; 2343; 3347; 4655; 4653—4655. 57; № 27; № 28; № 30.

52 გ. ფ. 20314—20324; 20330; 20344; 20386; 204086; 20406; 20412; 20420; 20432, 20437.

53 გ. ფ. 20295; 20372; 20381; 20384; 20387; 20399; 20405; 20410; 20422; 20424; 20428; 20430; 20431; 20432—20436; 20441; 20442. გვ. 59; № 29.

54 ვ. გაბაშვილი, ილხანთა ირანი..., გვ. 213.

ტა და შესაბამისად სხვა დაპყრობილ ქვეყნებშიაც მათმა პოლიტიკურმა ძლიერებამ იკლო.

XIV ს-ის 30-იანი წლებიდან მოკიდებული, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი (80-იან წლებამდე) ხასიათდება ფეოდალური დაშლილობის შემდგომე დაიწყო გაუთავებელი ბრძოლები უფლისწულებსა და ნოინებს შორის.

ყაზან ყაენმა სცადა მონღოლთა სახელმწიფოს გადარჩენა. მან მრავალი ახალი ღონისძიება გაატარა საგადასახადო საქმის მოსაგვარებლად, სოფლის მეურნეობის გამოსაცოცხლებლად, ვაჭრობა — ალბ-მიცემისათვის ხელის შესაწყობად, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლების ყველა ცდა ეხსნა ქვეყანა მძიმე ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისისაგან მარცხით დამთავრდა. ყაზან ყაენის მიერ გატარებულმა რეფორმებმა დროებით უზრუნველყო ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა, ასევე დროებით იქნა შეჩერებული ჰულაგუიდების სახელმწიფოს დაშლის პროცესიც, რადგან „ეს სახელმწიფო შუასაუკუნეების იმპერიის ტიპს განეკუთვნებოდა — სხვადასხვა ქვეყნების ტომებისა და ხალხების კონგლომერატს წარმოადგენდა, რომელთაც არ ჰქონდათ მყარი ეკონომიკური, ეთნიკური და კულტურული კავშირი. ისინი გაერთიანებულნი იყვნენ მხოლოდ დროებით, დაპყრობების გზით<sup>56</sup>.

ილხან აბუ საიდის (1316—1336 წწ.) დროს, განსაკუთრებით ვაძლიერდა მონღოლი სამხედრო არისტოკრატის გამოსვლები<sup>57</sup>. სახელმწიფოში შინა აშლილობას ემატებოდა არახელსაყრელი საგარეო პოლიტიკური ვითარება: ამ დროს ილხანებს ბრძოლა უხდებოდათ მეზობელ სახელმწიფოებთან (ოქროს ურდო, ეგვიპტე). რომლებიც დიდი ხანია მეტოქეობას უწევდნენ მას. ილხანთა სახელმწიფოს შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს კი, მსოფლიო ვაჭრობაში მონაწილეობა წარმოადგენდა. ეკონომიური გაჩანაგება, გლეხთა აჯანყებები, შინაომები, ყველაფერი ეს სახელმწიფო ხაზინას აცარიელებდა. ილხანთა სახელმწიფო მძიმე ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა.

ყაზან ყაენის შემდეგ, მისმა სამონეტო რეფორმამ თანდათანობით დაჰკარგა ძალა. ძირითადი ერთეულის (დირჰემი) წონა ილხან აბუ საიდის მმართველობის დროს რამდენჯერმე შემცირდა. ა. მარკოვი დაკლებული წონით მონეტების მოჭრის ორ ეტაპს გამოჰყოფს: პირველი მოიცავს პერიოდს ჰიჯ. 716 წ. (1316—1317 წწ.) — ჰიჯ. 733 წ. (1332—1333 წწ.). დირჰემის წონა 2,15 გრამიდან 1,75 გრამამდე დაეცა. მეორე პერიოდი იწყება ჰიჯ. 733 წ. (1332—1333 წწ.) და გრძელდება აბუსაიდის მმართველობის დასასრულამდე. დირჰემი ამ დროს იწონის 1,4 გრამს. ა. მარკოვის დაკვირვებით, მომდევნო ილხანები: მუჰამედ ხანი (1336—1338 წწ.) დირჰემის გამოშვებას იგივე წონით (1,4 გ) აგრძელებს, სათი ბეგი (1338—1339 წწ.), ჯეჰან თეიმური (1339—1341 წწ.) და

<sup>55</sup> ვ. გაბაშვილი, ილხანთა ირანი..., გვ. 213.

<sup>56</sup> И. В. Пигулевская, История Ирана..., Л., 1958, с. 214—216.

<sup>57</sup> იქვე, გვ. 217.



სულეიმანი (1339—1343 წწ.) ღირებულების წონას 1,6 გ ზრდიან. ანუ შირვანის (1343—1356 წწ.) დროს კი, მისი წონა კვლავ ქვეითდება 1,4 გრამამდე<sup>58</sup>.

გ. ფიოდოროვ-დავიდოვს ა. მარკოვისეულ კლასიფიკაციაში კორექტივი შეაქვს. ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით იგი აბუ საიდის დროს, დაკლებული წონით მონეტების მოჭრის სამ ეტაპს გამოყოფს: I — ჰიჯ. 717—727 წწ. (1317—1327 წწ.). ღირებულების საშუალო წონა წინამორბედ ორი ილხანის ღირებულების საშუალო წონასთან შედარებით დაეცა 1,775 გრამამდე. II — ჰიჯ. 727—733 წწ. (1326—1333 წწ.) ღირებულების საშუალო წონა — 1,6 გრამია; III — ეტაპი მოდის აბუ საიდის მმართველობის ბოლო წლებზე. როდესაც ღირებულების წონამ მორიგი შემცირება განიცადა და 1,4 გრამამდე ავიდა<sup>59</sup>.

ჩვენ ხელთ არსებული მასალის მიხედვით ილხან აბუ საიდის დროს თბილისის ზარაფხანის პროდუქციის სურათი ასეთია:

წ ე ლ ი		ღირებულების ფაქტიური წონა		
ჰიჯრით	ჩვენი წელთაღრიცხვით	მაქსიმალური	მინიმალური	საშუალო
716—717	1316—1318	1,89	1,55	1,76 <sup>60</sup>
719	1319—1320	1,74	1,65	1,76 <sup>61</sup>
722	1322	1,69	1,53	1,62 <sup>62</sup>
723	1323	1,69	1,69	1,74 <sup>63</sup>
724	1323—1324	1,79	1,40	1,60 <sup>64</sup>
725	1324—1325	1,41	1,73	1,67 <sup>65</sup>
727	1326—1327	1,62	1,30	1,64 <sup>66</sup>
729	1328—1329	1,54	1,38	1,58 <sup>67</sup>
ილხანის 33 წელი	1332—1333	1,42	1,22	1,35 <sup>68</sup>

<sup>58</sup> А. К. Марков, Инвентарный каталог мусульманских монет Императорского Эрмитажа, СПб., 1896, с. XXVIII—XXXX; Г. А. Федоров-Давыдов, К вопросу о денежном курсе золота в Иране и Средней Азии в XIV в. Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях Института истории и материальной культуры, М., 1956, с. 56.

<sup>59</sup> М. А. Сейфеддини, Монеты ильханов..., с. 145—147.

<sup>60</sup> ქ. დ. 2362; 4671; 2355; 2357; 3350; 4669; 4670; А. К. Марков, დასახ. ნაშრომი, გვ. 581; № 260. D. Lang, Studies... გვ. 61—62 № 31.

<sup>61</sup> ქ. დ. 2358; 2361; 4672—4674; 4676—4681; 3349; 520; 5955; 5956; ვ. ფ. 12026; 12035; 12050.

<sup>62</sup> ქ. დ. 3184; 3487; 4682—4685; 5872. А. К. Марков, დასახ. ნაშ., გვ. 581; № 286.

<sup>63</sup> ქ. დ. 514; 516; 521; 2363; 3355; 3356; 4688; 4689. А. К. Марков, დასახ. ნაშ., № 299; D. Lang, დასახ. ნაშ., № 34b.


<sup>64</sup> ქ. დ. 515; 2364—2376; 4686; 4687; 4692—4693. А. К. Марков, დასახ. ნაშ., გვ. 582, № 304; D. Lang, დასახ. ნაშ., № 36, 37.

<sup>65</sup> ქ. დ. 2373; 2374; 3352; 3357; 3421; 4690; ვ. ფ. 12906; А. К. Марков, დასახ. ნაშრომი, გვ. 583. № 310.

<sup>66</sup> ქ. დ. 513; 518; 522; 517; 3220—3229; 4694—4698; 3351; 3420; 4600—4704; 3353; 5948; 2375; А. К. Марков, დასახ. ნაშ., გვ. 658, № 310.

<sup>67</sup> ქ. დ. 519; 4699; 5957; D. Lang, Studies... № 38.

<sup>68</sup> ქ. დ. 4704—4707; 2377; 2378; 3185; А. К. Марков, დასახ. ნაშრომი, გვ. 586, № 495; D. Lang, Studies..., გ. 65. № 39—40.



წ ე ლ ი		ღირებულების ფაქტორი წონა		
პიჯირთ	ჩვენი წელთაღრიცხვით	მაქსიმალური	მინიმალური	საშუალო
717	1317—1318	1,91	1,70	1,78
719	1319—1320	1,78	1,44	1,67
742	1322	1,75	1,52	1,62
723	1323	1,80	1,71	1,75
724	1323—1324	1,82	1,62	1,70
725	1326—1329	1,75	1,68	1,72
727	1326—1329	1,75	1,30	1,58 <sup>70</sup>
ილხანის 33 წელი	1332—1333	1,50	1,12	1,39

ცხრილიდან ჩანს, რომ აბუ საიდის სახელით თბილისში მოჭრილი ღირებულების საშუალო წონა I პერიოდში პიჯ. 716—725 წწ. (1316—1325 წწ.) ტოლია 1,71 გ. II პერიოდში, პიჯ. (722—729 წწ.) (1326—1329 წწ.) — 1,57 გ. III პერიოდში პიჯ. 733 წ. (1332—1333 წწ.) — 1,35 გრამია. ყველა ეს მონაცემი ახლოა საკუთრივ ილხანთა ირანის ქალაქებში მოჭრილი მონეტების სათანადო მონაცემებთან. პიჯ. 717—725 წწ. (1317—1325 წწ.) ილხანთა ირანში ღირებულების საშუალო წონაა 1,72 გ. პიჯ. 727—732 წწ. (1326—1329 წწ.) 1,58 გ. პიჯ. 733 წ. (1332—1333 წწ.) 1,39 გ. როგორც დავინახეთ, აბუ საიდის ღირებულება რამდენჯერმე განიცადა ცვლილება. ყაზან ყაენის ფულადი რეფორმით დაკანონებულ ღირებულების წონას I პერიოდში დააკლდა ნახევარი დანგი<sup>71</sup> (0,35 გ.) და გახდა 2,5 დანგის წონა, ბოლოს (1332 წ.) აბუ საიდმა ღირებულების წონა ერთი დანგით შეამცირა და ღირებულება დაახლოებით 2 დანგს იწონიდა (1,4 გ.).

აბუ საიდის სახელით თბილისში მოჭრილი ყველა მონეტა გიორგი ბრწყინვალის (1314—1346 წწ.) მეფობის წლებზე მოდის.

ვიძლევიტ ილხან აბუ საიდის სახელით თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი მონეტების ძირითადი ტიპების აღწერილობას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

5. ქ. ძ. 2362 თბილისი, 716 (1316/17) ორიანი ღირებულება, წ. — 3,65 გ.  
ზომა — 24/25 მმ (სურ. 1, 5).

შუბლი: ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულ წრეში ოთხი სტრიქონი არაბულად: /اصرب قى/ او/اه المولى/ السلطان/ الاعظم ابو سعيد/ حاد الله ملكه/ „მოიჭრა უზენაესი მბრძანებლის, აბუ საიდ სულტანის მმართველობის დროს.“

<sup>69</sup> M. A. Сейфеддини, Монеты ильханов..., გვ. 145—147.  
<sup>70</sup> Stanley Lane-Poole, Catalogue... Vol. II, London, 1876, გვ. 73 — 78; №№ 215; 218; 219; 223—229; 231—233; Stanley Lane-Poole, Catalogue..., vol. X, 1890; გვ. 110—112; №№ 214; 215; 222<sup>a</sup>, 222<sup>b</sup>, 222, 222<sup>c</sup>, 227<sup>b</sup>, 227<sup>c</sup>, 227<sup>d</sup>, 227<sup>k</sup>, 227<sup>m</sup>, 227<sup>p</sup>, 227<sup>s</sup>, 231<sup>d</sup>, 231<sup>e</sup>, 231<sup>s</sup>, 231<sup>t</sup>.  
<sup>71</sup> ცნობილია, რომ დანგი (არამეულად-მარცვალი) ფულისა და წონის ერთეული იყო ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებსა და საქართველოში, შუა საუკუნეებში ქართულ წონით სისტემაში დანგი უდრიდა დრამის მეოთხედს.

განაგრძოს ღმერთმა მეფობა მისი“. წრესა და ჩვეულებრივ არშიაში შორის, გარშემო — ზარაფხანა და თარილი:

صرب تقليس سنة ست عسر [سنعما ٤]

„მოიჭრა თბილისში [7] 16 წ.“

ზ უ რ გ ი: ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულია ფიგურული რვასხივიანი ვარსკვლავი. შუაში: /لااله الا الله/محمد/رسود الله/

გარშემო ოთხი მხრიდან: /صلى/الله/عليه/و/سلم/

ალლაჰის წყალობა აწ და მარადის სეგმენტში სქემატურად:

تبارك الذللا/الملك و تمو/على كلف شى/امدير/

„დიდება ალლაჰს ყოვლის მპყრობელს და ყოვლად ძლიერს“<sup>72</sup>.

6. ქ. ძ. 4669 თბილისი, 717 (1317/18) ორიანი დირჰემი. წ. 3,59 გ. ზომა — 25—26 მმ (სურ. 16).

შ უ ბ ლ ი: ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულ ექვსსხივიან ფიგუროვან

ჩარჩოში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: /اشرب/مى/دولة/المولى/السلطان/

/الاعظم/ابو/سعد/خز/الله/ملك/

„იჭედა უზენაესი მბრძანებლის აბუ საიდ სულტანის მმართველობის დროს.

განაგრძოს ღმერთმა მეფობა მისი“.

სეგმენტებში ზარაფხანა და თარილი: /اصرب/مدينة/عليس/سنة/سبع/حسر/و/اسبهية/

„იჭედა ქალაქ თბილისს, 717 წ.“

ზ უ რ გ ი: ჩვეულებრივ არშიაში, რვასხივიან ჩარჩოში მოთავსებულია რწმენის სუნიტური ფორმულა.

გარშემო ოთხი მხრიდან: /صلى/الله/عليه/و/سلم/

„ალლაჰს წყალობა აწ და მარადის“.

სეგმენტებში: /تبارك/الذى/بىر/لا/الملك/وهو/على/كلا/شيس/اقد/يد/

„დიდება ალლაჰს ყოვლისმპყრობელს და ყოვლად ძლიერს“<sup>73</sup>.

მონეტის შუბლისა და ზურგის არე შემკულია ხვეული (ბადისებური) ორნამენტით.

7. ქ. ძ. 2359. თბილისი, ჰიჯ. 719 (1319/20) ორიანი დირჰემი. წ.—3,68 გ. ზომა — 23 მმ (სურ. I № 7).

შ უ ბ ლ ი: კვადრატი, რომლის შემადგენელი გვერდების შუა ადგილს ამოზნექილია რკალისებურად, ჩვეულებრივ არშიასთან დაკავშირებულია რგოლებით. შუაში:

/اصرب/قى/ام/دولة/السلطان/الاعظام/ابو/سعد/حمد/الله/ملك/

„მოჭრილია უზენაესი სულტანის აბუ საიდის მმართველობის დღეებში, ხანგრძლივ ჰყოს ღმერთმა მეფობა მისი“. რკალებში სამი მხრიდან:

/انم/الع/الله/

სეგმენტებში, ზარაფხანა და თარილი: /اصرب/مدينة/عليس/قى/سنة/تسع/عسر/اسخ/

„მოიჭრა ქალაქ თბილისს 719 წ.“

ზ უ რ გ ი: რწმენის სუნიტური ფორმულა მოთავსებული თაღისებურ

ჩარჩოში: /لااله الا الله/حمد/رسود الله/

<sup>72</sup> E. A. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 180—181.

<sup>73</sup> E. A. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 181.

„არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა, მუჰამედი მოციქულია მისი“. ფორმულის ქვემოთ ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას სახელი: **أبو بكر عمر عثمان علي**  
„აბუ ბაქრი, ომარი, ოსმანი, ალი“. ჩვეულებრივ არშიასა და თალისებურ ჩარჩოს შორის ნახევარწრიულად მუსლიმანური ლოცვა: **استكبر لله و هم الميمر المعلم**

„ალლაჰი გლოცავ, მას ყველაფერი ესმის და მან ყველაფერი იცის“<sup>74</sup>.  
8. ქ. დ. 5872. თბილისი, ჰიჯ. 722 ორიანი დირჰემი, წონა — 3,33 გ, ზომა — 22 მმ (სურ. 1 № 8).

შუბლი: ჩვეულებრივ არშიაში ჩასმულ ზეთუბიან ფიგურულ ჩარჩოში: **أبوصربي/الامدادولةالاعظام/أبو سعيد بهادرخان/خلد الله ملكة/**  
მოჭრილია უზენაესი სულტნის მმართველობის დღეებში, აბუსაიდ ბეჰადურ (გამარჯვებული) ხანის მიერ; ხანგრძლივკყოს ღმერთმა მეფობა მისი. სეგმენტებში: **سنه/اشي عشرين/و سبع/ما/ية/**  
722 წელს.

ზურგი: ჩვეულებრივ არშიაში I, III და V ხაზზე რწმენის სუნიტური ფორმულა. II და IV ხაზზე: **أبو بكر/ ضرب غليس** მოიჭრა თბილისს. გარშემო: **أبو بكر/ ضرب غليس** აბუ-ბაქარი, ომარი, ოსმანი, ალი.

ჰიჯ. 723 წ. (1323 წ.) ილხანთა ირანში ახალი სამონეტო ტიპი ჩნდება, რომელიც ოთხ წელიწადს იჭრება. ცნობილია თბილისის ზარაფხანის ამდროინდელი პროდუქცია<sup>75</sup>.

9. ქ. დ. 5116. თბილისი ჰიჯ. 723 დირჰემი წ. — 1,74 გ. ზომა — 17—18 მმ (სურ. I № 9).

შუბლი: ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულ წრეში I და IV სტრიქონებზე: **السلطان انوسعيد/ بهادرخان خلد ملكه/**

სულტანი აბუ საიდი, გამარჯვებული ხანი, ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი გარშემო: ჩვეულებრივ არშიასა და წრეს შორის თარიღი:

**سنه ثلثه و عشريين و سبعمائة** 723 წელს (1323 წ.).

ზურგი: ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულ კვადრატში რწმენის სუნიტური ფორმულა: **الله/لااله الا محمد/رسود الله/**

„არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა, მუჰამედი — მისი მოციქული“. სეგმენტებში ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას სახელი: **أبو بكر/عمر/عثمان علي/**  
„აბუ-ბაქარი, ომარი, ოსმანი, ალი“<sup>76</sup>.

10. ქ. დ. 517. თბილისი, ჰიჯ. 727 წ. (1326—1327) ორიანი დირჰემი. წ.—3,13 გ. ზომა — 23—24 (სურ. 1 № 10).

შუბლი<sup>77</sup>: რვა ურთიერთგადამკვეთი რკალი, ბოლოებით ებჯინება ჩვეულებრივ არშიის წრეს. შუაში: **السلطان الاعظام/أبو سعيد بهادرخان/خلد الله ملكه/**  
„სულტანი უზენაესი, აბუ საიდი ბეჰდაარ ხანი, ხანგრძლივ კყო ღმერთმა

74 E. A. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 181—182.

75 E. A. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 182.

76 E. A. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

77 E. A. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.





აბუ საიდი უკანასკნელი ილხანი იყო, რომლის ხელისუფლებაც ვრცელდებოდა მთელს საილხანოზე. მისი სიკვდილის შემდეგ (1335 წ.) მდგომარეობა შეიცვალა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფოს საქმეებში აქტიურად იწყეს ჩარევა გავლენიანმა ემირებმა. გააფრთხილები ბრძოლა, რომელიც თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა მომთაბარე ფეოდალებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის, დასრულდა მომთაბარე არისტოკრატის გამარჯვებით. ილხანთა სახელმწიფო დაეცა. მის ტერიტორიაზე წარმოიქმნა ბევრი დამოუკიდებელი, ერთმანეთის მოწინააღმდეგე სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელთაგან ყველაზე ძლიერი იყო ჩობანიდების ფეოდალური სახელმწიფო აზერბაიჯანში (სახელმწიფოს ცენტრი ქ. თაირიზი, იარსება 1357 წლამდე). სამოქალაქო ომის დროს ილხანთა ირანში (1338 წ.) ხელისუფლება ხელში ჩაიგდო ემირ ჩობანის შვილის შვილმა შეიპ ჰასან ქუჩუკმა (მცირემ). საქართველო ჩობანიდების მმართველობას დაექვემდებარა.

ამეირიდან მსხვილი ფეოდალური დაჯგუფებები ილხანის ტახტზე ზედიზედ აყენებდნენ ჩინგიზ ხანის დინასტიის ჩამომავლებიდან ახალ-ახალ პრეტენდენტებს (არფა ხანი, მუჰამედი, სულეიმანი, სათი-ბეგი, ანუ შირვანი), რომელთა სახელითაც აღმოსავლეთ საქართველოში იჭრებოდა მონეტები. მარიონეტი ილხანები სამხედრო-ფეოდალური დაჯგუფებების ბრმა იარაღს წარმოადგენდნენ. ამის საბუთად საკმარისია ითქვას, რომ 1335—1344 წწ. ილხანის ტახტზე ექვსი ილხანი შეიცვალა.

აბუ საიდის ანდერძის თანახმად ილხანის ტახტი დაიკავა ჰულაგუ ხანის ძმის არიკ-ბუღას შთამომავალმა არფა-ხანმა ჰიჯ. 736 წ. (1335—1336 წწ.). თავნება ემირები ახალი ილხანის ხელისუფლებას არა სცნობდნენ. ამ დროს ილხანთა სახელმწიფოს დაუძლეურებით ისარგებლა ოქროს ურდოს ხანმა უზბეკმა (1313—1341) და მტკვრის ნაპირებამდე შემოიჭრა. ილხანის ლაშქარმა დაკავებული ადგილებიდან განდევნა მოწინააღმდეგე. თავისი რეაქციონი მმართველობის განმავლობაში არაფა ხანმა ვერ შეძლო ურჩი ფეოდალების დამორჩილება. იმავე წელს ილხანის ტახტს ბრძოლით იკავებს ჰულაგუ ხანის შთამომავალი მუჰამედ ხანი (1336—1338 წწ.)<sup>82</sup>.

ჩობანმა შეიპ ჰასან ქუჩუკმა, ჰიჯ. 739 წ. (1338—1339 წწ.), ილხანად გამოაცხადა სათი ბეგი, ოლჯათუ სულტანის ასული. სათი ბეგსა და ჰასან ქუჩუკს შორის ურთიერთობა გამწვავდა. ჰასანმა ამის გამო ტახტზე სულეიმანი (1339—1343 წწ.) (ჰულაგუიდების შთამომავალი) დასვა და მას მიათხოვა სათი ბეგი. ჩობანიდების მმართველობის დროს საილხანოში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, რაც გარკვეულ ზემოქმედებას ახდენდა საქართველოზედაც.

არაბეთის ერაყში ემირმა შეიპ ჰასან ბუზარგმა (დიდმა) 1340 წ. თავი სულტანად გამოაცხადა და საფუძველი დაუდო ჯილარიდების დინასტიას (1340—1410 წწ.). დაიწყო პირველობისათვის ბრძოლა ძირითადად მომთაბარე არისტოკრატის ორ დაჯგუფებას შორის, რომლის სათავეშიაც იდგა გათურქებული მონღოლური გვარის წარმომადგენლები, ჩობანიდებისა და ჯილარიდების.

ჰასან ქუჩუკსა და ჰასან ბუზურგს შორის ომების ასპარეზად იქცა აზერბაიჯანი და საქართველოს განაპირა მხარეები. ჰასან ქუჩუკს ებრძოდა მისი

<sup>82</sup> А. А. Али-Заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII—XIV вв., Баку, 1956, с. 328—330.

ძმაც მელიქ აშრაფი, რომელიც ერთ-ერთი დამარცხების დროს, 1342 წ. საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრა<sup>83</sup>. მას შემდეგ, რაც ჰასან ქუჩუკი ცოლმა 1343 წ. მოკლა, ძმის ადგილი დიდი ბრძოლების შემდეგ მელიქ აშრაფმა დაიკავა, რომელმაც ჰიჯ. 745 წ. (1334—1345 წწ.) ილხანად წამოაყენა ანდჰანის ვანი. თვითონ კი, შეუდგა სახელმწიფოს მართვას მისი სახელით. მელიქ აშრაფის მმართველობა მეტად სისხლიანი და გამანადგურებელი აღმოჩნდა. ეყრდნობოდა რა ძირითადად მომთაბარე მონღოლ და თურქ არისტოკრატებს, ჩობანიდები მიწების დიდ ნაწილს ართმევდნენ და სასტიკად ავიწროებდნენ ადგილობრივ მიწათმფლობელებს<sup>84</sup>. ადგილობრივი დიდებულების წარმომადგენლებმა დახმარებისათვის მიმართეს ოქროს ურდოს ხანს ჯანიბეკს, რომელმაც თავისი ლაშქრით დაიკავა ქ. თაჯრიზი და ბოლო მოუღო ჩობანიდების სახელმწიფოს ჰიჯ. 758 წ. (1357—1358 წწ.)<sup>85</sup>.

ამ შფოთიანი დროის მიუხედავად თბილისის ზარაფხანა რეგულარულად უშვებდა ფულს ილხანების სახელით. მონეტაზე მარიონეტი ილხანები კვლავ აღჭურვილნი არიან მალაღფარდოვანი ეპითეტებით: „უმაღლესი“, „უზენაესი“ და სხვ. ტრაფარეტად ქცეულ ილხანის ტიტულატურაში თუ ადრე ასახული იყო ფაქტიური ვითარება, ილხან აბუ საიდის შემდეგ იგი აღარ შეესაბამებოდა სინამდვილეს: უკანასკნელი ილხანები თვით ირანშიაც არ სარგებლობდნენ რეალური ხელისუფლებით და მათი სახელით ფულის გამოშვება, ილხანთა ირანთან ვასალური დამოკიდებულების გამოხატულება იყო.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ა. მარკოვის კლასიფიკაციით უკანასკნელი ილხანები სათი ბეგი და სულეიმანი დირჰემის წონას 1,6 გ ზრდიან. ანუ-შირვანის დროს კი, მისი წონა კვლავ ქვეითდება 1,4 გრამამდე<sup>86</sup>. ამ დროის ვერცხლის მონეტების მეტროლოგიურ მონაცემებზე დაკვირვების შედეგად გ. ფიოდოროვ-დავიდოვმა სამართლიანად შეცდომად მიიჩნია ეს მონაცემები და შეცვალა. ა. მარკოვს ორიანი დირჰემი მიჩნეული ჰქონდა დირჰემის წონად. გ. ფიოდოროვ-დავიდოვის გამოთვლით ჯეჰან თეიმურის, სათი ბეგისა და სულეიმანის დროიდან დირჰემის წონა ერთ გრამზე-ცოტა მეტს იწონიდა (1,75 გ), ხოლო ანუშირვანის მმართველობის დასასრულისათვის მისი წონა დაახლოებით 0,6 გრამამდე დაეცა<sup>87</sup>.

თბილისის ზარაფხანა განაგრძობდა მოქმედებას და უშვებდა თითქმის ყველა მმართველის მონეტებს.

ჩვენთვის ცნობილი არფა ხანის სახელით თბილისის ზარაფხანაში გამოშვებული ერთი სამონეტო ტიპის სამი ორიანი დირჰემი<sup>88</sup>. ვიდრე ერთ-ერთი მონეტის აღწერილობას:

13. ქ. d. 3168. არფა-ხანი, თბილისი, ჰიჯ. 736 (1335/36). ორიანი დირჰემი. წ. — 2,05 გ. ზომა — 19/20 მმ (სურ. 2, № 13).

შ უ ბ ლ ი: ჩვეულებრივ არშიაში ოთხ სტრიქონად:  $\frac{\text{اسطان الاعظام/ارباخان}}{\text{الله/ملكه و بر دوائه}}$   
„სულტანი უმაღლესი არფა-ხანი, განაგრძოს ღმერთმა მეფობა მისი და განა-

<sup>83</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 667.

<sup>84</sup> Очерки истории СССР, часть I, М., 1953, с. 700.

<sup>85</sup> იქვე.

<sup>86</sup> А. К. Марков, დასახ. ნაშრომი, გვ. XXVIII—XXX.

<sup>87</sup> Г. А. Федоров-Давыдов, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

<sup>88</sup> ქ. d. 3186; 4708. 3168.

მტყიცოს მასი განმგებლობა“. გარშემო ზარაფხანა და თარიღი:  $\frac{\text{أهلس اقي/سه/ست}}{\text{سول رسول الله صلى الله عليه وسلم}} \frac{\text{سنة ثلثين}}{\text{سنة ثلثين}} \frac{\text{سنة ثلثين}}{\text{سنة ثلثين}}$

თბილისი, 736 წ.

ზურგი: წრეში კვადრატულად ჩაწერილი ქუფური წარწერა გადმო-  
გვეცემს რწმენის სუნიტური ფორმულას:  $\frac{\text{لا اله الا محمد رسول الله صلى الله عليه وسلم}}{\text{لا اله الا محمد رسول الله صلى الله عليه وسلم}}$

„არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა, მუჰამედი მისი მოციქული. ალლაჰს წყალო-  
ბა აწ და მარადის“.

14. ქ. d. 3189. მუჰამედი, თბილისი ჰიჯ. 738 წ. (1337—38) ორმაგი ღირებუ-  
წ. — 2—21 გ. ზომა — 20 მმ (სურ. 2, № 14).

შუბლი: ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულია ექვსი (სამსაში) რკალი-  
საგან შედგენილი ჩარჩო. შუაში:  $\frac{\text{السلطان العالم/محمد خان الله ملكه و حوله/}}{\text{السلطان العالم/محمد خان الله ملكه و حوله/}}$   
„სულტანი უზენაესი მუჰამედი. ხანგრძლივ ჰყოს ღმერთმა მეფობა მისი და  
განამტყიცოს გამგებლობა მისი“. გარშემო:  $\frac{\text{صرب هلس مي سه ثعا له ثلثين [سنة]}}{\text{صرب هلس مي سه ثعا له ثلثين [سنة]}}$   
„მოიჭრა თბილისში 738 წ.“

ზურგი: ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულია თხუთმეტი ტალღისებური  
რკალისაგან შედგენილი ჩარჩო. სამ სტრიქონზე შუაში:  $\frac{\text{لا اله الا الله/محمد/رسول}}{\text{لا اله الا الله/محمد/رسول}}$   
„არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა, მუჰამედი მისი მოციქული“. გარშემო  
ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას<sup>89</sup>.

15. ქ. d. 4709. ღირებუ. წ. — 0,65 გ, ზომა — 13—15 მმ (სურ. 2, № 15).

შუბლი: ჩვეულებრივ არშიაში პირველ და მესამე სტრიქონზე:

$\frac{\text{السلطان محمد/خلد [ملكه]}}{\text{السلطان محمد/خلد [ملكه]}}$

სულტანი მუჰამედი — განიგრძოს მეფობა მისი. მეორე სტრიქონზეა ზარაფხა-  
ნა  $\frac{\text{صرب هلس}}{\text{صرب هلس}}$  იჭედა თბილისს.

ზურგი: ჩვეულებრივ არშიაში რწმენის სუნიტური ფორმულა:  $\frac{\text{لا اله الا الله/محمد/رسول}}{\text{لا اله الا الله/محمد/رسول}}$

„არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა, მუჰამედი მისი მოციქული“. გარშემო  
ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას სახელი<sup>90</sup>.

16. ქ. d. 3191. სათი-ბეგ ხათუნი, თბილისი ჰიჯ. 739 (1338/39) ორიანი ღირ-  
ებუ. წ. — 2,07 გ, ზომა — 17—18 მმ (სურ. 2, № 16).

შუბლი: ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულია ექვსი რკალისაგან შედგე-  
ნილი ჩარჩო, სეგმენტებში წერტილებით, შუაში სამ სტრიქონად:

$\frac{\text{السلطان العادل/ساتي بك خان خلد الله ملكه/}}{\text{السلطان العادل/ساتي بك خان خلد الله ملكه/}}$

„სულტანი სამართლიანი სათი-ბეგ ხათუნი, ხანგრძლივჰყოს ღმერთმა მეფობა  
მისი“. გარშემო ზარაფხანა და თარიღი:  $\frac{\text{صرب هلسر هي سه ثعا له ثلثين سنة}}{\text{صرب هلسر هي سه ثعا له ثلثين سنة}}$   
„იჭედა თბილისს. წელსა 739.“

ზურგი: ცენტრში ხან წერტილოვან და ზოგჯერ გაბმულ წრეში:

$\frac{\text{لا اله الا الله/رسول/امين/}}{\text{لا اله الا الله/رسول/امين/}}$   
ფორმულას:  $\frac{\text{لا اله الا الله/رسول/امين/}}{\text{لا اله الا الله/رسول/امين/}}$

<sup>89</sup> E. A. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

<sup>90</sup> ე. პახომოვის კოლექციის ეს ეგზემპლარი მას სიცოცხლეში გამოქვეყნებული დარჩა,  
ქვეყნდება პირველად.






სურ. 2

„მუჰამედი დამცველი, მოციქულია ღმერთის“.

წრე შემოსაზღვრულია ოთხი ნახევარკალით, რომელიც რგოლებით დაკავშირებულია ჩვეულებრივ არშიასთან. სეგმენტებში ოთხი პირველი ხალიფას სახელი<sup>91</sup>.

17. ქ. ძ. 4722. სულეიმანი, თბილისი, ჰიჯ. 740 (1339/40 დირჰემი. წ. — 1,38 გ. ზომა — 17/20 მმ (სურ. 2 № 17).

<sup>91</sup> E. A. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

შუბლი: სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი მოთავსებულია წრეში, რომელიც ჩვეულებრივ არშიასთან დაკავშირებულია ოთხი რკალით. 

/السلطان/العادل/سلمان/خان/خار/ملكه/

„სულტანი სამართლიანი სულეიმან ხანი, განაგრძოს მეფობა მისი“. სეგმენტებში — ზარაფხანა და თარიღი:  $\frac{1}{4}$  /صرب/تفليس/می/سه/اربعین/و/سبعما/یة/ მოიჭრა თბილისს 740 წ.

ზურგი: ჩვეულებრივ არშიაში ჩასმულია კვადრატი, რომლის გვერდების შუა წერტილებზე მოთავსებულია კვანძი. შუაში: /لا/یا/الله/محمد/رسول/الله/ „არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა, მუჰამედი მისი მოციქული“. სეგმენტები ოთხი პირველი ხალიფის სახელი<sup>92</sup>.

18. ქ. დ. 3173. სულეიმანი. დირჰემი. წ.—1,68 გ. ზომა—19/20 მმ (სურ. 2 № 18).

შუბლი: ისეთივე, როგორც № 17.

ზურგი: ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულია ექვსი რკალისაგან შედგენილი ჩარჩო. რკალებში, ზემოთ და ქვემოთ სამ-სამი წერტილით. შუაში სამ სტრიქონად: /لا/یا/الله/محمد/رسول/الله/

„არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა, მუჰამედი მისი მოციქული“. სეგმენტებში თარიღი  $\frac{1}{4}$  /صرب/فی/سه/ მოიჭრა წელსა — თარიღის აღმნიშვნელი დანარჩენი სიტყვები სქემატურია და არ იკითხება<sup>93</sup>.

19. ქ. დ. 3170. სულეიმანი. თბილისი, ჰიჯ. 741 (1340/41 წონა — 1,39 გ, ზომა — 17—18 მმ (სურ. II № 19).

შუბლი: ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულია რვა რკალისაგან შედგენილი ჩარჩო. პირველ და მესამე ხაზებზე: /السلطان/خار/ملكه/ მეორე ხაზზე უილურულად — „სულეიმანი“. გარშემო — ზარაფხანა და თარიღი:

صرب تفليس سنة احر و اربعين سبعما ية

მოიჭრა თბილისს 741 წ.

ზურგი: ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულია რვა რკალისაგან შემდგარი ჩარჩო, შუაში სამ სტრიქონზე: /لا/یا/الله/محمد/رسول/الله/

„არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა, მუჰამედი მოციქული მისი“. გარშემოწერილში იმამების სახელით<sup>94</sup>.

20. ქ. დ. 3193. სულეიმანი, თბილისი, ჰიჯ. 743 (1342/43) ორიანი დირჰემი. წ. 1,41 გ. ზომა — 17/18 მმ (სურ. 2 № 20).

შუბლი: ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულია ფიგურული ელიფსი. შუაში, პირველ და მესამე ხაზებზე არაბულად: /السلطان/خار/ملكه/ სულტანი, განიგრძოს მეფობა მისი. მეორე ხაზზე უილურულად „სულეიმანი“. ზემოთ ელიფსსა და ჩვეულებრივ არშიას შორის ზარაფხანას სახელი:

ثلاث اربعين سهاية «იჭედა თბილისს წელსა». ქვემოთ: صرن تفليس في سه

ზურგი: ჩვეულებრივ არშიაში ჩასმულ წრეში მოთავსებულია რწმენის სუნიტური ფორმულა. გარშემო, წრიულად ოთხი იმამის სახელი<sup>95</sup>.

<sup>92</sup> E. A. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 188.

<sup>93</sup> სულეიმან ხანის ეს სამონეტო ტიპი ქვეყნდება პირველად.

<sup>94</sup> E. A. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 188.

<sup>95</sup> E. A. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 110. № 330. თბილისში მოჭრილი დირჰემის ეს ტიპი ე. პახომოვის კოლექციიდან გამოუქვეყნებელია.

21. ქ. d. 4731. ანუშირვანი, თბილისი, ჰიჯ. 745 (1344/45), ორიანი დირჰემი.  
წ. — 1,15 გ, ზომა — 17/20 მმ (სურ. 2 № 21).

შუბლი: ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულია ოთხსტრქონიანი არაბული ზედწერილი: *أصب/السلطان العادل/أوشروان/أبوشيروان/أبوالعلاء*  
„მოიჭრა სამართლიანი სულტანის ანუშირვანის მიერ ხანგრძლივჰყოს ღმერთმა მეფობა მისი“. გარშემო ექვს ოვალურ წრეში: *أصب/هلس/أمة/أحمد/أب/أصب/هلس/أمة/أحمد/أب/أصب/هلس/أمة/أحمد/أب*

„იჭედა თბილისს, წელსა 745“.

ზურგი: ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულ თაღისებურ ჩარჩოში რწმენის სუნიტური ფორმულა. თაღსა და ჩვეულებრივ არშიას შორის მარჯვნივ და მარცხნივ ოთხი მართლმორწმუნე ხალიფის სახელი<sup>96</sup>.

22. შუბლი: ანუ შირვანი, თბილისი, ჰიჯ. [74] 6 წ. (1345/46 წწ.) ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულია სამსტრქონიანი ზედწერილი. პირველ და მე-სამე ხაზზე არაბულად: „სულტანი, განიგრძოს მეფობა მისი“. მეორე ხაზზე უილურულად: „ანუშირვანი“. გარშემო: *أصب/تفليس//أب/سنة/س/أصب*  
იჭედა თბილისს წელსა [74] 6.

ზურგი: ჩვეულებრივ არშიაში სამკუთხედად ჩაწერილია რწმენის სუნიტური ფორმულა, შუაში ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას სახელი. სამი მხრიდან *أصب/الله/أب/سنة/س/أصب* „მოწყალე ღმერთის სახელით“<sup>97</sup>.

23. შუბლი: ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულია კვადრატული ჩარჩო, დიაგონალების გასწვრივ: *أصب/السلطان العادل/أوشروان/أب/سنة/س/أصب*  
„სულტანი სამართლიანი, ანუშირვანი, განიგრძოს მეფობა მისი“. კუთხეებში ვარსკვლავები. სეგმენტებში: *أصب/تفليس/أب/سنة/س/أصب*  
„იჭედა თბილისს, წელსა 747 (1346/47 წწ.).

ზურგი: ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულია კვადრატული ჩარჩო. დიაგონალების გასწვრივ: *أصب/الله/أب/سنة/س/أصب* „არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა, მუჰამედი მოციქულია მისი“. კუთხეებში ვარსკვლავები. სეგმენტებში ოთხი მართლმორწმ. ხალიფას სახელი<sup>98</sup>.

24. ერევნის ისტორიული მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების ფონდი №№ 11627—11816. № 158. თბილისი, ანუშირვანი ჰიჯ. 748 წ. წონა — 1,39; ზომა — 15/16 მმ (სურ. III № 24).

შუბლი ჩვეულებრივ არშიაში ჩასმულ ხაზოვან წრეში ხუთსტრქონიანი არაბული ზედწერილი: *أصب/السلطان العادل/أوشروان/أب/سنة/س/أصب*  
„სულტანი სამართლიანი ანუშირვანი, განიგრძოს მეფობა მისი, იჭედა თბილისს. გარშემო თარიღი: *أصب/ثمان/أب/سنة/س/أصب*  
748 წელს.

ზურგი: თაღისებურ ორმაგ ჩარჩოში, რომელიც ჩვეულებრივ არშიაშია მოთავსებული, 4 სტრქონზე მუსლიმანური რელიგიური ზედწერილია:

*أصب/الله/أب/سنة/س/أصب*

<sup>96</sup> E. A. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 188.

<sup>97</sup> E. A. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 188. ე. პახომოვის პირადი კოლექციიდან.

<sup>98</sup> E. A. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 189.

სიმბოლოს ქვემოთ 4 მართლმორწმუნე ხალიფას სახელია ებითეტი<sup>99</sup>,  
25. ქ. დ. 5962. ანუშირვანი, თბილისი, ჰიჯ. 750 (1349/50). ორიანი ღირებულება  
წ. 1,21 გ, ზომა — 17 მმ (სურ. 2 № 25).

შუბლი: ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულია ფიგურული ელიფსი. შუ-  
აში, პირველ და მესამე ხაზებზე არაბულად: السلطان خان الله ملكو  
სულტანი, განიგარძოს მეფობა მისი. მეორე ხაზზე „ანუშირვანი“ უილურუ-  
ლად. ელიფსსა და ჩვეულებრივ არშიას შორის ზემოთ: صرب تقيس  
იქედა თბილისს წელსა. ქვემოთ 750 წ.

ზურგი: ჩვეულებრივ არშიაში ჩასმულ კვადრატში სამ სტრიქონად მო-  
თავსებულია რწმენის სუნიტური ფორმულა. გარშემო წრიული წარწერა-  
ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას სახელით.

26. ქ. დ. 4729. ანუშირვანი, თბილისი, ჰიჯ. 752 (1351/52). ორიანი ღირებულება  
წ. — 1,02 გ, ზომა — 15/17 მმ (სურ. 2 № 26).

შუბლი: ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულია ექვსხეიანი ვარსკვლა-  
ვი. შუაში პირველ, მესამე და მეხუთე ხაზებზე:

/السلطان العادل/انوشروان/خازر الله ملكه/

„სულტანი სამართლიანი ანუშირვანი, ხანგარძლიეპყოს ღმერთმა მეფობა“ მი-  
სი. მეორე და მეოთხე სტრიქონზე: /صرب/تقيس/ „იქედა თბილისს“.   
გარშემო ვარსკვლავებისაგან შექმნილ სეგმენტებში: /قى/سة/اتى/احمسين/اسد/ما/ية/   
წელსა 752.

ზურგი: ჩვეულებრივ წრეში ჩასმულია სამსტრიქონიანი რწმენის სუნი-  
ტური ფორმულა. გარშემო წრიულად 4 მართლმორწმუნე ხალიფას სახელი<sup>100</sup>.  
27. გ. ფ. 9639. ანუშირვანი, თბილისი, ჰიჯ. 753 (1352/53), ორიანი ღირებულება  
წ. — 1,03 გ, ზომა — 14/15 მმ (სურ. II № 27).

შუბლი: ჩვეულებრივ არშიაში ჩასმულია სამკუთხედი, რომლის გვერ-  
დები შეიცავს რკალბს. შუაში, პირველ, მესამე და მეხუთე სტრიქონებზე  
არაბულად: السلطان/خازر ملكه/ სულტანი, განიგარძოს მეფობა მისი.

მესამე სტრიქონზე უილურულად „ანუშირვანი“. მეორე და მეოთხე სტრიქო-  
ნებზე: /صرب/تقيس/ „იქედა თბილისს“. მონეტის არეს ამკობს ვარსკვლა-  
ვები. სეგმენტებში თარიღი: /قى/سة/ثلاث و احمسين/او سع ما ية/   
წელსა 753.

ზურგი: ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულ კვადრატულ ჩარჩოში კვად-  
რატულად ჩაწერილია რწმენის სუნიტური ფორმულა. სეგმენტებში ოთხი  
მართლმორწმუნე ხალიფას სახელი<sup>101</sup>.

28. ქ. დ. 5971. ანუშირვანი, თბილისი ჰიჯ. [75] 5 წ. (1354 წ.) ორიანი ღირ-  
ებულება. წ. — 1,2 გ, ზომა — 15/16 მმ (სურ. II № 28).

შუბლი: ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულია ფიგურული რკალბისა-  
გან შედგენილი ექვსკუთხედი. მეორე, მესამე და მეოთხე სტრიქონებზე:

/السلطان/انوسير وان/خازر ملكه/

„სულტანი ანუშირვანი, განიგარძოს მეფობა მისი“. პირველ და მეხუთე სტრი-

<sup>99</sup> ეს სამონეტო ტიპი ცნობილი არ არის, ქვეყნდება პირველად.

<sup>100</sup> E. A. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 189.

<sup>101</sup> იქვე.




ქონებზე: /اصرب/هلس/ იჭედა თბილისს. გარშემო თარიღი სეგმენტებში:  
/.../.../احسن/اسه/في წელსა /75/5 წ.

ზურგი: ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულია სამსტრიქონანა სუნიტური რწმენის ფორმულა. გარშემო წრიულად ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას სახელი<sup>102</sup>.

29. ქ. ძ. 4744. ანუშირვანი, თბილისი, ორიანი დირჰემი. წ. — 1,00 გ, ზომა — 13/14 მმ (სურ. 2 № 29).

შუბლი: ჩვეულებრივ არშიაში, უილურულად სამკუთხედად „ანუშირვანი“ შუაში არაბულად, ორ სტრიქონად: /احلر/اله „განიგროს მეფობა მისი“. ერთ-ერთ სეგმენტში: /اصرب/هلس/ „იჭედა თბილისს“. თარიღის მანუწყებელი ორი სეგმენტი გადაშლილია.


ზურგი: ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულია ექვსსხივიანი ვარსკვლავი. შუაში სამსტრიქონად რწმენის სუნიტური ფორმულა: /الله/احمر/اسود/الله/ او الله/ გარშემო სეგმენტებში ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას სახელი<sup>103</sup>.



სურ. 3

ანუშირვანის დროს ჰულაგუიდთა სახელმწიფოში ფაქტიურად ძალაუფლება ხელთ იგდეს ჩობანიდებმა. ჯერ ჰასან ქუჩუკმა, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ ჰიჯ. 744 წლიდან (1343—1344 წწ.) — მელიქ აზრაფმა. ანუშირვანის

<sup>102</sup> D. Lang, Studies..., გვ. 7; №46; ტაბ. IX, 2.



ისტორიული არენიდან წასვლის შემდეგ, აშრაფმა ვერ გაბედა სულტანად გამოეცხადებინა თავი. ე. პაზომოვის დაკვირვებით, სწორედ ამ დროს დაიწყო ამ უკანასკნელმა მონეტების მოჭრა „სამართლიანი სულტანის“ ტიტულით, თავისი სახელის აღუნიშვნელად. ასეთი მონეტები პაზომოვისათვის ცნობილი იყო შირვანსა და გუშტასპიდან ჰიჯ. 756 წ. (1355 წ.)<sup>104</sup>. ასეთი სახის ანონიმური მონეტა თბილისშიც არის მოჭრილი<sup>105</sup>. მონეტა პაზომოვს არ გამოუყვია. იგი მისივე კოლექციიდან შემოვიდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების ქართულ ძირითად ფონდში. ვიძლევით აღწერილობას:

30. ქ. d. 4749. თბილისი. [75] 6 წ. (1355 წ.), ორიანი დირჰემი, წონა — 0,89 გ, ზომა — 14/15 მმ (სურ. 3 № 30).

შუბლი: ჩვეულებრივ არშიაში წრე, პირველ და მესამე სტრიქონებზე:

/السلطان الاعاد/حجر ملكه/

სულტანი სამართლიანი მეორე სტრიქონზე: صرب بفسيس / იქვეა თბილისს. წრესა და ჩვეულებრივ არშიას შორის თარიღი წრიულად, რომლის ნაწილიც გადასულია. ზარაფხანის სახელი მეორდება:

صرب حلس قى سة ست იქვეა თბილისს, წელსა [75] 6.

ზურგი: ნახევარკალისაგან შედგენილი ჩარჩო მოთავსებულია ჩვეულებრივ არშიაში. შუაში სამსტრიქონად სუნიტური რწმენის ფორმულა: لا اله الا الله/محمد/سود الله „არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა მუჰამედი მისი მოციქული“. გარშემო წრიულად ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას სახელი.

ყაზან ყაენმა ერთი სამონეტო ტიპი დააკანონა. როგორც დაეინახეთ, მომდევნო ილხანების სამონეტო ტიპების დიდი რაოდენობა გვხვდება. ჩვენ შევნიშნეთ, რომ დირჰემის ყოველი ახალი ტიპის გაჩენას, თან სდევდა წონის გარკვეული რაოდენობით შემცირება. ეს დაკავშირებული იყო იმ დროის ილხანთა სახელმწიფოში შექმნილ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებასთან და მაჩვენებელია სახელმწიფოს ეკონომიური დაცემის, ილხანთა ხელისუფლების სისუსტის.

განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ილხანების სულეიმანისა და ანუ-შირვანის სახელით თბილისის ზარაფხანაში განსხვავებული ტიპის ვერცხლის მონეტების გაჩენა. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ბოლო ილხანების სახელით გამოშვებული მონეტების რამდენიმე სამონეტო ტიპი<sup>106</sup> თბილისის ზარაფხანის პროდუქციიდან დღესდღეობით ცნობილი არ არის.

ილხანების სახელით თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი მონეტების შედარება საილხანოში შემავალი ქალაქების ზარაფხანათა პროდუქციასთან ნათლად ამტკიცებს, რომ თბილისში მოჭრილი ილხანთა მონეტების ზედწერილები ისეთივეა, როგორც ირანის სხვა ზარაფხანების პროდუქციის ლეგენდები. თბილისური მონეტები თავისი წონით სრულიად შეესატყვისება ილხან-

<sup>103</sup> ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში ანუშირვან ჰულაგუიდის ეს ტიპი ცნობილი არ იყო და ვაჭვევებთ პირველად.

<sup>104</sup> E. A. Пахомов, Борьба феодальных династий за Восточное Закавказье с половины XIV в. до начала XV в. по монетным данным. Краткие сообщ. о докл. и полевых иссл. Института истории мат. культуры. Вып. 66. М., 1956, с. 47.

<sup>105</sup> ქ. d. 4748, 4749.

<sup>106</sup> ქ. d. 3173; 4729; 5971; 4744; M. A. Сейфеддини, Монетное дело и денежное обращение в Азербайджане..., с. 62—80.

თა ირანის ქალაქების პროლუქციის მონაცემებს. ყოველგვარი ცვლილებები საილხანოს ზარაფხანებში აირეკლებოდა თბილისის ზარაფხანის პროლუქციაშიც.

ბოლო ილხანების (სულეიმანი, ანუშირვანი) დროიდან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სამონეტო ტიპების რამდენიმე განსხვავებული შემთხვევა შევნიშნეთ. ჩვენი დაკვირვებით, ეს მცირე გადახვევა ამ დროისათვის საილხანოს ზარაფხანებში მოჭრილი ღირებულების ტრაფარეტიდან, უნდა მიგვანიშნებდეს იმ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებზე, რომელიც საილხანოში შემავალ ქვეყნებსა და მათ შორის საქართველოშიც ხდებოდა.

უკანასკნელი ილხანების სახელით ჩვენთვის ცნობილი თბილისისა (ცხრილი № 1) და ილხანთა ირანის ქალაქებში (ცხრილი № 2) მოჭრილი ღირებულების მეტროლოგიური მონაცემები, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, მოცემული გვაქვს ქვემოთ მოტანილ ცხრილებში.

ც ხ რ ი ლ ი 1

თბილისის ზარაფხანის პროლუქცია 1335—1354 წწ.

ილხანი	შ ე ლ ი		ღირებულების ფაქტიური წონა		
	პიჯრით	ჩვენი წელთაღრიცხვით	მაქსიმალური	მინიმალური	საშუალო
რაბა ხანი	736	1335—1336	1,42	1,02	1,21 <sup>107</sup>
მუჰამედ ხანი	738	1337—1338	1,19	1,09	1,11 <sup>108</sup>
სათი ბეგ ხათუნი	739	1338—1339	1,08	0,84	0,99 <sup>109</sup>
სულეიმან ხანი	740	1339—1340	0,84	0,69	0,76 <sup>110</sup>
სულეიმან ხანი	741	1340—1341	0,70	0,62	0,69 <sup>111</sup>
სულეიმან ხანი	743	1342—1343	0,70	0,63	0,66 <sup>112</sup>
ანუშირვანი	745	1344—1345	0,73	0,58	1,68 <sup>113</sup>
ანუშირვანი	748		0,70	0,72	0,69 <sup>114</sup>
ანუშირვანი	750—756	1349—1354	0,65	0,42	0,56 <sup>115</sup>

<sup>107</sup> ქ. დ. 3168; 3186; 4708; A. K. Марков, Инвентарный каталог мусульманских..., № 461; №461a; D. Lang, Studies... გვ. 67—68, №42.

<sup>108</sup> ქ. დ. 3189; 4709; A. K. Марков, დასახ. ნაშრ., № 478; D. Lang, დასახ. ნაშრ., გვ. 68, № 43.

<sup>109</sup> გ. ფ. 7494; 7495; 10357; ქ. დ. 2380—2382; 3169; 3187; 3188; 3191; 4710—4716; 4760.

<sup>110</sup> ქ. დ. 3173; 4722; 4723.

<sup>111</sup> გ. ფ. 7500—7520; 10358. ქ. დ. 3170; 3171; 3194—3196; 4717—4721; 4746—4747; D. Lang, დასახ. ნაშრ., გვ. 69, № 44.

<sup>112</sup> გ. ფ. 11563; ქ. დ. 2383; 3193; 4742.

<sup>113</sup> ქ. დ. 4731; 4733—4736.

<sup>114</sup> ერეენის ისტ. მუზეუმის ნუმისმატიკის განყ. ფონდი № 11627—11816—№ 94. 124; 158.

<sup>115</sup> გ. ფ. 9639; 5556; 5557. ქ. დ. 3172; 3193; 3199; 4724—4730; 4737—4791; 4743—4745; 5960—5971; A. K. Марков, დასახ. ნაშრომი, № 656; D. Lang, studies ... გვ. 69—71, № 45, 46, 47; ერეენის ფონდი № 11627—11816; №№ 26; 43; 86; 101; 155; 169; 5; 110; 111.

ილხანი	წ ე ლ ი		ღირებულების ფაქტიური წონა		
	პიჯრით	წელა ალრიცხვით	მაქსიმალური	მინიმალური	საშუალო
არბა ხანი	736	1335—1336	1,42	1,39	1,40 <sup>116</sup>
მუჰამედი	738	1337—1338	1,27	1,04	1,19 <sup>117</sup>
სათი ბეგ ხათუნი	739	1338—1339	1,07	0,96	1,01 <sup>118</sup>
სულეიმანი	740	1339—1340	0,92	0,84	0,86 <sup>119</sup>
სულეიმანი	841—743	1340—1343	0,74	0,54	0,67 <sup>120</sup>
ანუშირვანი	745—747		0,72	0,62	0,69 <sup>121</sup>
ანუშირვანი	748		0,76	0,61	0,70 <sup>122</sup>
ანუშირვანი	750—756		0,62	0,43	0,54 <sup>123</sup>

ზემოთ მოტანილი ცხრილები ღირებულების ღირებულების თანდათანობით დაცემის დამაჩვენებელ სურათს იძლევა; მეტროლოგიური მონაცემების საფუძველზე შეინიშნება უკანასკნელი ილხანების სახელით მონეტების მოჭრის ორი ეტაპი. I მოიცავს პერიოდს პიჯ. 739—748 წწ., ხოლო II — პიჯ. 750—756 წწ.

ყაზან ყაენის შემდეგ ღირებულების გაუფასურება აღნიშნულია როგორც ქართულ, ისე უცხოურ ისტორიულსა და ნუმისმატიკურ ლიტერატურაში. თუ ყაზანის დროს ღირებულების წონა 2,13 გრამია, ანუშირვანის დროს იგი მხოლოდ 0,55 გ იწონის. ეს მოვლენა თანაბრად იყო დამახასიათებელი წინა აზიისათვის. წინაში კლებულობდა ილხანების სახელით თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ფულიც. რადგან ღირებულების წონის დაკლებაზე წერილობითი წყაროდან არაფერია ცნობილი, შეიძლება ითქვას, რომ ვერცხლის მონეტების გაუფასურება ტარდებოდა სახელმწიფოს ნებართვით, და იგი პირდაპირ კავშირში იყო სახელმწიფოს გეგმიან ფალსიფიკაციასთან.

ღირებულების წონის დაქვეითება და გაუფასურება გამოწვეული იყო ილხანთა ირანის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიძნელეებთან, რამაც გამოიწვია ქვეყნის მძიმე ფინანსური კრიზისი და ილხანთა სახელმწიფოს დაცემა.

<sup>116</sup> ერევნის ისტ. მუზეუმის ნუმისმატიკის განყ. ფონდი № 14472; მეტალის № 1784; A. K. Марков, Инвентарный каталог мусульманских... № 461.

<sup>117</sup> გ. ფ. 7492—7493; A. K. Марков, დასახ. ნაშრ., № 471; 472; 474; აზერბაიჯანის ისტორიული მუზეუმი 3493; 6813; 6815; 6817; 6819; 14619.

<sup>118</sup> გ. ფ. 7496—7498; A. K. Марков, დასახ. ნაშრომი, № 499; 500—502; M. A. Сейфеддини, Монетное дело..., გვ. 48, №№ 517395—517398; 517402; 517411.

<sup>119</sup> M. A. Сейфеддини, Монетное дело..., с. 48.

<sup>120</sup> გ. ფ. 7521—7579.

<sup>121</sup> M. A. Сейфеддини, Монетное дело..., с. 52—53.

<sup>122</sup> გ. ფ. 5561; ერევნის ისტ. მუზეუმის ნუმისმ. განყ. ფონდი № 11627—11816. №№ 1; 4; 8; 16; 17; 19; 44; 47; 65; 99; 102; 103; 126; 127; 130; 140; 141; 143; 148; 151; 187.

<sup>123</sup> ერევნის ისტ. მუზეუმის ნუმისმ. ფონდი №№ 11627—11816; №№ 88; 96; 105; 115; 120; 125; 128; 131; 136; 138; 144; 147; 149; 153; 165; 166; 2; 3; 39; 63; 64; 67; 71; 73; 79; 80; 89; 14; 15; 21; 23; 48; 70; 77; 78; M. A. Сейфеддини, Монетное дело..., გვ. 54.



თ. აბრამიშვილი

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის 1980—1981 წწ.  
შემოსული ნუმიზმატიკური მასალა

1980—1981 წწ. ნუმიზმატიკის განყოფილებაში შემოვიდა 1123 მონეტა და მედალი. აქედან განძების ფონდში შემოვიდა 1088 მონეტა, ხოლო იმ ფონდში, რომელთა მოპოვების გარემოება ცნობილი არაა, 35 მონეტა და მედალი. მათ შორის 14 ბრინჯაოს მედალი გადმოცემულია ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟის ნუმიზმატიკური განყოფილების მიერ.

1. №№ 20554—20558 — ოლჯაიტუ სულთანის დირჰემი, 5 ცალი, მოპოვებულია ბოგდანოვკის რ-ნის სოფ. ფოკაში, შექმნილია ამაიკ მიხაკის ძე არაქელიანისაგან.

2. №№ 20559—20560 — ოლჯაიტუს დირჰემი, 2 ცალი, მოპოვებულია ბოგდანოვკის რ-ნის სოფ. ფოკაში. შექმნილია კირაკოზ მიხაკოს ძე აირაპეტიათისაგან.

3. №№ 20561—20602 — კოლხური თეთრი — ნახევარდრაჰმიანი, 41 ცალი, სინოპური დრაჰმა, 1 ცალი. მოპოვებულია სამტრედიის რ-ნის სოფ. დაფნარში, ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.

4. №№ 20603—20773 — ანტიკური სხვადასხვა მონეტა, 171 ცალი. აღმოჩენილი ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი ოთარ დავითის ძე ლორთქიფანიძე), შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.

5. № 20774 — თამარ დავითის მონეტა, 1 ცალი, მოპოვებულია თბილისის მიდამოებში. შემოწირულია ილარიონ დომენტის ძე წიქარიშვილის მიერ.

6. №№ 20775—20776 — ანუშირვანის მონეტა, 2 ცალი, მოპოვებულია სიღნაღის რ-ნის სოფ. ყარაღაჯში მიწის სამუშაოების დროს. შემოწირულია ნატო ტარასის ასულ მოსულიშვილისაგან.

7. № 20777 — ქუფური დირჰემი, 1 ცალი. მოპოვებულია დილომში. შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.

8. № 20778 — დასავლურ-ქართული ფული (კირმანელი), 1 ცალი. მოპოვებულია კოლხეთის მიდამოებში. შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.

9. №№ 20779—20780 — აბუ-საიდის მონეტა 1 ცალი, მანგუ-ყანის მონეტა 1 ცალი; მოპოვებულია კვეტერის ციხესთან. შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.

10. №№ 20781—20782 — ქართული კონსტანტინე II მონეტა, 1 ცალი, მანგუ-ყანის მონეტა, 1 ცალი. მოპოვებულია ხორნაბუჯში. შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.

11. № 20783 — ბაქარის მონეტა, 1 ცალი. მოპოვებულია დუშეთის რ-ნის სოფ. ახატანში. შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.

12. № 20784 რუსუდანის მონეტა, 1 ცალი. მოპოვებულია მცხეთის რ-ნის ცხვარიჭამიას საკურორტო ზონაში. შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.

13. №№ 20785—20794 — ქართული კონსტანტინე II მონეტა, 2 ცალი; აბუ-საიდის მონეტა, 2 ცალი; მანგუ-ყაანის მონეტა, 2 ცალი; სეფიანთა მონეტა 1 ცალი; ჯუჩიდური მონეტა 1 ცალი; აჰმედ ჯელაირისა და გიორგი VII მონეტა 1 ცალი. მოპოვებულია დუშეთის რ-ნის სოფ. სიონში. შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.

14. № 20795 — გაურკვეველი აღმოსავლური მონეტა, 1 ცალი. მოპოვებულია დუშეთის რ-ნის სოფ. ჭიკაანში. შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.

15. №№ 20796—20798 იეზდ ივერდ II დრაქმა, 1 ცალი; ფეროზის? დრაქმა, 1 ცალი; სასანური? დრაქმა, 1 ცალი. მოპოვებულია მცხეთაში ბანკის მშენებლობის დროს. შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.

16. № 20799 ყაანური I ტიპის მონეტა, 1 ცალი. აღმოჩენილია ძალისის ნაქალაქარზე, არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი ალექსი ბოხოჩაძე), შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.

17. № 20800 — მანგუ-ყაანის მონეტა, 1 ცალი. მოპოვებულია სიონში, სიონმშენის ტერიტორიაზე. შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.

18. №№ 20801 — 20804 — ჯალალ-ად-დინის მონეტა, 3 ცალი; გაურკვეველი XIV ს. (?), 1 ცალი. აღმოჩენილია ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი რამინ რამიშვილი) ჟინვალის საავადმყოფოს მიდამოებში. შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.

19. №20805 — ქართულ-ჰულაგუიდური მონეტა, 1 ცალი. მოპოვებულია ლელობის (გარდაბნის რ-ნი) ნაქალაქარის II უბნის სათავსოში, შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.

20. № 20806 — თბილური ფელსი, 1 ცალი. ნაპოვნია თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი როსტომ მიხეილის ძე აბრამიშვილი) საბურთალოს მიდამოებში. შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.

21. №№ 20807—20818 — ალი იბნ-ჯაფარის მონეტა, 12 ცალი. მოპოვებულია თბილისში — მეტეხის ციხესთან. შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.

22. №№ 20819 — 20823 — ბიზანტიური მონეტა, 2 ცალი; ბაქარის მონეტა, 1 ცალი; ერეკლე II მონეტა, 1 ცალი; სპარსული მონეტა, 1 ცალი. მოპოვებულია თბილისის მიდამოებში. შემოწირა ზურაბ ჯალაღანიამ. შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.

23. №№ 20824—20846 — გიორგი III მონეტა, 1 ცალი; თამარის მონეტა, 3 ცალი; გიორგი IV ლაშას მონეტა, 1 ცალი; ჯალალ-ად-დინის მონეტა, 1 ცალი; რუსუდანის მონეტა, 2 ცალი, რუსუდანის დრამა 5 ცალი; ნახევარდრაქმიანი 1 ცალი; რუმის სელჩუკის მონეტა, 2 ცალი; ყაანური I ტიპის 2 ცალი; ქართულ-ჰულაგუიდური მონეტა, 4 ცალი; საბჭოთა ფული 15 კაპიკიანი, 1 ცალი. მოპოვებულია ჟინვალის მიდამოებში. შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.

24. № 20847 — ქუფური დირბეში, 1 ცალი. აღმოჩენილია ალგეთის (მარ-  
ნეულის რ-ნი) ექსპედიციის მიერ. შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენ-  
ტრიდან.

25. № 20848 — ქართულ-ჰულაგუიდური მონეტა, 1 ცალი. აღმოჩენილი განძიდან არის. შემოვიდა არქეოლოგიური  
კვლევის ცენტრიდან.

26. №№ 20849—20917 — რუსული 10 კაპ. 20 ცალი; სირმა აბაზიანი, 16  
ცალი; სპარსული მონეტა, 1 ცალი; რუსული 2 კაპ. 2 ცალი; თამარის მონეტა,  
1 ცალი; სირმა ორშაურიანი, 7 ცალი; სირმა შაურიანი, 3 ცალი; რუსული 5  
კაპ. 5 ცალი; რუსული 20 კაპ. 7 ცალი; ქართული თეთრი „ს“, 1 ცალი; „რ“  
ქართული თეთრი, 3 ცალი; თურქული ახჩა, 2 ცალი. მოპოვებულია ყინვალის  
მიდამოებში. შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.

27. № 20918 — რუსუდანი? მონეტა, 1 ცალი. მოპოვებულია ხევში. შე-  
მოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.

28. №№ 20919 — 20928 — გიორგი III მონეტა, 3 ცალი; თამარის ვენ-  
ზელიანი მონეტა, 2 ცალი; გიორგი IV ლაშას მონეტა, 4 ცალი; ქართული მო-  
ნეტის უხეში მინაბაძი, 1 ცალი. მდ. ივრის სანაპიროზე აღმოჩენილი განძიდან  
არის. შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.

29. №№ 20929—20931 — დავით VI ნარინის სპილენძის მონეტა, 1 ცა-  
ლი; ფეროზის მონეტა, 1 ცალი, რუსუდანის მონეტა, 1 ცალი. ყინვალის  
არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, დევებიანის ზედა ტრასაზე მიკვლეულ  
სამარხშია აღმოჩენილი. შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.

30. №№ 20932—20935 — თბილური ფელსი, 1 ცალი; ყეტონი წმინდა  
გიორგის გამოსახულებით 1 ცალი; ხოსრო II დრაქმა, 1 ცალი; საბეჭდავი ყე-  
ტონი, 1 ცალი. მოპოვებულია გლდანის მასივში. შემოვიდა არქეოლოგიური  
კვლევის ცენტრიდან.

31. № 20936 — გლუვი ფირფიტა, მონეტა? 1 ცალი; ყინვალში არქეოლო-  
გიურ ექსპედიციის მიერ XXV სამარხშია აღმოჩენილი. შემოვიდა არქეოლო-  
გიური კვლევის ცენტრიდან.

32. №№ 20937—20942 — ჯუჩიდური მონეტა, 5 ცალი; ქართულ-ჰულა-  
გუიდური, 1 ცალი. მოპოვებულია ხევსურეთში. შემოვიდა არქეოლოგიური  
კვლევის ცენტრიდან.

33. № 20943 — ქართული გადაქედილი, დამლიანი, მონეტა, 1 ცალი. ნა-  
პოვნია ყინვალში? გადმოსცა გიორგი გრიგოლის ძე ცქიტიშვილმა. შემოვიდა  
არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.

34. №№ 20944 — 20947 — რუსუდანის მონეტა, 1 ცალი; ხოსრო I დრაქ-  
მა, 1 ცალი; ქეიკუბადის მონეტა, 2 ცალი. აღმოჩენილია ყინვალის არქეოლო-  
გიური ექსპედიციის მიერ. შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.

35. № 20948 — ქუფური ფელსი, 1 ცალი. აღმოჩენილია ნასტაკისის  
ნამოსახლარზე. არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი (ისტ. მეცნ.  
კანდიდატი ალექსი ბოზოჩაძე). შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრი-  
დან.

36. №№ 20949—21507 — სასანური დრაქმები — ხოსრო I 45 ცალი;  
პორმიზდ IV 313 ცალი; ხოსრო II 195 ცალი; ბიზანტიური ჰევსაგრაბეში —  
ირაკლისა 6 ცალი. მოპოვებულია წითელწყაროს სამხრეთ-აღმოსავლეთით 10  
კილომეტრზე დიდი ჩრდილის თავწყაროსთან, საპარხლუ ნაკვეთის დამუშავე-  
ბის დროს. შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.

37. №№ 21508—21517 — ირაკლის ჰეკსაგრამი, 10 ცალი. მოპოვებულია ბოლნისის რ-ნის სოფ. სარაჩლოში, ეკლესიის აბსიდის ნაყარი მიწისაგან გასუფთავების დროს. შემოწირულია იოსებ გელას ძე ბანძელაძის მიერ.
38. №№ 21518—21521 — ილიდგიზიდური მონეტა, 4 ცალი. მოპოვებულია დარუბანდის ციხეში. შემოწირულია ფრიდონ მოსეს ძე სიხარულაძის მიერ.
39. №№ 21522—21525 — ქართული ფული 1 ცალი; თეიმურაზ II მონეტა, 3 ცალი. მოპოვებულია ზნაურის რ-ნის სოფ. თოღვაში. შექმნილია დიმიტრი შიოს ძე ლაცაბიძისაგან.
40. №№ 21526—21528 — არაბული დირჰემი, 3 ცალი. მოპოვებულია საჩხერის რ-ნის სოფ. სავანეში. შექმნილია იზია ვლადიმერის ძე სტოლიაროვისაგან.
41. №№ 21529—21547 — დარუბანდის ათაბაგის მონეტა, 19 ცალი. მოპოვებულია გარდაბნის რ-ნის სოფ. კოჯორში. შემოწირეს ირინე უშანგის ასულ კუპრეიშვილმა და ირმა ნოდარის ასულ ბოცვაძემ.
42. № 21548 — ერეკლე II მონეტა, 1 ცალი. მოპოვებულია გორის რ-ნის სოფ. არბოში. შემოწირულია უშანგი ვასილის ძე ხმიანდაშვილის მიერ.
43. № 21549 — თბილური ფელსი, 1 ცალი. მოპოვებულია გარდაბნის რ-ნის სოფ. კოჯორში. შემოწირულია ბაადურ ნიკოლოზის ძე მჭედლიშვილის მიერ.
44. №№ 21550 — 21552 — ირაკლი და ირაკლი კონსტანტინეს ჰეკსაგრამი, 3 ცალი. მოპოვებულია მცხეთის მიდამოებში — ნავთსადენთან.
45. № 21553 — რუსუდანის მონეტა, 1 ცალი. მოპოვებულია ზემო ავჭალაში. შემოწირულია გალინა ვატხანგიშვილის მიერ.
46. № 21554 — არტაშირ I მონეტა, 1 ცალი. აღმოჩენილია მცხეთის მუდმივ მოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი ანდრია აფაქიძე), № 25 ქვის სამარხში. შემოვიდა არქეოლოგიური განყოფილების მცირე ექსპედიციის III ფონდიდან.
47. №№ 21555—21635 — კოლხური თეთრი ნახევარდრაქმიანი, 81 ცალი. მოპოვებულია ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ვანის ნაქალაქარზე. შემოვიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან.
48. №№ 21636 — 21644 — ფეროზის დრაქმა, 2 ცალი; ფოლოგოზის, 1 ცალი, კავადის 6 ცალი. აღმოჩენილია ლენინგორის რ-ის სოფ. ალეგში, მშენებლობის დროს მიკვლეულ სამარხში. შექმნილია ვალოდია დავითის ძე ლუწაშვილისაგან.
49. № 21645 — ბიზანტიური ანონიმური მონეტა, 1 ცალი. მოპოვებულია დმანისის რ-ის სოფ. კამარლოში, მიწის სამუშაოების დროს. შემოწირულია კახა კონსტანტინეს ძე კახიანის მიერ.
50. № 21546 — რუსუდანის სპილენძის მონეტა, 1 ცალი. მოპოვებულია გურჯაანის რ-ის სოფ. ვეჯინში, გზის გაყვანის დროს. შემოწირულია ა. ხარბტონაშვილის მიერ.

მონეტები, რომელთა მოპოვების გარემოება ცნობილი არაა:

1. ქართული d. №№ 6192—6195 — აბუ-საიდის მონეტა, 2 ცალი, თბილური ფელსი, XVII ს. 1 ცალი. ალი-მირზას მონეტა 1 ცალი. შემოწირა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანამშრომელმა, ისტ. მეც. კანდიდატმა ოთარ ლამბაშიძემ.



2. ქართული d. № 6196 — ქართული ფული 1810 წ. 1 ცალი. შემოწირულია მიხეილ გიორგის ძე ჩიტიაშვილის მიერ.
3. ქართული d. № 6197 — ქართულ-სასანური დრამა, 1 ცალი. შექმნილია ვერა ალექსის ასულ აპოლინსკაიასაგან.
4. აღმოსავლური d. №№ 8508 — 8509, გაურკვეველი XV-ს. მონეტა, 1 ცალი; ქუფური VIII—IX სს მონეტა, 1 ცალი. შემოწირა ოთარ ლამბაშიძემ.
5. კლასიკა d. № 2031 — რომაული მონეტა, 1 ცალი. შემოწირულია ლედი კონსტანტინეს ასულ კაპანაძის მიერ.
6. ევროპა d. №4039 — პოლანდიური დუკატი, 1 ცალი. შექმნილია კირა სერგოს ასულ მიქელაძისაგან.
7. ევროპა d. №4040 — ტალერი, 1 ცალი. შექმნილია მუზეუმის თანამშრომლის — მერი სევერიანეს ასულ ჩოჩიასაგან.
8. ევროპა d. №№ 4041 — 4045 — მექსიკური მონეტა, 5 ცალი, შემოწირულია მუზეუმის თანამშრომლის, ისტ. მეცნ. კანდიდატის კოტე კონსტანტინეს ძე ჩოლოყაშვილის მიერ.
9. მედლების d. №№ 831—834 — წმინდა გიორგის ორდენი I ხარისხის, 1 ცალი; წმინდა გიორგის ორდენი II ხარისხის, 1 ცალი; წმინდა ნინოს ორდენი I ხარისხის, 1 ცალი; წმინდა ნინოს ორდენი II ხარისხის, 1 ცალი. შემოწირა სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა ილია II-მ.
10. მედლების d. № 835 — ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 100 წლის გამო, მედალი, 1 ცალი. შემოწირა ლევან ალექსანდრეს ძე ჭილაშვილმა.
11. მედლების d. № 836 — საქართველოს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის 1783 წ. სამახსოვრო მედალი, 1 ცალი.
12. მედლების d. № 837 — 1812 წლის ომის მონაწილის ჯილდო, მედალი, 1 ცალი.
13. მედლების d. № 838 — ყარსის აღების გამო, მედალი, 1 ცალი.
14. მედლების d. № 839 — ახალციხესთან ბრძოლის გამო, მედალი, 1 ცალი.
15. მედლების d. № 840 — თავრიზის აღების გამო, მედალი, 1 ცალი.
16. მედლების d. № 841 — ერევნის აღების გამო, მედალი 1 ცალი.
17. მედლების d. № 842 — ელისავეტოპოლთან ბრძოლის გამო, მედალი, 1 ცალი.
18. მედლების d. № 843 — თურქეთთან ზავის დადების სამახსოვრო, 1829 წ. მედალი, 1 ცალი.
19. მედლების d. № 844 — თურქეთთან ომის გამოცხადების სამახსოვრო 1828 წ. მედალი, 1 ცალი.
20. მედლების d. № 845 — თურქული იარაღისაგან აგებული ძეგლის გახსნის აღსანიშნავად, პეტერბურგში 1885 წ. მედალი, 1 ცალი.
21. მედლების d. № 846 — სპარსეთთან ზავის დადების გამო 1828 წ. მედალი, 1 ცალი.
22. მედლების d. № 847 — ნიკოლოზ I კავკასიელ მთიელთა კონფოისათვის, მედალი, 1 ცალი.
23. მედლების d. № 848 — პეტრე I გარდაცვალების გამო 1725 წ. მედალი, 1 ცალი.
24. მედლების d. № 849 — გრაფ ა. უვაროვის პატივსაცემად. V არქეოლოგიური ყრილობა რუსეთში, თბილისში 1881 წ. მედალი, 1 ცალი.

М. В. ЦОЦЕЛИЯ

## САСАНИДО-КУШАНСКАЯ МОНЕТА ГОСУ- ДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ

Статья посвящена единственной сасанидо-кушанской монете Государственного музея Грузии, ее типологии, атрибуции и датировке. Монета считалась сасанидской (Др. Ир. О. № 456), ранее не издавалась. Ее происхождение — время и место находки не известны. Монета является мелким медным номиналом, средней сохранности, местами потёрта. Вес монеты — 1,94 гр, размер — 16/17 мм, соотношение осей — 12 ч.

Лицевая сторона. Тип d<sup>11</sup>.

Обычное для сасанидских монет погрудное изображение мужского персонажа повернутого вправо. Головной убор в виде кулаха с протомой хищника-льва<sup>2</sup> и подобающего государя «шара» — цветок лотоса — над ним<sup>2</sup>. Лицо правителя повязано бородой, прическа — туго сплетенные четыре косы, доходящие до плеч; над волосами две развевающиеся царские ленты, концами вверх. В ухе — серьга с круглой подвеской. На шее гривна. Одежда — четко виден круглый ворот рубахи. Вокруг изображения — одинарный точечный ободок. Слева — в пределах Пчасов — тамгообразный знак. Идущая слева направо пехлевийская надпись читается плохо. Легенда начинается от волос, читается только одно слово MLK' — «царь».

Оборотная сторона. Тип б.

Типично индийская композиция: в центре монеты стоит божество-имеющее символ Шивы (Виша). Шива стоит в полный рост в длинном дхоти перед горбатым быком — зебу Нанди. Левой рукой Шива опирается на трезубец. В правой руке держит раџа (силок, дротик) в виде венка. Руки согнуты в локте и подняты до уровня плеч. Локтем правой руки Шива опирается на быка. От головы Шивы отходят лучи сияния (нимб), переданные штрихами. Нимб не попадает в пределы кружка. По кругу поле монеты обрамлено точечным ободком.

Легенда: только справа — 'hgmz «Хормизд».

Кушанская империя являлась одной из наиболее могущественных государств древнего мира, включающая в период своего расцвета, тер-

<sup>1</sup> Классификация и нумерация монеты дается по книге В. Г. Луконина «Культура сасанидского Ирана», М., 1969, табл. XXI.

<sup>2</sup> Новую деталь короны — цветок лотоса ввел Хормизд. А. Бивар именует его «атришкоком».

ритории Индии, Пакистана, Афганистана, Ирака и советские среднеазиатские республики. Она занимала важное место в политической жизни древнего мира. О том, кто такие кушаны, основатели знаменитого кушанского царства, возникшего в начале эры, до сих пор нет единого мнения. Долгое время кушанская империя была малоизвестна современной науке. Ареал распространения кушанского царства, как и его хронология являются предметом дискуссий и привлекают внимание исследователей<sup>3</sup>.



Рис. 1

Около III в н. э. Кушанская империя понесла тяжелые территориальные утраты, после чего под властью Кушан остались лишь Бактрия, Гандхара и прилегающие к ней районы современного Пакистана и Афганистана<sup>4</sup>. Основатель сасанидской империи Арташир I (224—240) начал борьбу за расширение своих владений. Хотя арабский историк Табарни сообщает, что послы от царей Кушана, Турана и Мекрана после побед Арташира I явились к нему, выразив свою покорность<sup>5</sup>, кушанское царство вошло в состав Сасанидских владений лишь при Шапуре I (240—272). Одержав победу в зимней столице кушанского царства Пешаваре, Шапур I вторгся в Бактрию — в сердце кушанской империи — включив Кушаншахр в своеобразное сасанидское наместничество. Приводя перечень подвластных Сасанидам стран в надписи «Кааба Зо-

<sup>3</sup> Свидетельством служат международные совещания, состоявшиеся за короткое время: симпозиум кушанской хронологии в Лондоне — *Papers on the Date of Kaniska*. Ed. by Basham, Lieden, 1938; конференция по истории, археологии и культуры Центральной Азии в кушанскую эпоху в Душанбе—1968 года; семинар по кушанским исследованиям в Кабуле — *International Seminar on Kushan Studies, Kaboul*, 1970.

<sup>4</sup> Б. Стависский. Кушанская Бактрия: проблемы истории и культуры, М., 1977, с. 130.

<sup>5</sup> Th. Höldeke. *Geschichte der Parser und Araber zur Zeit der Sassaniden*. Aus der arabischen Chronik des Tabari, Leiden, 1879, 17—18.

роафра» Шапур I упоминает Кушаншахр: *kwšnhštr xprxš 'L pškbw*  
w xp 'L k's „страна Кушан вплоть до Пашкабура<sup>6</sup> и дальше до Кабула»<sup>7</sup>

«Кони и люди царя царей» побывали в кушанском государстве до 262 года, т. е. до времени составления надписи на «Каабе Зороастра», поставив страну в зависимость от Ирана<sup>8</sup>. Шапур I назначил своего брата Пероза царем Кушаншахра дав ему титул Кушаншаха<sup>9</sup>. В дальнейшем, во главе этого сасанидского наместничества стояли сасанидские принцы, носившие титулы «царь кушан», «великий царь кушан» и «великий царь царей кушан»<sup>10</sup>.



Рис. 2

В начале IV века сасанид Хормизд II (302—309) женился на кушанской принцессе «дочери царя Кабула»<sup>11</sup>. Во время царствования Шапура II (309—379) кушанские земли вновь были завоеваны и прочно вошли в состав сасанидского государства.

<sup>6</sup> Отожествление Пашкабура с современным Пешаваром остается спорным. Скорее всего — это область, лежащая к югу от Гиндукуша. Р. Фрай, *Население Ирана*, М., 1971, с. 294.

<sup>7</sup> Луконин определил наиболее точное время, когда могло произойти подчинение Кушаншахра Шапуру I-му. Событие, происшедшее между 244—249 гг. В. Г. Луконин, *Завоевание сасанидов на Востоке и проблема кушанской абсолютной хронологии*. ВДИ, 1969, № 2, с. 33—34, 37.

<sup>8</sup> В. Г. Луконин, *Завоевание...*, с. 32.

<sup>9</sup> Ali Sami. *Kushan in the days of the Sassanid Empire according to the Pahlavi inscription of Naksh-i Rostam*. Труды конференции. Центральная Азия в кушанскую эпоху. т. II, М., 1975, стр. 149.

<sup>10</sup> Следует отметить новую концепцию Ричарда Фрая относительно этих титулов. По его мнению в 260—295 гг. западная часть кушанских владений, хотя и находилась в вассальной зависимости от сасанидского Ирана, но правила страной не сасанидские принцы, так как они не упомянуты в надписи Нарсе и Пайкули. R. N. Frye. *Sassanian inscriptions and Kushan history*. Труды конференции: Центральная Азия в Кушанскую эпоху, т. II, М., 1975, с. 152.

<sup>11</sup> Bégam. *Recherches archaéologiques et historiques sur les Kouchans*. „Memoires de la Délégation Archéologique française en Afghanistan, t. 12, Paris, Chicago, 1946.



О дальнейших событиях на землях Кушанского царства позволяют судить монетные находки, в частности, сасанидо-кушанские и кушано-сасанидские монеты, выпускаемые от имени членов сасанидской династии и наследников шаханшахского престола. Монеты являются первыми вещественными памятниками кушанской империи.

Кушанская нумизматика развилась в самостоятельную научную дисциплину<sup>12</sup>. Часть кушанских монет чеканились по образцу сасанидских со среднеперсидской надписью на них.



Рис. 3



Рис. 4

<sup>12</sup> Первая классификация и датировка кушано-сасанидских монет принадлежит А. Канингхему. A. Cunningham. „Coins of the later Indo-Scythians. Scytho-Sassanians“. Numismatic Chronicle, v. XIII, ser. III, 1893, с. 166—202. Исследованием сасанидо-кушанских кушано-сасанидских монет занимались нумизматы и историки: E. Herzfeld, Kushano-Sasanian Coins. „Memoires of the archaeological survey of India. № 38, Calcutta, 1930; A. D. Bivar. The Kushano-sasanian Coin Series. Journal of the Numismatic Society of India. V. XVIII, pt. I, 1956; R. Göbl, Die Nünzprägung der Kušan von Vima Kadphises bis Bahrām IV. Altheim F. und Stiehl R. Finanzgeschichte der Spätantike. Frankfurt am Main, 1957; A. D. Bivar. Kushan and 150

А. Бивар, Р. Гёбль и В. Луконин независимо друг от друга определили имена правителей, выпускавших эти монеты: Шапур, Арташир, Пероз, Хормизд, Варахран. Но последовательность серий монет с именами этих сасанидских «кушаншахов» и датировка правлений последних у исследователей различны. А. Бивар датирует выпуск этих монет с середины III по конец IV в.<sup>13</sup> Р. Гёбль с 371 по 400 гг.<sup>14</sup> Детальный исторический анализ привел В. Луконина к заключению, что сасанидо-кушанские монеты чеканили сасанидские царевичи (некоторые из них никогда не стали шаханшахами Ирана). Выпуск сасанидо-кушанских монет следует датировать временем эпохи правления Шапура II (309—379) до конца 60-х годов V века<sup>15</sup>.

Сасанидо-кушанские монеты Хормизда кушаншаха следуют непосредственно после монет Пероза и выпускались с 381 до 384 гг.<sup>16</sup> Со времени воцарения сасанидского шаханшаха Пероза (459—484) выпуск медных сасанидо-кушанских монет прекратился.

Таким образом, медная сасанидо-кушанская монета Гос. музея Грузии является монетой кушаншаха Хормизда, сына сасанидского шаханшаха Арташира II, и ее выпуск следует датировать 381—384 годами.

---

Kushano-Sassanian Seals and Kushano-sasanian Coins „Corpus Inscriptionum Iranicarum“, pt. III. Pahlavi Inscriptions. V.IV, Seals and Coins, London, 1968.

<sup>13</sup> A. D. Bivar, The Kushano-Sasanian Coin Series.

<sup>14</sup> R. Cöbl. Dokumente zur Geschichte der Iranischen Hunnen in Baktrien und Indien, Wiesbaden, 1967, Bd. I, с. 24—25, Bd. 2, с. 47—48.

<sup>15</sup> В. Г. Луконин. Завоевания Сасанидов, с. 40.

<sup>16</sup> В. Г. Луконин. Кушано-сасанидские монеты, с. 31.

ს. ბურღილაძე

წარწერიანი მოტიჟული ჯამი ვანის ქვაბიდან

ვანის ქვაბების უდაბნო-მონასტერში მრავალწლიანი არქიტექტურულ-არქეოლოგიური კვლევის შედეგად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალებია გამოვლენილი. ექსპედიციის ხელმძღვანელის გ. გაფრინდაშვილის დაკვირვებით, აქ თვალნათლივ ჩანს მეუდაბნოეობის ჩასახვა-განვითარებისა და მონასტრად გადაქცევის რთული და ხანგრძლივი პროცესი<sup>1</sup>.

ჯერჯერობით ვანის ქვაბებში მეუდაბნოეობის პერიოდის არქეოლოგიური მასალა, გარდა ორიოდ მოუქიქავი ჭურჭლის ფრაგმენტისა, არ აღმოჩნდა; სამაგიეროდ, მრავალრიცხოვანია შუა ფეოდალური ხანის არქეოლოგიური მონაპოვარი. ეს ბუნებრივია, რადგან არქეოლოგიური გათხრები უმთავრესად მონასტრის ცენტრში მიმდინარეობს, სადაც XI—XIII სს. და უფრო მოგვიანო ფენებია დადასტურებული.


მონასტერი, მტრის შემოსევებით და 1088 წ. და 1283 წ. მიწისძვრებით ძლიერაა დაზიანებული; ცენტრალურ ნაწილში, გუმბათიანი ტაძრის ქვემოთ, ფერდობზე გაიწმინდა დამარხული გამოქვაბულების ჯგუფი. არქეოლოგიური მასალებით განსაკუთრებით გამოირჩევა № 57 ქვაბი. იგი წარმოადგენს ოვალური ფორმის საცხოვრებელს, რომელიც ზედა იარუსის სხვა გამოქვაბულებთან დაკავშირებული ყოფილა ერდოთი. № 57 ქვაბში დადასტურდა ორი სტრატოგრაფიული ფენა, ქვედა, გამოქვაბულის იატაკიდან 30 სმ სიმაღლის, და ზედა, რომელიც შეიცავს კერამიკის მცირე ფრაგმენტებს. ქვედა ფენაში გამოვლენილი მასალის უმრავლესობას მოქიქული ჯამები შეადგენს. აღმოჩნდა აგრეთვე დერგის პირგვერდის რამდენიმე ნატეხი, წერნაქით შეღებილი ორი მოზრდილი ჯამი, გაურკვეველი დანიშნულების რკინის ნივთი და მოუქიქავი ჭურჭლის ფრაგმენტები.

მოქიქული ჯამები ნატეხების სახითაა შემორჩენილი. მოხერხდა რამდენიმე მათგანის აღდგენა ისე, რომ შესაძლებელი გახდა მათი ფორმებისა და ორნამენტის გარკვევა. ჯამები საშუალო ზომისა ყოფილა (დმ 17,5—18 სმ); დამახასიათებელია სწორი, ოდნავ შიგნით გადაწეული პირი; კეცი მსწვილმარცვლოვანია, მოწითალო-მოვარდისფრო, კვარცის მინარეგვით. ხაზოვანი და მარყუჟიანი მოტივები თეთრ და ვარდისფერ ანგობზე ამოკაწვრითაა გამოყვანილი. ჯამების უმრავლესობა კრიალა მწვანე ჰიქურითაა დაფარული.

<sup>1</sup> გ. გაფრინდაშვილი, ძველი ქართული კულტურის კვლევის სპელესტიკური პრობლემები და ვარჯის უდაბნო. სპელესტიკური კვლევა-ძიებანი, XII სამეცნიერო სესია საგარეჯოში, 1977, გვ. 4; მისივე, ვანის ქვაბები, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 4, თბ., 1979, გვ. 292.

ამოკაწვრით შემკული და ცისფერი ჰიქურით დაფარული ჯამები წარმოდგენილია რამდენიმე ფრაგმენტით. მათ შორის აღსანიშნავია წარწერით ჯამის ფრაგმენტი, რომელიც წინამდებარე წერილის განხილვის საგანს შეადგენს (სურ. 1).

ჯამის ნატეხი (საველე № 1736) ჰურპლის თითქმის შესამედს შეადგენს; წარმოდგენილია გვერდის და ოდნავ შიგნით გადაწეული პირის ნაწილით. კეცი გამომწვარია მოწითალოდ, მსხვილმარცვლოვანია, მცირეოდენი კვარცის მინარევეებით. ჯამის პირის დიამეტრი სავარაუდოდ 19 სმ-ია; შიგა პირზე გა-



სურ. 1

დავლებულია მოვარდისფრო ანგობის თხელი ფენა. ანგობი პირზედაც ყოფილა გადასხმული გარედან. ჯამის შიდაპირზე ამოკაწრული ყოფილა ორი პარალელური ხაზით შედგენილი „ჯვარი“ (შემორჩენილია ერთი მკლავი). შემორჩენილი მკლავებშორისი ორი არედან ერთში მარყუჟია ამოკაწრული, მეორეში მარყუჟის მხოლოდ მცირე რკალი ჩანს. ჯამი ანგობიერების და ორნამენტის ამოკაწვრის შემდეგ დაუფარავთ ცისფერი ჰიქურით. ძირი არ არის შემორჩენილი.




ჯამის გარე კალთაზე ამოკაწრულია ასომთავრულ-ნუსხურით შესრულებული ოთხი ასო: ს—ნ შ ე. წარწერა სავარაუდოდ შემდეგნაირად შეიძლება იშიფროს ს (ვმეონ) შ ((ეიწყალ)ე (თ) (სურ. 2).

წარწერა, როგორც ლაბორატორიულმა კვლევამ დაადგინა<sup>2</sup>, შესრულებულია გამოწვის შემდეგ. თუ წარწერის შინაარსსაც გავითვალისწინებთ, ჭურჭელი აშკარად ვანის ქვაბების მონასტრისადმი შეწირული და არა ადგილობრივი ნაწარმი, რაც ერთი შეხედვით შეიძლებოდა გვევარაუდა მონასტერში აღმოჩენილი კერამიკული სახელოსნოს ნაშთებთან კავშირში.

შეწირული ჭურჭლის არა ერთი მაგალითია დადასტურებული საქართველოში, გვიან ანტიკური ხანიდან მოკიდებული დღემდე, ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში კი უნდა აღინიშნოს გუდარეხის მონასტრის მოკიქული ჯაბები<sup>3</sup>.

ამრიგად, ვანის ქვაბისა და გუდარეხის მაგალითებით კარგად ჩანს, რომ ჭურჭლის შეწირვა მლოცველისა და ეკლესიის ურთიერთობის გარკვეული ტრადიციული ფორმაა ქართულ მონასტერში.



სურ. 2

წარწერის პირველი ორი ასო უფრო ღრმადაა ამოკაწრული და სწორი მოკლე ხაზით არის დაქარაგმებული. მეორე ორი ასო დაბალი ამოკაწრითაა შესრულებული და ქვედა სტრიქონშია განლაგებული, ოდნავ მარჯვნივ პირველი სიტყვისაგან. ამასთანავე, თუ პირველი ორი ასო ასომთავრულია და ორხაზოვან სისტემაშია ნაწერი, ქვედა ასოებში ორხაზოვანი სისტემა დარღვეულია. აქ ასო „ე“ ხაზ ქვემოთ არის ამოკაწრული და ამასთან იგი ნუსხურია, ე. ი. საქმე გვაქვს შერეულ დამწერლობასთან. უფრო მეტიც, „ე“ მარცხნივ გაზიდული პორიზონტული ხაზის გარეშეა მოცემული, ხოლო თავი შემორკალულია და არა სწორხაზოვანი, როგორც ჩვეულებრივ არის სავარაუდო. თა-

<sup>2</sup> ოპტიკური ანალიზი შეასრულა რ. ბახტაძემ, რისთვისაც მადლობას მოვხსენებთ.  
<sup>3</sup> ვ. კიკნაძე, დამღების ისტორიისათვის საქართველოში, ხელნაწერი, ვვ. 37.

ვის მხატვრული რეალური ფორმა რომ არ არის შემთხვევითი მოვლენა, ეს კარგად ჩანს სხვა მასალებიდანაც<sup>4</sup>. უშუალო ანალოგია მოგვეპოვება თვით ჯავახეთის ეპიგრაფიკაში. ეს არის ზედა თმოგვის ეკლესიის ფარსმან თმოგველი ერისთავთ-ერისთავის სამშენებლო წარწერის ასო „ე“-ნის მხატვრული სახე<sup>5</sup> (სურ. 3გ).



სურ. 3

ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ფარსმანის პიროვნების მიხედვით კარგად ხერხდება ქრონოლოგიის ჩარჩოების დადგენა. ეს არის XI ს. შუა ხანა. ქვედა ზღვარია 1045 წ.<sup>6</sup>, ზედა ზღვარი კი 1064 წ. როდესაც ფარსმან თმოგველი იღუპება თურქ-სელჩუკებთან ახალქალაქისათვის ბრძოლაში<sup>7</sup>. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ვანის ქვების ჯამის წარწერის დამახასიათებელი ნიშანი, როგორცაა, შერეული ასომთავრულ-ნუსხური დამწერლობა, არ შორდება XI საუკუნეს, ხოლო მარცხნივ გაზიდული პორიზონტული ხაზის უქონლობა X საუკუნის და უფრო ადრეულ ქეგლებს ახასიათებს<sup>8</sup>. ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზედა თმოგვის აღნიშნული წარწერის პირდაპირ ანალოგიურ თავისებურებას, რომელიც მეტ საერთოს ამჟღავნებს წინა საუკუნესთან და XI ს. I ნახევრის ძეგლთა რიცხვს უნდა განეკუთვნოს.

<sup>4</sup> ლაპიდარული წარწერები, II, 1980, გვ. 133, სურ. 126.

<sup>5</sup> რ. გვერდ წითელი, ზედა თმოგვის ეკლესიის წარწერები, საქართველოს სახ. მეცნიერების მოამბე, XIV-B, თბ., 1947, გვ. 237—249. ავტორი ერთგან უთითებს, რომ „ასო „ე“-ნის თავი რთული მოყვანილობისაა“ (გვ. 238). ხოლო ფარსმანის წარწერასთან აღნიშნავს, რომ „დასაწყისის ორი ე-ნი იმეორებს პირველი წარწერის ე-ნის მოყვანილობას“-ი (გვ. 241). ფაქტიურად პალეოგრაფიული დახასიათება არაა მოცემული და გაუგებარია, თუ რაში გამოიხატება ასოს რთული მოყვანილობა. უფრო მეტიც, იქვე მოცემულ სურათზე წარწერის ასლზე ე-ნის პალეოგრაფია დამახინჯებულია.

<sup>6</sup> გ. გაფრინდაშვილი, ახალი ნავარძიევის წარწერა; „მეცნიერება და ტექნიკა“, № 9, 1953, გვ. 36.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> ლაპიდარული წარწერები, I, თბ., 1981, გვ. 173.

ამრიგად, ვანის ქვაბის ზემოთ განხილული ამოკაწრით შემკული და ცისფრად შემკული ჯამი წარმოადგენს შეწირულ ჯამს და მისი თარიღი წარწერის მიხედვით არ გადმოდის XI საუკუნის შუა ხანის აქეთ.

ჭურჭლის ფუნქციის შეწყვეტა უნდა ვიგულისხმობთ 1088 წლისათვის. ის უკავშირდება მიწისძვრით გამოწვეულ ნგრევას, როდესაც მწყობრიდან გამოსულა ვანის ქვაბის № 57 გამოქვაბულიც. ამ დროს ინგრევა თმოგვის ციხე<sup>9</sup>, ხოლო ვანის ქვაბში, როგორც გ. გაფრინდაშვილი ვარაუდობს, ინგრევა წმინდა გიორგის ტაძარი და № 57 ქვაბის წინ მდებარე აგურის იატაკიანი ნაგებობა<sup>10</sup>. ეს უბანი, როგორც არქეოლოგიური კვლევა ადასტურებს, განახლებული აღარ ყოფილა.

ფეოდალური პერიოდის არქეოლოგიურ მასალებში მოქიქულ ჭურჭელს ერთ-ერთი მთავარი ადგილი აქვს მიკუთვნებული. მრავალრიცხოვანი, კარგი ხარისხისა და მაღალი გემოვნებით ნაკეთები ჭურჭელი მიუთითებს შუა საუკუნეების საქართველოში კერამიკული წარმოების მაღალ დონეზე. ამავ დროს თვალშია საცემი, რომ აქ თითქმის ვერ ვხვდებით წარწერიან ნაწარმს; ეს იმ დროს, როდესაც წარწერიანი მოქიქული ჭურჭელი მრავლად არის ცნობილი აღმოსავლეთის ქვეყნების სინქრონულ მასალებში. მართალია საქართველოში აღმოჩენილია რამდენიმე წარწერიანი ჭურჭლის ფრაგმენტი, მაგრამ ისინი სრულ წარმოდგენას ვერ გვიქმნიან როგორც თვით ჭურჭლის, ასევე წარწერის ხასიათის შესახებ. თუმცა ეს მასალა ამ მხრივ არავის გაუხდია სპეციალური შესწავლის საგნად.

საქართველოში წარწერიანი მოქიქული ჭურჭლის პირველი ნიმუშები აღმოჩნდა დმანისში<sup>11</sup>. ერთი მათგანი წარმოადგენს მოქიქული ჯამის ქიმის ნატებს; თეთრი ანგობით დაფარულ შიგა პირზე ამოკვეთის ხერხით შესრულებულია მცენარეული ორნამენტი, რომელზედაც გადავლებულია გამკვირვალე ჭიქური. ჯამის ზურგი თეთრი ანგობითაა დაფარული. მასზე ამოკაწრულია ქართული ნუსხანუსტური წარწერის ნაწილი: „კ ლ ს პ“. წარწერის გამიფერა არ ხერხდება. მეორე ნატებიც თეთრი ანგობით დაფარული ჯამის ფრაგმენტია, რომლის ზედაპირზე ამოკაწრული ყოფილა ხუთფურცლიანი ვარდული. ვარდულის ცენტრში გამოწვამდე ამოკაწრულია ასომთავრული „შ“-ს მსგავსი ნიშანი. გადავლებული აქვს მწვანე, გამკვირვალე ჭიქური<sup>12</sup>. ბოლოს, უნდა აღინიშნოს მრავალფრად მოქიქული ჯამის ფრაგმენტი, რომლის ცენტრში ქართული მხედრული „გ“-ს მსგავსი მოტივია ამოკაწრული<sup>13</sup>. ანალოგიური ჯამი აღმოჩენილია რუსთავის ნაციხარზეც<sup>14</sup>.

ზემოთ ჩამოთვლილი ნიმუშებიდან მხოლოდ დმანისის ნუსხანუსტურით შესრულებული წარწერაა ექვემოტანელი. დანარჩენები უკეთეს შემთხვევაში შეიძლება იმიტაციებად მივიჩნიოთ. უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ გულარე-

<sup>9</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი. ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 155.

<sup>10</sup> გ. გაფრინდაშვილი, უდაბნო, როგორც მონასტერი. მოხსენება წაკითხული ქართული ხელოვნების ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმზე იტალიაში, 1980 წ. ხელნაწერი.

<sup>11</sup> ლ. მუსხელიშვილი, დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა). რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938, გვ. 403.

<sup>12</sup> ვ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა, XI—XIII სს. თბ., 1956, გვ. 65.

<sup>13</sup> იქვე, ტაბ. LVI.

<sup>14</sup> მ. მიწიშვილი, მოქიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში, IX—XIII სს. 1969, გვ. 46, ტაბ. XLII.

ხის კოლექციის ე. წ. „ნიშნინი“ მოჭიქული ჭურჭლის ფარგმენტებს. ერთ-ერთი, თეთრი ანგობით დაფარულ და ცისფრად მოჭიქულ ჯამის ფარგმენტის გარე პირზე ამოკაწრულია ორი ასო, ნუსხური „შ. ე.“ (სსმფგ. 2—51—76).

უნდა აღინიშნოს აგრეთვე მოჭიქულ ჭურჭელზე არაბული წარწერების იმიტაციით მიღებული ორნამენტი. ასეთი ჭურჭელი აღმოჩენილია ბზილასის კერამიკულ სახელოსნოში (№ 1—54 : 2106)<sup>15</sup> და რუსთავის ნაციხარზე<sup>16</sup>.

აღსანიშნავია, რომ ამოკაწრით შემკული და ცისფერი ქიქურით დაფარული ჯამები საქართველოს განათხარი ძეგლების მასალებში მრავალია წარმოდგენილი. როგორც ჩანს, ცისფერი ქართველი მხატვარი-მეთუნეებისათვის გავრცელებული ფერია. ორნამენტის მთავარი სახეებია ხაზები და მარყუევები. ამოკაწრით შემკული და ცისფრად მოჭიქული ჯამებისათვის დამახასიათებელია მსხვილმარცვლოვანი, მოწითალო კეცა, დაბალი და ოდნავ შეიგნთ დაქანებული ქიმი. მონოქრომული და სადა მოჭიქული კერამიკის შემდგომ, ეს არის მხატვრული კერამიკის განვითარების ახალი ეტაპი, რომელიც თარიღდება XI საუკუნის შუა ხანით, რაც ვანის ქვაბის ქართულწარწერიანი ჭურჭლითაც დადასტურდა.

მ. მიწიშვილი დვინის, ორენჯალის, ხერსონესის, უზბეკეთისა და საბერძნეთის ანალოგიური ჯამების შესწავლის შედეგად ასკვნის, რომ ამოკაწრით შემკული და ერთფერად მოჭიქული ჯამები აღმოსავლეთ საქართველოში ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, გაბატონებულია XI—XII საუკუნეებში, თუმცა განაგრძობს არსებობას XIII საუკუნის I ნახევარში<sup>17</sup>.

ზემოთ განხილული ჯამი ქართული მხატვრული კერამიკის ანალოგიების მიხედვით XI—XII სს. ნაწარმს განეკუთვნება; წარწერის ანალიზით კი მისი წარმოება XI საუკუნის შუა ხანის აქეთ არ გადმოდის. ამავე დროს ფენა, სადაც ჯამი აღმოჩნდა, არსებობას წყვეტს 1088 წლის მიწისქერის შედეგად. თუ ყველა მონაცემს დავეყრდნობით, მაშინ მოჭიქული ჯამი ვანის ქვაბის მონასტრისადმი შეწირული ჩანს XI ს. შუა ხანაში.

ვანის ქვაბის წარწერიანი ჭურჭლის ქრონოლოგიის განსაზღვრით, მოხერხდა ზოგადად XI—XII სს. ცნობილი ამოკაწრით შემკული და ერთფერად მოჭიქული ჭურჭლის XI ს. შუა ხანით დათარიღება. ეს კი მნიშვნელოვანია ფეოდალური ხანის მხატვრული კერამიკის განვითარების კვლევის საქმეში.

С. В. БУРДИЛАДЗЕ

## ПОЛИВНАЯ ЧАША С НАДПИСЬЮ, НАЙДЕННАЯ В ВАНИС КВАБИ

Резюме

В процессе архитектурно-археологических изысканий в Ванис Кваби, найдены интересные материалы для изучения древнегрузинской культуры. Среди них особое внимание заслуживает большая разновидность фрагментов поливной керамики.

15 მ. მიწიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

16 ლ. ქილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 123.

17 მ. მიწიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.



Известно, что пещерный ансамбль Ванис Кваби был разрушен землетрясением в 1088 и 1383 гг. (то стихийное явление главным образом и дает возможность точно датировать найденный археологический материал).

В статье дается научный анализ фрагмента чаши из поливной керамики с грузинской надписью, найденного в археологическом слое XI в.

Палеографический анализ надписи датирует чашу не позже середины XI в.

6. აფხაზაზა

აღრეული შუა საუკუნეების სამარხები ცხვარიჰანიდან


1980 წლის ივნისის პირველ ნახევარში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგთა ჯგუფმა დაზვერა მცხეთის რაიონის სოფელ ცხვარიჰანაში შემთხვევით აღმოჩენილი აღრეულ შუასაუკუნეთა სამაროვანი<sup>1</sup>. სამაროვანი მდებარეობს თემისხევის მარჯვენა ნაპირზე, ქართლის ქედის დასავლეთ განშტოების სამხრეთ ფერდობზე<sup>2</sup>, სოფელ ცხვარიჰანიას აღმოსავლეთ ნაწილში.

შესწავლილი ქვის სამარხები (სულ 3) ფერდობზე (ზემოდან ქვემოთ) თანმიმდევრობითაა განლაგებული. მათ შორის ინტერვალი 1—1,3 მ-ია, ხოლო მიწის ზედაპირიდან სამარხის სახურავები დაახლოებით 0,6 მ-ის სიღრმეზე მდებარეობს.

სამარხი № 1 ქვაყუთია (სიგრძე 2,1 მ, სიგანე 1,05 მ), დამხრობილია O—W ლერძზე. სამარხი შეკრული იყო ქვიშაქვის 4 ფილაქვით და გადახურული ქვიშაქვისავე 3 თითქმის თანაბარი ზომის ფილებით. ისევე როგორც დანარჩენ სამარხებში. მიცვალებულის ძვლები № 1 სამარხშიც ხელნახლები და ჩაშლილი დაგვხვდა, მაგრამ ზოგი დეტალის დადგენა მაინც შეუძლებელი, კერძოდ: ქვაყუთში ზურგზე გამოტილი თავით დასავლეთისკენ მიმართული ორი ზრდასრული (ქალი და კაცი?) ინდივიდი ესვენა. ე. ი. სამარხი დამხრობისა და დაკრძალვის წესის მიხედვით ქრისტიანულია.

<sup>1</sup> ივნისის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გამოცხადდა სსრკ 50 წლისთავის სახელობის გაერთიანების ტექნოლოგიკორმდარი ვლადიმერ სალინაი და შეგვატყობინა, რომ სოფ. ცხვარიჰანაში, აღნიშნული გაერთიანების პიონერთა ბანაიის „მზიანეთის“ ტერიტორიაზე ელექტროკაბელისათვის თხრილს გაჭრისას აღმოჩნდა ქვაყუთი. 12 ივნისს აღმოჩენის ადგილას ვ. სალინაძესთან ერთად გაემგზავრნენ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი თ. მეშველიანი, საქართველოს სსრ რეგლთა დაცვის სამმართველოს არქეოლოგიის განყოფილების გამგე ბ. მჭედლიშვილი, მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი კ. გოცაძე და ნ. აფხაზაზა. აღმოჩენის ვითარებისა და სიტუაციის გარკვევის შემდეგ, მუშების კარლო წიკლაურისა და ბორის კუზნეცოვის დახმარებით გავწმინდეთ და შევისწავლეთ 3 დაზიანებული ქვის სამარხი. სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მოვახერხეთ რამდენიმე დარღვეული და მიწით საესე სამარხის შესწავლა, რომელთაგან ზოგიერთი ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ გამოშვლებულა და დაუფიქსირებიათ კიდევ არქეოლოგებს, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატს ვ. ართილაყვას და ბ. გომიშვილს.

<sup>2</sup> თემისხევი თითქმის ზუსტად აღმოსავლეთ დასავლეთის ხაზზე მიედინება და საგურანოს ჩრდილოეთით საფურცელსთან მარცხნიდან უერთდება მდ. არაგვს. „ამას ქუთით ერთის არაგუს ხერკის ჳევი ანუ თემის ჳევი. გამოსდის კუხეთის მთას ანუ იალონს, მოდის დასავლეთად“ — ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 535.



სამარხეული ინვენტარი. მიცვალბულთა თავის არეში (ნივთების განლაგების ზუსტი პოზიცია უკვე დარღვეული იყო) დადასტურდა თმის საკინძები: მათგან 3 ცალის თავი, მარჯნისგან ნაკეთებ ბროწეულის ყვავილებს გამოსახავდა. საკინძთა ღერო და ვარდულები ბრინჯაოსგანაა ნაკეთები (ტაბ. I—5—7). ერთ მათგანს თავზე დამატებით ბრინჯაოს ჯვარედინა „ფურცლები“ და მარგალიტის მივი ამკობს (სურ. 1—5). მეოთხე საკინძის თავი მარჯნის სფერული მძივითაა შემკული, ვარდულები ბრინჯაოსგან, ხოლო ღერო რკინისგანაა ნამზადი (სურ. 1—10). მათთან ერთად 2 საკინძია მრავალწახნავა მინის თავით ბრინჯაოს ვარდულებითა და რკინის ღეროთი (სურ. 1—8, 9). საკინძთა შორის აღმოჩნდა ბრინჯაოსაგან მთლიანადსმულებიც: სფეროიდულთაგანია „ყელთან“ ორმაგი წიბოთი 2 ც. (სურ. 1. 2) და ჭვირული გულისებრთაგანია „ყელთან“ წყვილი შესქელებით — 2 ც. (სურ. 1—3, 4). მათთან ერთად დადასტურდა აგრეთვე თავმოკაუქმებული დაქანგული რკინის ღერო.

სამარხის დასავლეთ ნაწილში, დაახლოებით მიცვალბულთა მკერდის არეში აღმოჩნდა რკინის ჭვინტიანი, მუხლასხრიანი დაქანგული მშვილდსაკინძი, რომელსაც ადგილ-ადგილ ქსოვილის ნაშთი ჰქონდა შერჩენილი (სურ. 1—11). გარდა ამისა, მუშებმა გადმოგვეცეს ბრინჯაოსაგან დამზადებული ანალოგიური მშვილდსაკინძი, რომელიც წინა დღეს ამოვლით სამარხიდან (სურ. 1—12).

სამარხის შუა ნაწილში რკინის მრგვალგანიკვეთიანი დაქანგული სამაჯურის ორი ნატეხი აღმოჩნდა (სურ. 1—17, 118). მასთან ერთად იყო ნატეხი რკინისავე ერთმანეთზე გადაბმული რგოლების წყებისა, რომელსაც შესაძლოა სამაჯურის ნატეხია (სურ. 1—16).

გარდა ამისა, სამარხში აღმოჩნდა სპილენძის სასაფეთქლე რგოლები (მათგან ერთი დეფორმირებული (სურ. 1—14, 15). სპილენძის მცირე დისკო ოდნავ ამობურცული ზედაპირით (სურ. 1—13). საინტერესოა ისიც, რომ სამარხის მიწაში შეიმჩნეოდა ნახშირის მცირე ჩანარებები.

№ 2 სამარხი მდებარეობს ზემოაღწერილის სამხრეთით და მისი ანალოგიურია (ოლონდ ოდნავ მომცრო  $2 \times 0,95$  მ), დამხრობილია O—W ღერძზე. სამარხში დაფიქსირდა 2 ზრდასრული ინდივიდის ჩონჩხი. დაკრძალვა აქაც ქრისტიანული უნდა ყოფილიყო.

სამარხის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ნახევარსფერულთაგანია ბრინჯაოსგან მთლიანადსმული საკინძი (სურ. 1—20), წელის არეში კი — რკინის სამაჯურისა და ღეროს ნატეხები. გარდა ამისა, სამარხში აღმოჩნდა ობსიდინის ანატეკეი (სურ. 1—23)<sup>3</sup>.

მომდევნო № 3 სამარხი ზემოაღწერილთა ანალოგიურია და ზომებით № 1 სამარხს ემთხვევა. მასში დადასტურდა სამი მიცვალბულთა ჩონჩხი: 2 ზრდასრული და ბავშვისა. მათგან ერთ-ერთი ზრდასრული აღმოსავლეთსკენ იყო მიხვეტილი.

№ 3 სამარხის ინვენტარია: ბრინჯაოსაგან მთლიანადსმული ბიკონუსურთაგანია საკინძი (სურ. 1—29), ქსოვილის ნაშთიანი დაქანგული რკინის ღეროთა ნატეხები (სურ. 1—25, 28, 30), რკინის მშვილდსაკინძები (სურ. 1—26, 27), მათგან მოზრდილი ჭვინტიანი მუხლასხრიანი უნდა იყოს. მომცრო კი

<sup>3</sup> ობსიდინისა და კაჟის ანატეკეები იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ადრეშუასაუკუნეთა კომპლექსებში. იხ. ნ. აფხაზაევა, ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბ., 1979, ტაბ. XVII—37, ტაბ. XIV—22 და სხვ.



დაზიანებულია და მისი ტიპის ზედმიწევნით დადგენა ძნელდება (ან ჰეინტიან მუხლსახსრიანია, ან მთლიანბუდიანი). აქვე იყო რკინის მშვილდსაქინძის სახსრიანი მუხლის ნატეხი (სურ. 1—24). მუშებმა გადმოგვეცეს ამ სამარხიდან წინა დღეს ამოღებული ბრინჯაოს ჰეინტიანი მუხლზამბარაინი პატარა მშვილდსაქინძი (სურ. 1—33). გარდა ამისა, სამარხის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა მოშავო მჭრქალი მინის, მომრგვალო ფორმის 13 მძივი (სურ. 1—32).

სამარხთა ტიპის მიხედვით (ქვაყუთები), ასევე დაკრძალვის წესით (ქრისტიანული) სამთავე სამარხი ერთნაირია. ერთნაირია მათში აღმოჩენილი ინვენტარის უმეტესი ნაწილიც. ინვენტარის შედარებით მრავალრიცხოვნებითა და მრავალსახოვნებით გამოირჩევა № 1 სამარხი. დანარჩენ ორ ქვაყუთში, განსაკუთრებით კი № 3-ში, შედარებით მწირი მასალა აღმოჩნდა, მაგრამ მათში აღმოჩენილი ნივთიერი მასალა სრულიად საკმარისია, რომ ვისაუბროთ დაკრძალვის დროისა (როგორც შეფარდებით, ისე აბსოლუტურ ქრონოლოგიაზე) და დაკრძალულთა კულტურულ კუთვნილებაზე.

ერთი შეხედვითაც კი აშკარაა, რომ განხილული მასალა მთლიანად ტიპიურია ადრეულ შუასაუკუნეთა აღმოსავლეთ საქართველოსთვის. იგი ზოგადად VI—VIII სს-თვის არის დამახასიათებელი<sup>4</sup>. აღწერილი სამარხების და სამარხეული ინვენტარის მსგავსი მრავალადა აღმოჩენილი ისტორიული ქართლის სამეფოს ფარგლებში, კარგადაა შესწავლილი, და იმდენად ტიპიურია, რომ მკვლევართა ნაწილი მას „მცხეთურსაც“ კი უწოდებს<sup>5</sup>.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით წარმოვადგინოთ განხილულ სამარხთა უფრო დაწვრილებითი ქრონოლოგია.

ქვის სამარხი № 1-ის ინვენტარის ნაწილი მაინც საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ მის აბსოლუტურ ქრონოლოგიაზე. კერძოდ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი აზრით, ასეთი ნიშნის მატარებელია მარჯნისგან ნაკეთები ბროწეულის ყვავილისებრთავიანი საკინძები. ამ ტიპის საკინძების გავრცელების დროდ ჩვენ VII ს-ის II ნახევარი და VIII ს-ის პირველი ნახევარი მიგვაჩნია<sup>6</sup>. კონკრეტულ შემთხვევაში ასეთ დათარიღებას ხელს არ უშლის და ზოგჯერ ამავრებს კიდევ № 1 სამარხის ინვენტარის დანარჩენი ნაწილი. კერძოდ, სამარხში აღმოჩენილი მშვილდსაქინძები ტიპიურია VII საუკუნისათვის<sup>7</sup> და ხშირად გვხვდებიან ანალოგიურ კომპლექსებში, ბროწეულებიან და ბურთულთავიან. ყელზე წიბოებიან ბრინჯაოს მთლიანადსხმულ საკინძებთან<sup>8</sup>. ასევე VII ს-ით

<sup>4</sup> იხ. ნ. უგრელიძე, ადრეულ შუასაუკუნეთა მინის ნაწარმის ისტორიისათვის, თბ., 1967, ტაბ. II, გვ. 76—80; გ. ლომთათიძე, ქართული კულტურა და ყოფა VI—X საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, § 1, გვ. 531—539 (ამის შემდეგ „ნარკვევები... II“).

<sup>5</sup> ნარკვევები..., II, გვ. 534—535, 538. VI—VIII სს-თვის დამახასიათებელი „მცხეთური“ კომპლექსები თვით მცხეთისა და მისი შემოგარენის გარდა სადღეისოდ მრავალადა აღმოჩენილი რუსთავში, ურბნისში, მანგლისში, სართიჯალაში, რაქისუბანში, გურჯაანში, ძველ გეაზში, ერწოს ველზე (ქუშანანთ გორი, თრანი), ვინეაში, ანანურის ციხისძირში, ვაშლაჯარაში, ნახშირგორაზე, წყნეთში, ბეთანიამი, ბერბუკში, სტრფაშში, ქვ. ალუეში და სხვ.

<sup>6</sup> იხ. ნ. აფხაზაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 85—94.

<sup>7</sup> A. Амброз, Проблемы раннесредневековой хронологии Восточной Европы, СА, № 3, 1971, ნახ. 15; ნ. აფხაზაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 22—25. ამგვარ მშვილდსაქინძებს ჩვენ საქართველოში გავრცელებულ მშვილდსაქინძთა II ჯგუფის II სერიას ვაკუთვნებთ.

<sup>8</sup> იხ. ნ. აფხაზაძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXXIV—31, 32, 36 (სამთავრო ქვს. № 32, 39 N), — მშვილდსაქინძი და ორივე ტიპის საკინძი ანალოგიური შემთხვევა — ტაბ. XLII—1, 8, 11 (სამთავრო ქვს. № 13, 39 N). „ბროწეული“ და მშვილდსაქინძი ტაბ. XVIII—39, 42

უნდა დათარიღდეს საკინძთა ეს უკანასკნელი ტიპი, რაზეც ზემოაღნიშნულთა გარდა მიგვიჩვენებს ურბნისის ნაქალაქარის სტრატეგრაფია<sup>9</sup>, გურჯაანში აღმოჩენილი სამარხეული კომპლექსი<sup>10</sup>, სამთავროს სამარხები<sup>11</sup> და აზერბაიჯანული მასალებიც კი<sup>12</sup>.

VII ს-ვე უნდა განეკუთვნებოდეს № 1 სამარხში დადასტურებული კვირული გულისებრთავიანი ბრინჯაოს მთლიანადსმული საკინძი (ტაბ. I). ანალოგიური საკინძი სამთავროს სამაროვანზე VII ს-ის სამარხეულ კომპლექსში გვხვდება<sup>13</sup>. ასევე ძირითადად VII ს-შია გავრცელებული № 1 სამარხში აღმოჩენილი საკინძთა სხვა ტიპებიც — დაწახნავული მძივით და მრგვალი მარჯნის მძივით შემკული<sup>14</sup>.

აღბათ ამავე ხანას განეკუთვნება სამარხის დანარჩენი ინვენტარი, რომელთა უსახურობისა თუ ფრაგმენტულობის გამო მათზე საუბარი გეოძნელდება.

ასე რომ, სამარხ № 1-ის ინვენტარის უმეტესობა ტიპურია VII საუკუნისათვის, ხოლო ზოგი ნიშნით, კერძოდ, „ბროწეულისებრი“ საკინძებით მისი თარიღი უნდა განისაზღვროს უფრო VII ს-ის II ნახევრით.

